


ମୁଦ୍ରଣ



ଶ୍ରୀକୃତିବ୍ୟାକୁଳ ପାଠ୍ୟକାଳୀ

ନଂ 2 (49)

ଶାଖାମୂଲିକ ପାଠ୍ୟକାଳୀ

2021



ISSN 1512-3995

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რეკლოშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.

დაიპეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“



გარტი, ივნისი, სულხანი №2,(49), 2021



გამოიღის საქ თვეში ქართული



„ოლეს“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

აკაკი დაუშვილი – 60

2. საქართველოს მთავარი კავშირი.

მილოცვა

მთავარული ლიტერატურა

3. ლანა გაცემი. მოთხოვები ციკლიდან –
თურქული სახეები

12. თიბეთის თელაველი. ლექსები

15. მარიამ აბაშვილი. „ჭიავ, ჭიავ,
მაპოვნინე!..“ მოთხოვება

19. თაგარ კოლეციული. ლექსები

21. ივება ჰავლიაშვილი. ორი მოთხოვება

სახალხო მთავარი

24. ფილუხ კოჭლამაზაშვილი. ლექსები
მთავარლის გახსენება

26. ოთარ ხუციაშვილი. მზიანი გულითა და
მადლიანი კალმით

27. ვარდა რაინა. მინდა აგინთო: ლექსის –
სანთელი...

28. ელგუჯა ლეგანიძე. ბოთლში ჩარჩენილი
კონიაკი. ნოველა

თარგმანები

32. ვლაძიმერ სოროკინი. გულითადი
თხოვნა. მოთხოვება

„ნაგიჯი“ – ახალგაზრდული ჩანართი

36. მარიამ აბაშვილი. მოთხოვები

პრიტიკა

39. ნინო დარგაისალი სტრონი. რა უნდა
ავტორს. იუმორესკა

ცერილები

41. მაშვალ ვაგაიძე. საოცრებანი
თანამედროვე რუსული პროზისა

43. სოფიკო გვრიტიაშვილი. შეხვედრა ბაჩანას
შთამომავალთან

ღვაცლეონის ეპილოგი ეპილოგი

48. ლალი ქავეცვილი. ერთხელ ბახის
საფლავზეც ამღერებული...

ერისთავის არაზის XI ფესტივალი
„ნეინდა ნინოს ჯვარი“

50. ფესტივალის საუკათხო ლექსი

გარეკანის პირველ გვერდზე
შეკა ხუცურულის ნახატი

1



ოლე, №2, 2021



* * *

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ლევანის ძე დაუშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო აკაკი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უერთგულეს, პატიოსნებითა და ნიჭიერებით გამორჩეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 60 წელს.

1986 წელს უურნალ „ცისურის“ დამატება „ნობათში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობები. ასე შედგა თქვენი სამწერლო დებიუტი, რომელიც ფეხბედნიერი გამოდგა. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გასულა და ამ ხნის განმავლობაში თქვენი მოთხრობები და მხატვრული თარგმანები პერიოდულად ქვეყნაში ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი მოთხრობების ისეთი კრებულები, როგორიცაა „განაჩენის მოლოდინში“, „უცნაური ბიჭი“, „საყმანვილო მოთხრობები“, „გლადიატორები“... სწორედ ამ კრებულებში გაცხადდა სრულად თქვენი მწერლური ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების აღქმის თქვენებული მანერა, მოყვასის თანადგომისა თუ თანამობის ძალუმი მზაობა. დამოკიდებულება ქვეყნის დღევანდელობისადმი, იმ პრობლემებისადმი, დამოკლეს მახვილივით რომ ჰქიდია ჩვენი მაზულის თავზე...

ქართველი ბავშვების საყვარელ ნაწარმოებად იქცა თქვენი ზღაპარი „ხელიკი კოსტას ამბები“, რომელიც 2019-2020 წლებში იბეჭდებოდა უურნალ „დილას“ თეატრში.

ცალკე უნდა აღინიშნოს თანამედროვე რუსული პროზის კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა, რასაც წლები შეალიერ და რომელმაც ქართველ მკითხველს თითქმის სრული წარმოდგენა მისცა არამარტო XX-XXI საუკუნეების რუსული პროზის განვითარების ტენდენციებზე, არამედ ასევე სრულად დაანახა თავად რუსეთის დღევანდელი სახე, ის საშინელი რეალობა, რომელსაც ასე დაუფარავად აღწერენ თავად რუსი შემოქმედნი...

თქვენი საუკეთესო მოთხრობები თარგმნილია რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე...

წლების განმავლობაში ეწევით და ეწევით ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. ჩვენ, თქვენს მეგობრებს, კარგად გვახსოვს თქვენი საქმიანობა თელავის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორის პოსტზე, როდესაც უშურველად იღვნოდით კახთბატონის სატახტო ქალაქის სულიერი ცხოვრების წინსვლისათვის. სხვადასხვა დროს იყავით „ნობათის“ სარედაქციო კოლეგისა და სარედაქციო საბჭოს წევრი, ლიტერატურულ აღმანას „თელავის“ მთავარი რედაქტორი, ლიტერატურულ აღმანას „ლაზნის“ პასუხისმგებელი მდივანი, სალიტერატურო გაზეთ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერლობას კავშირის თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, უურნალ „ლვინჯუას“ მთავარი რედაქტორი...

2004 წლიდან რედაქტორობით სალიტერატურო უურნალ „ოლეს“ და ამ ხნის განმავლობაში ეს უურნალი სოლიდურ, ანგარიშგასაწევ ლიტერატურულ ორგანოდ აცილება.

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას იმაზე, რომ ფუძქმდებელი და აღმასრულებელი დირექტორი ბრძანდებით ქრისტიანული პოზიციის ფესტივალისა, რომელსაც „ნინოდა ნინოს ჯვარი“ ჰქვია. ლამის საყველოთა ოუღერთობის ჟამს თქვენი ფესტივალი თაზისად მოჩანს დღევანდელ საქართველოში, როგორც ქართველთა რჩმენის ურუევობისა და სიმტკიცის ბალავარი.

თქვენი მრავალნიანი ღვნა ქართული მწერლობის სამსახურში დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ქართული მწერლობის ამაგდარის საპატიო წოდება.

ჩვენო აკაკი!

გვიხარია თქვენთან მეგობრობა, რადგან თქვენს თავდადებას და ერთგულებას საერო საქმეებისადმი საოცრად ესადაგება თქვენივე თავმდაბლობა და მორიდებულება, რაც ძალაუნებურად მწიფე თავთავის აღეგორიას ახსენებს თქვენს კოლეგებს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უერთგულეს მხედარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურებთ.



ლანა მაცევი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

ზუსტებად სამი თვის თავზე წიფის გაქრევის გეგმა გააჩნია. უწინაური თავგარდასაკვლის მოლოდნიშა გოგო მოხინდა. მანაური იზმირში ჩამოვიდოდა, მერკანე კი ავტოსაფერში დახვედროდა. რომ ეწონ თავზე ვარისფერ მოსახვევს მოიხვევდა...

გოგოს თანამდებობა უძრავია გამოყოლილი კარგი განხილვა. წიფი ალმაზურად გახედა. რატონის მანაური ჩასხმული, სასიამოვნო გარეგნობის ადამიანიდან არმოვეგინა. თავს არ უცყვეროდა, მაგრამ მისი სიგამხდოვა, სუსტი ალნაგონა და განსაკუთრებით კი, გელით გადამატებული თმა აღიზიანებდა.

ლანა მაცევი

3



ცისი სახეები

შეცვალა

აიშე ტელევიზიის შენობიდან აფორიაქებული გამოვიდა და ავტობუსის გაჩერებასთან შეჩერდა. სატელევიზიო პროგრამა – „ისე, როგორც ფილმში“, მისი უკანასკნელი იმედი იყო. აგერ უკვე რამდენი წელი იყო, რაც დაკარგულ პატარა დასუშედეგოდ ექცებდა. მათ შორის სამი წელი იყო სხვაობა. მაშინ ორი წლის იყო, მამამისმა ის და დედამისი რომ მიატოვა. დედამ მალევე შექმნა ახალი ოჯახი და პატარა გოგონა ბების გასაზრდელი გახდა. ბებია მამის დედა გახლდათ, რომელიც შვილს დღენიადაგ ახალი ოჯახის შექმნისკენ მოუწოდებდა. უჭირდა შვილიშვილის მოვლა და იმიტომ.

სწორედ მეორე ქორწინების ნაყოფი იყო ელიფი. აიშეს თვალწინ დაუდგა თეთრი, თაფლისფერთვალება ბუთხუზა გოგო. რატომლაც მის მიმართ თავიდანვე დედობრივი გრძნობით განეწყო.

დედინაცვლისგან ცუდი არაფერი ჰქონდა გასასხენებელი. ქალი ცივად არ ექცეოდა, თუმცა არც დიდი სითბოთი გამოირჩეოდა. ერთი ეგიყო, როდესაც ქმართან იჩხუბებდა, აიშესთან მოთამაშე პატარა ელიფს ხელს დასტაცებდა და მასთან ერთად საძინებელში შეიკეტებოდა. ნაწყენ აიშეს თვალები ცრემლებით ევსებოდა, მზერა ებინდებოდა და იქვე ხალიჩაზე იძინებდა.

სულ რამდენიმე წელი იცხოვრეს ერთად. ზოგჯერ მამა სახლს მიატოვებდა და დღეების განმავლობაში არ ჩანდა. მაშინ დედინაცვალი აიშეს ბებიამისთან გზავნიდა, თვითონ კი ელიფთან ერთად მშობლების სახლში მიდიოდა.

გულჩათხრობილი აიშე მიჯდებოდა ფანჯარასთან და მამის გამოჩენას ელოდა. კაცი ყოველთვის დამით მოდიოდა. ნახევრად მძინარე შვილს მანქანის უკანა სავარძელზე დააწვენდა და შინ მიჰყავდა. ელიფი და დედამისი იქ ხვდებოდ-

ნენ. ფეხისწვერებზე აწეული უყურებდა საბავშვო საწოლში მძინარე დას და თვალებით ეალერსებოდა. ოთახიდან უფროსების ლაპარაკი ისმოდა. მათი ხმა ხან ძლიერდებოდა, ხანაც ჩურჩულში გადადიოდა. მას კი ერთი სული ჰქონდა გათენებულიყო და ბუჩქულა ხელები დაეკოცნა დისთვის...

მამამისმა და დედინაცვალმა გაცილება რომ გადაწყვიტეს, აიშე – ექვსის, ელიფი კი სამი წლის იყო. ბოლო დროს სულ ჩხუბობდნენ. რანდენჯერ გამოღვიძებია გულგახეთქილს მათი ყვირილის ხმაზე.

ერთ დილითაც, ქალის ბიძაშვილები მოვიდენენ, იჩხუბეს და დედა-შვილი სამუდამოდ წაიყვანეს. შეშინებულმა აიშემ დის კოცნაც ვერ მოასწორ.

შებინდებამდე ისხდნენ ის და მამამისი ჩუმად. აიშეს ნამტირალევი თვალებით მშეირს ჩამოეძინა. ძილ-ბურანში იგრძნო მამას კიბეებზე რომ ჩაჟყავდა. მანქანაში ისევ ჩაეძინა. დილით ბებიის სახლში გამოეღვიძა. იმ ლამის მერე არც მამა და არც ელიფი აღარ უნახავს. დედინაცვალმა ყველანაირი კავშირი განწყვიტა ყოფილი ქმრის ნათესასვებთან და მერე, უკვე წამოზრდილი აიშეს დასთან შეცვედრის ცდებს ნაყოფი არ გამოულია. მერე საერთოდაც დაკარგა მათი კვალი. ერთხელ ამბავი მოუტანეს – ამა და ამ სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობსო! მაშინვე იქ გაიქცა, მაგრამ „ასეთი გვარის სტუდენტი არ გვყავს“ – უპასუხეს. კიდევ ერთხელ მოუტანეს ამბავი – ქალაქ ერზინჯანში ცხოვრობსო დედასთან ერთად. ერზინჯანი სტამბოლიდან შორს იყო, მაშინვე ვერ წავიდოდა, თან ყოფილი დედინაცვლისაც ერიდებოდა. იქნებ არც შეეშვა სახლში. ამიტომაც იყო, რომ დახმარებისთვის ტელევიზიას მიმართა. იქ ზუსტად ერთი კვირის ვადა მისცეს და მომავალ





ხუთშაბათს, ექვს საათზე, პროგრამის დაწყებამდე ორი საათით ადრე, სტუდიაში დაიბარეს.

უჩვეულო ღელვაში გაატარა ის ერთი კვირა. სამსახურში მთვარეულივით დადიოდა და გულს ვერაფერს უდებდა. ათასი კითხვა ულრნიდა გულ-მუცელს: „ნეტავ, თუ მოვა?“, „თუ ვიცნობ?“, „ნეტა ახლა როგორ გამოიყერება?“, „მოისურვებდა კი მის ხელახალ გაცნობას?“, „ერთმანეთს გაუგებდნენ?“, „იმეგობრებდნენ?“, „მამასთან თუ ჰქონდა რაიმე კავშირი?“...

ტელევიზიაში რომ მივიდა, ჯერ კიდევ ხუთი საათი იყო. იჯდა ვესტიბულში და აქთა-იქით მორბენალ ადამიანებს აღელვებული აყოლებდა მზერას. შვიდ საათზე საგრიმიოროში შეიყვანეს და გადაცემისთვის მოამზადეს. გადაცემის დაწყებამდე ისევ მოსაცდელში დასვეს და რიგის ნომრი მისცეს.

გადაცემა, რომელიც ცნობილ კინორეჟისორს მიჰყავდა, მიზნად ისახავდა შეერიგებინა ან სულაც შეეხვედრებინა დაშორებული ცოლ-ქარი, გაბუტული მეგობრები, ნაწყენ მშობლები და შვილები, და-ძმები... მოეძებნათ ერთმანეთისთვის დაკარგული ადამიანები... შემოქმედებითი ჯგუფის წევრები წინასწარ უკავშირდებოდნენ საჭირო პიროვნებებს, აცნობდნენ ახლობლების გზავნილებს, გადაცემის დღეს (თუკი მათ ამის სურვილი ექნებოდა) საკუთარი ტრანსპორტით ტელევიზიაში მიჰყავდათ. ზოგი მიდიოდა, ზოგიც წყენას ვერ ივი-

წყებდა, ზოგი კი მხოლოდ პასუხს გზავნიდა...

პროგრამა დაიწყო. წამყვანმა მცირე შესავლის შემდეგ აიშე სტუდიაში იხმო. დასმული კითხვების მეშვეობით მაყურებელს მისი წარსული გააცნო. თავიდან გაიხსნა თითქოსდა მოშემუშებული ჭრილობები, დაიღვარა ცრემლი და ბოლოს, ტკივილიანი წარსული იმედიანი მომავლის რწმენით გადაიფარა. ახლა უკვე ელიფის ჯერი იყო. თვალცრემლიანი აიშე მოლოდინით მიაჩერდა იმ კარს, საიდანაც მისი დის შემოსვლა იყო შესაძლებელი. ერთხანს თითქოს გულისცემაც კი გაუჩერდა. სუნთქვა ეკვროდა, თავბრუ ეხვეოდა. მუსიკა ხმამაღლა უკრავდა. თვალები დახუჭა. ცოტაც და გონებას დაკარგავდა. ხელები დამუშტა და ყელში დაგუბებული ცრემლის ბურთულა ვერა და ვერ გადაყლაპა...

აგრიალებულმა ტაშმა გამოარკვია. ცრემლებით დაბინდული თვალები გაახილა და... ოციოდე წლის, ლია წაბლისფერთმიანი, საყვარლად ჩაპუტკუნებული ქალიშვილი, მომლიმარი სახით მოაბიჯებდა მისკენ. შესაგებებლად მაშინვე ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო. უღონოდ ჩაიკეცა და ატირდა. ცრემლები ლოყებზე ღვარად ჩამოსდიოდა.

თითქოს წარსულიდან ქერათმიანი, ბუთხუზა ელიფი უმზერდა და ტკბილი ხმით ეტიტინებოდა: „დაიკო, შემომხედე, მე უკვე გავიზარდე, შენს გვერდით ვარ...“

გაეცევა

(90-იანი წლები...)

მერჯანემ, საშუალო სიმაღლის, ფერხორციანმა ქალიშვილმა, ლია ფერის გრძელი ქვედაბოლო ჩაიცვა და თავზეც მისი შესაფერისი მოსახვევი მოიხვია. იზმირში ასეთ ფერს „ბოშურ ვარდისფერს“ ეძახდნენ. შავი ფერის თვალის ფანქარი ოდნავ შესამჩნევად წაისვა და ტუჩებზეც უფერო საცხი გადაისვა. გრძელი, თეთრი „ფარდესუ“ შემოიცვა, ხელშიც იმავე ფერის ხელჩანთა დაიჭირა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ოთახიდან მტკიცე ნაბიჯით გავიდა.

დედამისი სამზარეულოში ბრინჯას არჩევდა. მოსახვევი ყურებს უკან გადაეწია და ოქროს დიდი საყურეები, ხელის ყოველ მოძრაობაზე აქთა-იქით უქანავებდა.

მერჯანემ თითის წევრებით წარბები გაისწორა და რაც შეეძლო უდარდელი ხმით თქვა: „ერთი საათით მერიებთან მივდივარ.“

ქალს ცოტა არ იყოს, ეუცნაურა შვილის მორთულობა, მაგრამ მაშინვე თავი დაიმშვიდა – „ახალგაზრდებს ყველაფერი ეხალისებათო.“ მით უმეტეს, რომ მის ქალიშვილს გათხოვების ასაკი უკვე მოსვლოდა და ვერც დაუშლიდა გადამეტებულ ზრუნვას ჩაცმაზე.

სადარბაზო კარის ზღურბლთან შეჩერდა და ფრთხილად მიმოიხედა. ქუჩის მარჯვენა მხარეს მამამისის მაღაზია იყო, სადაც თხილით, ნიგოზით, ფისტით, ნუშით, მზესუმზირით და სხვა მრავალი სახეობის ხმელი ხილით ვაჭრობდნენ. გზის მარცხენა მხარეზე გადავიდა. ცდილობდა ნაბიჯი მტკიცე, ხოლო გამომეტყველება მშვიდი ჰქონოდა. აკაციის გამზირზე რომ გამოვიდა შეებით ამოისუნთქა და მაჯის საათს დახედა. ისრები თორმეტის ნახევარს უჩვენებდნენ. მანსურის გამოგზავნილი ბოლო შეტყობინების მიხედვით, 12 საათზე ავტოსადგურში უნდა ყოფილიყო. ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულ ბიუროებში, ფირმა „Show“-ის ოფისი ამოარჩია და მისი კუთვნილი ბაჭანისკენ გაემართა. მაჯისცემა უჩჩქარდა. სტამბოლიდან ახლად ჩამოსული ავტობუსი მგზავრებისგან ნელ-ნელა იცლებოდა. ღელვის დამალვა ვერც კი მოასწრო, რომ მისკენ მომავალი საშუალო სიმაღლის, გამხდარი, შუბლიდან უკან თმაგადავარცხნილი ახალგაზრდა დაინახა.

– შენ მერჯანე უნდა იყო, მე მანსური ვარ!

მერჯანემ უხერხულად გაიღიმა და თვალები ძირს დახარა. ავტობუსი იზმირიდან სტამბოლის



მიმართულებით ერთ საათში გადიოდა. ფირმის მოსაცდელში ჩამოსხდნენ. ორი უცხო სხეული გვერდიგვერდ. მერჯანეს პირი უშრებოდა. მანსური ცდილობდა უდარდელად მოქცეულიყო...

ყველაფერი კი ერთი თვის წინ დაიწყო. მაშინ სახლში უკვე ყველას ეძინა. მერჯანე ჩაპნელებულ ოთახში იჯდა და ცნობილი თურქი კინომსახიობის და მომღერლის – ჰულია ავმარის სატელევიზიო შოუს უყურებდა დაბალ ხმაზე. უეცრად მობილური განათდა. გაუკვირდა: „ნეტავ, ამ შუალამეს ვინ რეკავსო?“ ნომერიც არ ეცნო. ალელვებულმა დააჭირა თითო ლილაკს:

– ეფენდიმ!¹ – თავისი ხმა თავადვე ძლივს გაიგონა.

– შეიძლება შუალამის პრინცესის სახელი გავიგო? – იკითხა სასიამოვნო ხმამ...

მერჯანე ჩვიდმეტი წლის იყო. ლიცეუმის კურსდამთავრებულს, უმაღლესში მოსაწყობ გამოცდებზე ქულები არ ეყო და დედასთან ერთად მზითევის მზადებას შეუდგა. მალე სასიძოსაც მოძებნიდნენ სახლობლოში. თითქოს ყველაფერი განსაზღვრული და დალაგებული იყო, რომ არა ის შუალამის ზარი.

თავბრუდახვეული მერჯანე უცნაურმა გრძნობამ შეიძყრო. იმ ლამიდან მოყოლებული, ყოველდღე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ კიდეც. მერჯანეს ერთი სული ჰქონდა დალამებულიყო. ხმაჩანეულ მობილურთან ერთად წევბოდა და მოუთმენლად ელოდა ეკრანის განათებას. საუბრობდენ ყველაფერზე, ბავშვობაზე, ნაცნობ-მეგობრებზე, ყოველდღიურ წვრილმანზე... ბოლოს მომავალზეც დაიწყეს ფიქრი. მერჯანემ კარგად იცოდა, რომ მშობლები უცხოზე არ გაათხოვებდნენ, ამიტომ გაქცევა გადაწყვიტა.

ზუსტად სამი თვის თავზე ბიჭმა გაქცევის გეგმა გააცნო. უცნაური თავგადასავლის მოლოდინმა გოგო მოხიბლა. მანსური იზმირში ჩამოვიდოდა, მერჯანე კი ავტოსაგურში დახვდებოდა. რომ ეცნო თავზე ვარდისფერ მოსახვეს მოიხვევდა...

გოგოს თანდათან უქრებოდა დილიდან გამოყოლილი კარგი განწყობა. ბიჭს ალმაცერად გახედა. რატომლაც მალალ, ჩასხმულ, სასიამოვნო გარეგნობის ადამიანად წარმოედგინა. თავს არ უტყდებოდა, მაგრამ მისი სიგამხდრე, სუსტი აღნაგობა და განსაკუთრებით კი, გელით გადაპრიალებული თმა ალიზიანებდა.

ავტობუსში მანსურმა მხრებზე მოხვია ხელი. მერჯანე დაიძაბა. წასვლა აღარ უნდოდა, დაბრუნებასაც ვეღარ გაბედავდა.

სატელეფონო საუბრებისას არსებული სითბო და აღტაცება სადღაც გამქრალიყო. თვალები დახუჭა და დაძინება სცადა. წინა რიგებში მჯდომი ლაზები ერთმანეთში ხმამაღლა ლაპარა-



5

მხატვარი სოფიო ჭელიძე კობდნენ და ძილის საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა, ახლა იქნებ სრულ სიჩუმეშიც ვერ დაეძინა.

ავტობუსი მგზავრების საჭიროებებისთვის დროებით შეჩერდა. მანსური კაცების, მერჯანე ქალების ტუალეტში შევიდნენ. ყველაფერი უკიდეგანოდ რეალისტური და რომანტიზმიდან შორს იყო. ორივეს საფასური მანსურმა გადაიხადა და ხელებზე ლიმონის არომატიანი ტუალეტის წყალი დაუსხა... .

ავტობუსში შუქი ჩააქრეს. მგზავრების უმეტესობას ეძინა. მერჯანე, დაძაბული აყოლებდა თვალს ლამპიონებით განათებულ გზებზე შემხვედრ სახლებს, ბაღებს, მეჩეთებს, ბენზინის გასამართ სადგურებს, მარკეტებს, საბაკლოებს... ამ ყველაფრის მიღმა მყოფ ადამიანებზე ფიქრობდა.

სახლში ყოვნა მოენატრა. იგრძნო თუ როგორ ატკენდა გულს თავისიანებს მისი დაუფიქრებელი ნაბიჯი. სად გაქრა ის გრძნობა, რამაც სრულიად უცნობ ადამიანთან გაქცევა გადააწყვეტინა. არადა, სულ მცირე ხნის წინ მის ხმაზეც კი იყო შეყვარებული.

მთელი გზა უბრად გალიეს. მანსური რამდენჯერმე შეეცადა საუბრის დაწყებას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მანაც იყუჩა და თვალები მილულა, თუმცა არ დაუძინია, მარჯვენა ხელის თითებით დაძაბული მარცვლიდა კრიალოსანს.

ავტობუსი სტამბოლში, ანატოლიის მხარეს მდებარე სადგურ „პარეში“ გაჩერდა. მანსური წამოდგა და თვალებში ჩახედა. მერჯანე წამოწ-

¹ ეფენდიმ – ბატონი (თურქ.).





ითლდა. მგზავრები ჩასასულელად წამოიშალნენ. უცრად წინა კართან ჩოჩქოლი ატყდა. ავტობუსში ორი პოლიციელი ამოვიდა და პირადობის მოწმობები მოითხოვეს. საბუთები მოკრიფეს და ისევ

ჩავიდნენ. ირგვლივ უსიამოვნო სიჩუმე და მოლოდინი გამეფდა. მხოლოდ მერჯანეს თვალებში აკიაფდა იმედის სხივი.

მინისძვრა

1999 წლის 17 აგვისტო

აგვისტოს ცხელი ღამე იყო. ჰაერი ჩამოხუთულიყო. პატარა ნიავიც კი არსაიდან ქროდა.

დედა-შვილი აივნზე დაგებულ პატარა ფარდაგზე იჯდნენ. ორივენი თავ-თავის ფიქრებში წასულიყვნენ. სიბელი ერთ კვრიაში თხოვდებოდა. ქალს უძნელდებოდა შვილის მოცილება. ტკბილი დედა-შვილობა ჰქონდათ. ქალიმვილის ერთადერთი მესაიდუმლე და მეგობარიც დედამისი იყო. სიბელს თავი დედის კალთაში ჩაედო და მის გულისცემას უსმენდა. ქალი ჩქარა სუნთქავდა, შვილი ნელა. დედამ თითები გრძელ თმაში შეუცურა და მისი სურნელება შეისუნთქა. ერთხანს ასე იყვნენ გაყუჩებულები, მერე წამოდგნენ და ასე გადახვეულები გაემართნენ დასაძინებლად. ერთ საწოლში ჩაწვნენ. სიბელს თავისი ოთახი ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს ისევ დედასთან იძინებდა.

ახლად ჩაძინებული სიბელი, უცრად რაღაც ძალამ გამოაღვიძა. უცბად ვერ გაერკვა რა ხდებოდა. ოთახში თითქოს ვიღაცები დადოოდნენ, თუმცა ხილულად არავინ ჩანდა. ჰაერი კიდევ უფრო ჩამოხუთულიყო. ლია ფანჯრებიდან შორეული გუგუნი ისმოდა. დედას დახედა, – ქალს ეძინა.

ქუთუთოები დაუმძიმდა. ის-ის იყო თვალები დახუჭა, რომ სახლმა ძლიერი რყევა დაიწყო.

– დედა!.. მინისძვრა!!! – სიბელი შეშინებული ჩაეჭიდა დედას.

უცაბედად გაღვიძებულმა ქალმა შვილს ხელი სტაცა.

– ნუ გეშინა შვილო, ილოცე!

ის იყო ლოცვა დაიწყეს, რომ კედლები ისევ აჭრიალდნენ. დედამ შვილი კიდევ უფრო ჩაიკრა გულში.

– უფალო! შენ მოგვეცი ყოველივე ხეირიანი – სიცოცხლეც და სიკვდილიც! ამინ!

– ამინ! – წაიჩურჩულა შიშისგან გახევებულმა სიბელმა და გრძნობა დაკარგა.

გონზე რომ მოვიდა უკვე ნანგრევებში ინვა. პირი მიწით ჰქონდა სავსე. სხეული გაბუჟებოდა. სიბელე და საშინელი უჰაერობა იყო. წამოწევა სცადა, უნდოდა დედა მოექცნა. არ გამოუვიდა. ენის დახმარებით პირიდან ნაშალი გამოყარა და ძალაგამოლეული ხმით დაიძახა: – დედა... საკუ-

თარი ხმა თვითონვე ძლივს გაიგო. კიდევ სცადა, ამაოდ...

– ნეტავ, რამდენი ხანია რაც აქ წევს? დედა სად არის? რომელი საათია? მეზობლები როგორ არიან?..

ფიქრებით დაიღალა. სული ეხუთებოდა და გული მისდიოდა. უკუნი სიბელე შიშს უათე-ცებდა. ყურებმა შეიღლი დაუწყეს და გაითმა...

ხმებმა გამოაფხიზლა. სიხარულისგან უცნაური ბგერები გამოსცა. ალბათ მაშველები მოვიდნენო – გაიფიქრა...

ისინი ხომ ექვსსართულიანი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდნენ:

ესე იგი სამი სართულის ნანგრევებში იყვნენ მოყოლილნი.

დედა! იქნებ ისიც მეძახის და ხმას ვერ მანვდენს?

აუტანელი სიმძიმის ქვეშ მოყოლილი, გაბუჟებული ფეხების გატოკება სცადა, არ გამოუვიდა. ოდნავ გაამოძრავა მკლავი, შიშველ ხელზე დამსხვრეული აგურის ნატეხები შეერჭო. თავი საშინლად სტკიოდა, თითქოს ვიღაც თმაზე ექაჩებოდა.

სუნთქვა უკვე ძალიან უჭირდა. გონებაში ლოცვა დაიწყო, ხანდახან ავწწყდებოდა. ლოცვებს ერთმანეთში ურევდა. ისევ თავიდან იწყებდა და ისევ ურევდა. ისევ გაითმა...

ხელმეორედ რომ მოვიდა გონს, ხმები კიდევ უფრო ახლოდან მოესმა. პირი ფართოდ დააღო. უმოძრაო სხეულში იმედის ნაპერნკალმა დაუარა. მას ხომ ლოდინის მეტი არაფერი შეეძლო.

რამდენჯერმე დაყვირება სცადა, მაგრამ თავზე დამხობილი ბეტონის ნაშალი, ისედაც მინავალებულ ხმას კიდევ უფრო უხშობდა. გამუდმებით დედაზე ფიქრობდა. იქნებ გადარჩა, გადაარჩინეს და ახლა გამარარებული ეძებდა შვილს? სახეზე სისველე იგრძნო.

–...ნეტა რა დრო იყო? დღე თუ ღამე?

აივანზე ერთად გატარებული ბოლო ღამე მოაგონდა. ქორწილის მოლოდინი, ახალ ცხოვრებაზე ფიქრები...

გადარჩინენ? – იქნებ, ისინიც ნანგრევებში ჩამარხულები ელიან მშველელს?

ნეტა, სად არის კარის მეზობლის ბავშვი,



ქერა კულტულებიანი ოთხი წლის თუბა? ყოველ-დღე რომ სტუმრობდა და ახალ-ახალ თავგა-დასავლებს უყვებოდა ტომი და ჯერის საბავშვო სერიალიდან?

მეზობლების სახელების ჩამოთვლა დაიწყო: ჰათიჯე, ქემალი, თარლანი, იუსუფ – ჯანი, სელინა, ბირსენი, ოზლემი, აისელი, აიშე, აპმეთი, ფათმა, ქუბრა, აბდულაჳ, ფაზილეთი, ნიმეთი, სევილი, ბერნა, ბეთული, სელინი, ზელიჳა, სულ-თანი, ალი...

ფიქრი სიჩუმემ შეაწყვეტინა, ხმები აღარ ის-მოდა. რა მოხდა? შიშმა აიტანა. იმედის დაეკარგვა არ უნდოდა. ტელევიზიით ჰქონდა ნანანი, მიწისძვრის პირველ დღეებში მაშველი რაზმი დიდი სიფრთხილით ექცდა დაზარალებულებს, რამდენიმე დღის შემდეგ კი, იმედგადანურულები, მიწის მთხრელი მანქანებით იღებდნენ ნაგრევებს.

განა კიდევ რამდენ ხანს გაძლებდა? ხელ-ფეხს უკვე ველარ გრძნობდა. გამნარებულმა ტუჩები დაიკინა, ცდილობდა ბევრი ეფიქრა და რამენაირად გადარჩენილიყო...

ნარმოშობით ლაზები იყვნენ, ტრაპიზონიდან. ქალაქ ადაფაზარში მამის მამა გადმოსახლებულა ოჯახით. სურსათის პატარა ბაკალავრა გაუხსნია და ასე გაჰქინდათ თავი მის ცოლსა და ხუთ შვილს. მისი გარდაცვალების შემდეგ მაღაზიას ძმები ამუშავებდნენ. ორი წლის წინ, სიბელის მამა ავ-არიით დაიღუპა. დედა-შვილს ყოველთვიურად, კუთვნილი წილიდან, გარკვეულ თანხას უხდიდნენ. ცოტა ხნის წინ, ცხრამეტი წლის სიბელს, ახ-ალგაზრდა ტაქსის მძლოლი – ჰაქანი გაურიგეს. ბიძებმა ნიშნობა მოაწყეს, ბინა უქირავეს, სადაც ახალდაქორნინებულებს უნდა ეცხოვრათ, საჭირო ნივთები იყიდეს და ქორნილის დღეც დათქვეს.

სიბელს ადრეც ჰყავდა მთხოვნელები, მაგრამ

არავინ მოსწონებია. ჰაქანით კი რატომლაც მალევე მოიხიბლა და დათანხმდა. რადგანაც დედასთან დაცილება უძნელდებოდა, ახალი ბინა ახლოსვე იქირავეს.

იქნებ ის სახლიც დაინგრა და მისი მზითევი ახლა ნანგრევებშია მიმოფანტული?

სიბელმა მძაფრად შეიგრძნო ამქვეყნიური ამაოება:

– ადამიანები ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობენ, სახლებს აშენებენ, არემონტებენ, ავეჯს ყიდულობენ, თითოეულ სახმარ ნივთს საგულდაგულოდ არჩევენ, რამდენ რამეს იკლებენ და მანქანებს ყიდულობენ. ერთ ამბავში არიან და სულაც არ ფიქრობენ, რომ შეიძლება მოულოდნელად დაესკას წერტილი მათ ცხოვრებას...

გრძნობდა ძალა აღარ ჰქონდა. თანდათან ლოდინის, აზროვნების, ფიქრის სურვილი დაეკარგა. უკვე აღარ იცოდა, რომელი ჯობდა: გადარჩენა თუ სიკვდილი?!?

...სამაშველო რაზმის წევრებმა, უგონო მდგომარეობაში მყოფი, თითქმის სულ გალურჯებული სიბელი, მიწისძვრილან მესამე დღეს იპოვეს. დედამისის გაშავებული, დაფლეთილი სხეულიც მის თავთან აღმოჩნდა...

ერთი თვე ინვა სტამბოლში, acibaden-ის საავადმყოფოში, მერე ფსიქოლოგთან მკურნალობდა. გამოჯანმრთელებული დროებით ქალაქ ბოლუში, მიწისძვრით დაზარალებულთათვის განკუთვნილ საერთო კარავში შეასახლეს.

მისი სანათესაოდან არავინ არ გადარჩენილიყო. არც ჰაქანი.

სიბელს წარსული აღარ ჰქონდა, არც ის იცოდა მომავალში რა იქნებოდა. საათობით იჯდა კარვის წინ უტყვად და უაზროდ გასცეროდა სივრცეს...

მეჩეთი

ქორმელში 1971 წლის ზაფხული იდგა. სოფლის მცხოვრებთ, აღარც ახსოვდათ, როდის აშენდა აქ სალოცავი. ადრე ამ სოფელში სომხებს უცხოვრიათ. სახელადაც ქიორმელიქი ჰრემევია, რაც თურქულად ცალთვალა მელიქს ნიშნავს. ერთსართულიანი სახლები წითელი კლდეების ძირში აეშენებინათ. ქიორმელი თორთუმის რაიონს მიეკუთვნებოდა და მთაში მდებარებდა.

...ნაზიმი, ყინულივით ცივი წყლით სალოცავად გასუფთავდა. მერე ჰერანგის აკეცილი სახელოები და შარვლის ტოტები გაისწორა და მეჩეთისკენ გაემართა. პარასკევი იყო, შუადღე, მუსულმანებისთვის წმინდა დღე. ამ დღეს მამაკაცები შუადღის ლოცვას აუცილებლად მეჩეთში აღასრულებენ. ჯუმა ნამაზის¹ დამთავრების შემ-

დეგ სოფლის იმამი² მრევლს არიგებს თუ როგორ უნდა იცხოვოს რწმენით, პატიოსნად, დაეხმაროს გაჭირვებაში მყოფთ; ყურანიდან კითხულობს გარკვეულ მონაკვეთებს...

მეჩეთი ხალხით გაიქსო. მცირე ზომის დარბაზში სუნთქვა ჭირდა. ჭერიც აქა-იქ დაზიანებულიყო და მინა ცვიოდა.

შინ მიმავალმა ნაზიმმა, გზაში მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: – სოფელს ახალი მეჩეთი ესაჭიროებოდა. იმ სალამოსვე მოძებნა თანამაზრეები და უხუცეს ჰაჯი ახმედის სახლში შეკრიბა.

სიაშეადგინეს. ყველას შეძლებისდაგვარად უნდა გაელო თანხა. რაიონიდანაც მოითხოვდნენ დახმარებას. ნაზიმმა გერმანიაში მცხოვრებ თანასოფლელებს წერილი მისწერა, სადაც ახალი

1 ჯუმა ნამაზი – პარასკევის ლოცვა.

2 იმამი – სასულიერო პირი.





მეჩეთის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას სთხოვდა.

დილაუთერია შეკაზმა ცხენი და რაიონისკენ გაემართა. იქ მას კარგად იცნობდნენ, პატივსაც სცემდნენ. სოფლის სიკეთისათვის ზრუნვა უყვარდა. აგერ, რამდენი ხანია, დაწყებითი სკოლის გახსნას მოითხოვდა. ბავშვებს მეზობელი სოფლის სკოლაში უწევდათ სიარული. ზოგიერთი მშობელი კი, სიშორის გამო არ უშევებდა შვილს.

ნაზიმი რომ დაოჯახდა, მამამისმა ჯიპანმა სოფლის შუაგულში, მოზრდილი მინის ნაკვეთი აჩუქა სახლის ასაშენებლად. მას და მის ცოლს პირველი შვილი ცხრა თვისა მოუკვდათ სახადით. შემდგომ სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი შეეძინათ.

შეძლებულად ცხოვრობდნენ. ცხვარი და ძროხა ბევრი ჰყავდათ. მათ ოჯახში სტუმარი არ ილეოდა. ქიმედიც ხელმარჯვე დიასახლისი გამოდგა. ნაზიმის სტუმართმოყვარეობა იმდენად ცნობილი იყო, რომ უცნობებიც კი მათ სახლს უძებდნენ დამის გასათევად. ჭკვიანი კაცი იყო ნაზიმი. სოფელში თუ ვინმექს რაიმე პრობლემა ჰქონდა, ჭკვის საკითხავადაც მასთან მიღოდნენ.

სოფლის კეთილდღებისთვის ზრუნვა უყვარდა. სკოლის ასაშენებლად საკუთარი ნაკვეთის ნანილი გაიღო უსასყიდლოდ. შემოდგომით მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. მანამდე კი, რამენაირად ახალი მეჩეთის ამბავი იყო მოსაგვარებელი.

თორთუმიდან ერზრუმში გააგზავნეს, რადგანაც მთავარ ინსტრუქტორს ადგილზე უნდა შეემონმებინა ძველი მეჩეთის მდგომარეობა, კომისიას დაედგინა, ჰქონდა თუ არა შენობას რაიმე ისტორიული ფასეულობა და მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის ბრძანების გაცემა.

ერზრუმში რომ შევიდა, უკვე საღამოს ლოცვის დრო მოსულიყო. მთავრობაში მისასვლელად გვიანი იყო და ის ღამე, ახლო მეგობრის ოჯახში გაათია.

...გარეთ რომ გამოვიდა, ჯერ კიდევ დილის სუსტი იდგა. ქუჩაში მხოლოდ მისი ცხენის ფლოქვების ხმა ისმოდა...

საქმე სოფლის სასარგებლოდ გადაწყდა. ერთ თვეში ახალი მეჩეთის აუცილებლობის საკითხი მოვგარდა და გეგმაც დამტკიცდა.

ერთ-ერთ კვირა დღეს სოფლელებმა ჯერ ილოცეს, მერე ზეცისკენ აღაპრეს ხელები, ალაპს შენდობა შესთხოვეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ძველი მეჩეთის დანგრევა. პირველმა ნაზიმმა ითავა სახურავიდან მწვანედ აბიბინებული მინის ბელტების გადმოყრა. ბავშვები ჯერ შორიდან უყურებდნენ, მერე შედარებით მოზრდილებმაც მიიღეს საერთო საქმეში მონაწილეობა. ურიკებით დიდი მონდომებით მიჰქონდათ სოფლის ბოლოს ნაშალი.

ვიდრე ახალ მეჩეთს ააშენებდნენ კაცები მე-

დრესეში¹ ლოცულობდნენ.

შემოდგომის დასაწყისში საჭირო თანხა შეგროვდა და ლოცვა-ურთხევით საძირკველიც გაჭრეს. იმავდროულად, რაიონიდან ჩამოსულმა მუშებმა სკოლის მშენებლობაც დაიწყეს.

...მეჩეთის აშენებამ სამ წელიწადს გასტანა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. არეულობა კი მაშინ დაიწყო, როდესაც ნაზიმმა ერთ-ერთ თავურილობაზე განაცხადა: – მეჩეთს მინარეთიც უნდა მივაშენოთო. ამისთვის ახალი თანხები და მცოდნე მუშახელი იყო საჭირო.

სოფელი ორად გაიყო. ერთ მხარეს (უმრავლესობას) სჯეროდა მინარეთის აუცილებლობა; მეორე (უმცირესობა) კი წინააღმდეგები იყო. ესენი სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც მაინც-დამაინც დიდად არ გამოირჩეოდნენ რწმენით და მეჩეთში სიარულით.

ნაზიმი ცდილობდა მათ დარწმუნებას, რომ მეჩეთი მინარეთის გარეშე არ უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ მათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს:

– მთის პატარა სოფლისთვის, მეჩეთიც საკმარისია!.. – ამბობდნენ.

ნაზიმმა უკან მაინც არ დაიხია და ისევ დაიწყო ფულის შეგროვება. გამთენისას მდინარეში ჩადიოდა და შუადღემდე ლამს ხაპავდა. მალე სხვებიც შეუერთდნენ. ერთხელ ლამის ამოსაზიდად, მონინააღმდეგეთა ჯგუფიდანაც გააგზავნა კაცები. მათაც ხალში უარის თქმა ვერ გაბედეს და დაბოლმილებმა დაიწყეს ლამის მოზიდვა.

საღამოს ლოცვის შემდეგ, ნაზიმი და რამდენიმე უსუცესი შებინდებამდე იდგნენ მშენებლობასთან და საუბრობდნენ. ისინიც რომ წავიდნენ, ცოტა ხანს კიდევ დარჩა და მეორე დღის გეგმა დააწყო. ცა იქუფრებოდა. სადაცაა წვიმას დაიწყებდა. ქარმა ახალგამომცხვარი ჰურის სურნელება მოიყოლა. დაღლილი და მოშეიბული იყო.

– ბისმილლაპ!² – თქვა და წამოდგა. იქვე ვიღაცის ლანდი დალანდა. იცნო, ეს ის ჰუსნუ იყო, ყველაზე მეტად რომ აპროტესტებდა მინარეთის აუცილებლობას. ნაზიმს მისი დანახვა არ ესიამოვნა.

– სოფლის მშენებელს ვახლავარ! – ჩაშავებული კბილები გამოაჩინა ჰუსნუმ. ამ დროს რამდენიმე მისი თანამოაზრე კიდევ გამოჩნდა. წრეში მოაქციეს. ნაზიმი ფიზიკურად ძლიერი იყო, თუმცა ჩხუბს ყოველთვის ერიდებოდა. სოფელშიც მხოლოდ მას ჰქონდა იარაღის კანონიერად ტარების უფლება, რომელსაც თითქმის არ იყენებდა.

მკლავი ძლიერად მოიწნია. ჰუსნუ წაბარბაცდა და დაეცა. დანარჩენები ერთდროულად დაესხნენ თავს. დიდხანს უმკლავდებოდა, ის იყო აჯობა კიდევც, რომ თავში ძლიერი დარტყმა იგრძნო და ადგილზევე ჩაიკეცა...

გონზე ცოლის კივილმა მოიყვანა. ბავშვები

¹ მედრესე – ადგილი, სადაც ყურანს ასწავლიან.

² ბისმილლაპ (არაბ.) – ლვთის სახელით.



ტიროდნენ. მამამისი ჯიჟანი სანადირო თოფით ხელში, მთელ სოფელში ამის ჩამდენს ეძებდა. თავდამსხმელები ერზრუმში გაქცეულიყვნენ.

ნაზიმს თავბრუ ეხვეოდა, პირში სისხლის გემო ჰქონდა. წვეტიან ქვას თავის მარჯვენა მხარე უურამდე გაეხეთქა. სოფლის ექიმიაშმა საფენები დაადო, მაგრამ ჭრილობა დიდი იყო და ნაკერის დადებას საჭიროებდა.

ოლთუს სავადმყოფოში დაკითხეს უანდარმებმა. ნაზიმს არავისთვის უჩივლია. რამდენიმე დღის შემდეგ სოფელში დაბრუნდა და ცოლის მუ-

დარის მოუხედავად, ისევ მშენებლობას მიაშურა...

სამი წლის შემდეგ, ერზრუმიდან მოწვეული სტუმრების თანდასწრებით, საზეიმოდ გაიხსნა ახალი მეჩეთი, რომელსაც კოხტა მინარეთი ამშვენებდა. სწორედ იქიდან წაიკითხა მოლამ პირველი ეზანი.¹

სოფელს ახლა უკვე სკოლაც ჰქონდა და მეჩეთიც.

ნაზიმი ბედნიერი შეჰქურებდა სალოცავს, სკოლას და სოფლის სამედიცინო ამბულატორიის მშენებლობაზე ფიქრობდა...



ფატმას სიკვდილი

მეტყველებადაკარგული ფატმა გაუნდრევლად იწვა და სხივჩამქრალი თვალებით სივრცეს გასცეროდა. კარგა ხანია იცოდა, რომ ვერაფერს შეცვლიდა და ბედს თითქმის შერიგებოდა. გარეთ შემოდგომა იდგა. უცებ ძლიერ მოუნდა უკანასკნელად შეესუნთქა სუფთა ჰაერი. თვალებით ოთახის კუთხეში ჩამუხლული დედა მოძებნა. ქალი ლოცულობდა და შვილის მზერა ვერ შენიშნა. ის ისევ ფანჯარას მიაჩერდა. გაყითლებული ფოთლები უმწერდ ებლაუჭებოდნენ ტოტებს და ანაზდად მოვარდნილ ქართან გამკალავებას ცდილობდნენ. თვითონაც გარეთ ყოფნა მოუნდა. რამდენიმე ხნის წინ, ქმრის სოფელში, დედამთილს გაჰყავდა სუფთა ჰაერზე. ძალაგამოლეულ მელავებს კისერზე მოაჭდობდა და ისიც თოჯინასავით შემსუბუქებულ რძალს უმალ აიტაცებდა. სახლთან ახლოს დასვამდა სახელდახელოდ გაშლილ ლეიბზე და თვითონაც იქვე მიუჯდებოდა ურყევ ბურჯად...

ახლა კი თვითონაც იმ ფოთლივით მოწყდება, ქარმა რომ მოგლიჯა ახლახანს და ფრიალ-ფრიალით გაიყოლა.

ბავშვები მოენატრა, – ნეტავ, როგორ შეეგუებიან უდედობას? ორივე თვალწინ დაუდგა და თითქოს იგრძნო კიდეც მათი შეხება. თვალები აუწყლიანდა. ტირილის თავიც აღარ ჰქონდა.

ისევ ტკივილებმა მოუარეს, მთელი სხეული ემსხვროდა. გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა გულს წყეული სენი და მალე ბოლოსაც მოუდებდა. გამშრალი პირი გაალო, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. დედა, რომელიც ახლა საწოლთან ჩამუხლულიყო წამოდგა და შუბლზე ხელი გადაუსვა. ქალს მწუხარებისგან სახე გაქვავებოდა, გული კი გახეთქვას ჰქონდა. მამა კართან იდგა ცრემლგამშრალი.

ეზოში ნათესავები ტრიალებდნენ. ყველანი დაზაფრულიყვნენ გარდაუვალი უბედურების მოლოდინში. ცალი თვალი ჭიშკრისკენ ეჭირათ – ქმარი, რომელსაც ბავშვები უნდა მოეყვანა, იგვიანებდა. ყველაზე ძალიან კი მას ფატმა ელო-

და. ტკივილამდე მისული სიყვარულით უყვარდა კაცი. თვალები დახუჭა, რათა მისი სახება დაენახა.

– რა უმწეო იქნება, უჩემოდ, – გაიფიქრა და სხვა ქალი ნარმოიდგინა მის გვერდით. სიმწრისგან გული მოენურა და სუნთქვა შეეკრა. არა! ფიქრიც კი ზარავდა. ის ჯერ კიდევ მას ეკუთვნის, მხოლოდ მას! ნეტავ მოუსწროს, კიდევ ერთხელ შეეხოს...

ბოლო სამი თვის განმავლობაში ქმარი გვერდიდან არ მოშორებია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სიხარული ეჩუქებინა მისთვის. ფატმა მართლაც ბედნიერი იყო, მაგრამ ვიღაც ბოროტი გამუდმებით ჩასძახოდა:

„შენ მალე მოკვდები... მოკვდები“ და ამით ფერებს აცლიდა მის ბედნიერებას.

...თვალები გაახილა. ისინი, ვისი დანახვაც ასე ძალიან სურდა, კიდევ არ ჩანდნენ. გარეთ ქარი ძლიერდებოდა. ჩამოცვენილი ფოთლებით გადაივის ეზო. ის კი ელოდა... ელოდა მომაკვდავის უსასო მოლოდინით...

თითები უკვე სულ გაეყინა, სიცივე მუხლებისკენ მიცოცავდა. ლოცვა დაინყო, მიხვდა სხვა რამზე ფიქრს აზრი ეკარგებოდა. შეუცნობლის მოლოდინს მიენდო. ლოცულობდა, სიტყვები თავისთავად მოდიოდნენ. საშინელი სენი უკვე გულისკენ აფათურებდა ცივ ხელებს. უფალს შეავედრა საყვარელი ადამიანები, იცოდა მათ უკვე ვეღარასოდეს ნახავდა. მისმა ტვინმა გამალებით დაინყო მუშაობა. მეხსიერებაში ამოუტივტივდა ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი. კადრები ერთმანეთს ცვლიდნენ, ათვალიერებდა და ცდილობდა ყველაზე ძვირფასი ამოერჩია.

აი, პირველად შეხვდა თავის საქმროს, თავი მორცხვად აქვს დახრილი და ლოყები წამოწითლებია;

აქ, პირველი შვილის სიცოცხლე იგრძნო მკერდევებს;

მეორე ბიჭს აპანავებენ ერთად, პანიას წყალი სიამოვნებს და საყვარლად ჭყლობინებს. ქმარი სიყვარულით უცქერს ცოლ-შვილს...

¹ ეზანი – მრევლის სალოცავად მოსახმობი ლოცვა.





ოჲ, ღმერთო! ყველა მოგონება ძვირფასია...
მთაზე ადიან. ორგვლივ უამრავი ყვავილია.
ქმარმა, შემალლებულზე დედოფალივით დასვა,
ულამაზესი გვირგვინი მოუნა და თავზე დაად-
გა. მერე სახე დაუკოცნა, ნაზად და სევდიანად.
ფატმა ხედავს მის თვალებში ჩაბუდებულ შიშს,
მაგრამ არ იმჩნევს. გულში კი ჯიუტად იმეორებს
– შენ ჩემი ხარ! გესმის? ჩემი...
უკვე ცხადად იგრძნო აღსასრულის მოახ-

ლოება. ხელისგულებში მოაგროვა ყველა მოგონე-
ბა და აპა, მოვიდა...

ძლიერი ტკივილი საოცარმა სიმსუბუქემ
შეცვალა...

ჩიტივით შეფრთხიალდა და უსასრულობაში
გაფრინდა...

დედამ გოდებით დაუხუჭა მოლოდინით
დამშრალი თვალები...

130

ებრუ, ქმარს და სხვა ტურისტებს ჩამორჩა
და ორგვლივ წყნარად მიმოიხედა. მარტოდ ყოფ-
ნა სიამოვნებდა. ეფესში იზმირიდან ჩამოვიდნენ.
გზა ერთ საათში გაღიქს. არ დალლილან. ინტერ-
ესით დაათვალიერეს ქალმერთ არტემიდას სა-
ლოცავის ნანგრევები, წმინდა იოანეს ეკლესია და
საფლავი, მარიამ ღვთისმშობლის სახლ-ეკლესია.

ეფესი, დასავლეთ ანატოლიის ყველაზე ლა-
მაზ ადგილას გაეშენებინათ. რომაელების მმართ-
ველობის დროს ხუთასამდე ქალაქის დედაქალაქი
ყოფილა. ეს ის წლები იყო, როდესაც წმინდა იო-
ანე მოღვაწეობდა და ჰომეროსასაც უკვე დაწერი-
ლი ჰქონდა თავისი უკვდავი პოემები.

ქალაქში თურმე 25 000 ადამიანი ცხოვრობ-
და. აპრილის თვეში ქალლმერთ არტემიდასადმი
მიძღვნილი დღესასანული იმართებოდა. მოქა-
ლაქების ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა თე-
ატრს. აქაური მსახიობები იმდენად ცნობილე-
ბი ყოფილან, რომ მათ სანახავად ათენიდან და
იერუსალიმიდანაც კი ჩამოდიოდა მაყურებელი.

ატერმიდა ეფესელის სალოცავი, ძველი
მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთად ით-
ვლებოდა.

აქ ნანგრევებსაც კი ბრწყინვალე იერსახე
ჰქონდა. რომის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ,
ეფესი დოდი ხნის განმავლობაში დაგინწყბას მიე-
ცა. მხოლოდ საუკუნის წინ დაიწყეს ანტიკური
ქალაქის არქეოლოგიური გათხრები, ბოლო ათი
წლის მანძილზე კი, სარესტავრაციო სამუშაოები.

ებრუ გამარჯვების ქალლმერთ ნიკეს რე-
ლიეფურ გამოსახულებასთან, უძველეს ქვაზე
ჩამოვადა.

– ვინ იცის, აქ, რამდენი ეფესელი მოსულა,
შეუსვენია. მშვიდმა გარემომ და მზემ მოთენთა.
მარმარილოს სვეტს მიყრდნობილმა თვალები
დახუჭა...

ის და სერდარი ერთი წლის წინ დაქორ-
ნინდნენ. თაფლობის თვე სამხრეთ აფრიკაში
გაატარეს. თავს ბედნიერად გრძნობდა. წლები
ტკივილსა და ცრემლში ჰქონდა გალეული:

– რვა კლასის დამთავრების შემდეგ, მშ-
ობლებმა სწავლის გაგრძელების უფლება აღარ
მისცეს. ისიც მთელ დღეს ხელსაქმესა და ოჯახის
საქმეს ანდომებდა. შვიდ და-ძმაში რიგით მესა-

მეს საქმეს რა გამოულევდა. იმხანად უფროსი ძმა
ცოლშვილიანი, მომდევნო ძმა ჯარისკაცი, დან-
არჩენები სკოლის მოსწავლეები, სულ პატარა კი
ჯერ ისევ ძუძუზე იყო.

ერთხელ დილით დედამ ადრიანად გაალვიძა
და უთხრა: – საღამოს სტუმრები მოდიან, ნამცხ-
ვრები და ღვეზელებია გამოსაცხობი. შეკითხ-
ვაზე, თუ ვინ იყვნენ სტუმრები, – მოვლენ და
ნახავო. – უპასუხა ქალმა.

სტუმრების მოსვლის დრო რომ მოახლოვ-
და, მამამისმა ბავშვებს სასტუმრო ითახში ყოფ-
ნა აუკრძალა. ებრუ რაღაც ცუდის მოლოდინში
გაირინდა.

ზუსტად რვა საათზე, კარზე ზარი დარეკეს. უფროსებმა სტუმრები ითახში შეიძატიუქეს. ებრუ
სამზარეულოდან უგდებდა ყურს მათ საუბარს,
არავის ხმა არ ეცნო.

– ნეტა ვინ არიან? — გაიფიქრა და დედაც
შემოვიდა.

– აპა, შენ იცი შვილო, როგორ მოემსახ-
ურები სტუმრებს!

ებრუ შეცბა, დედა თვალს ვერ უსწორებდა.

საუთარი ხელით მოდულებული ყავა რომ
ჩამოარიგა, მოსულები ფარულად შეათვალიერა. სამნი იყვნენ, ხანშიშესული კაცი და ქალი და
მათ გვერდით, ოცდათ წელს გადაცილებული,
ხმელ-ხმელი გარეგნობის მამაკაცი.

ის იყო გასვლას აპირებდა, რომ მამამ შეაჩ-
ერა:

– დარჩი! სტუმრებს სათქმელი აქვთ!..

იმ საღამოს ებრუ დანიშნეს. მარწეხივით
უჭერდა თითზე წამოცმული ბეჭედი და ყელში
უტყვი ცრემლები ჩასდიოდა. ხან დედას შეხედა
დაბინდული მზერით ხან მამას. ბოლოს ითახიდან
გავარდა.

– ებრუ! – მამის მკაცრმა ხმამ გული შეუქა-
ნა. შეშინებული ბავშვების ითახში შევარდა და
და-ძმას ჩაეხუჭა...

ერთ თვეში მოუმზადეს მზითევი და ოცი
წლით უფროს კაცს გააყოლეს ცოლად.

მაშინ ებრუ თხუთმეტი წლის იყო...

შვილი არ ეყოლათ. ქმარმა ქორნინების მეხ-
უთე წლისთავზე მეორე ცოლი მოიყვანა. ებრუმ
ქმარი ვერ შეიყვარა. კაციც დიდად არ იწუხებდა





თავს ზრუნვით და თბილი მოპყრობით. შვილიც რომ ვერ გაუჩინა, დედისა და დების გულსატკენ სიტყვებს ისიც უერთდებოდა და მაშინ სიკვდილის მეტი აღარაფერი უნდოდა საცოდავ ქალს.

სამაგიეროდ, მეორე ცოლმა წლისთავზე ტყუპები გააჩინა. ბავშვების აღზრდაში ისიც ეხმარებოდა. ოჯახის საქმე განაწილებული ჰქონდათ და ცდილობდნენ ერთმანეთისთვის ახლობლები თუ არა მტრები მაინც არ ყოფილიყვნენ.

კაცი ხან ებრუს საძინებელში იძინებდა, ხანაც მეორე ცოლის ოთახში. ბოლოს დაავადმყოფდა და უფრო ხშირად სასტუმრო ოთახში წვებოდა დივანზე. ექიმებმა ყელის კიბო დაუდგინეს. ბოლო ხანს, შეტყვები ღამდამობით ეწყებოდა. იჯდა ებრუ ჩაბნელებულ ფანჯარასთან, მორიგ კრიზის ელოდა და თავის შავ ბედზე ფიქრობდა. იხსენებდა, როგორ უნდოდა თავის უღიმლამო ბავშვობაში მალე გაზრდა. დიდობაში კი, სანატრელად სწორედ ის უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა მხოლოდ.

კაცი, მეორე ცოლის მორიგეობის ღარდაიცვალა. ებრუ ქალის ქვითონიმა გამოალვიდა. აღრალებული ტყუპები მამის გაციებულ სხეულს არ შორდებოდნენ. როგორი უცხო იყო მისთვის ქმარი. დილით დედამთილი და მულები მოვიდნენ ქმარ-შვილით. ოთახში ებრუსთვის ადგილიც აღარ დარჩა.

მიცვალებული მზის ჩასვლამდე დაკრძალეს და მეზობლებს ჰალვა დაურიგეს.

ერთი კვირის შემდეგ, ებრუმ მოკრიფა თავისი პირადი ნივთები და რადგანაც მშობლების სახლში დაპრუნებაზე ოცნებაც არ შეეძლო, ქალაქის მუნიციპალიტეტთან არსებულ თავშესაფარს მიაშურა. მალევე, იქაური მენეჯერის დახმარებით ექვსთვიანი სამედიცინო კურსები გაიარა და თავშესაფრის ექთნად დაიწყო მუშაობა. სწორედ აქ გაიცნო სერდარი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა დაწესებულებას. იმ დღესაც, წამლები შემოიტანეს. ებრუმ საბუთებს ხელი მოაწერა და მაღალ, წარმოსადევ მამაკაცს გაუნდა. დაუინებულ მზერას რომ წააწყდა, დაიბნა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. მას ხომ არასდროს ეგრძნო მამაკაცისგან ყურადღება, მზრუნველობა. დაახლოებით ერთი საათი ისაუბრეს. აქმდე ასე გულგახსნილი არავისთან ყოფილა. საღამოს მარტიდ დარჩენილს, გრძნობებში გაორებულს ვერ გაერკვია, სწორად მოიქცა თუ არა უცხო მამაკაცს გული რომ გადაუშალა.

დილით კურიერმა, სერდარისგან ყვავილების თაიგული და ბარათი მოუტანა, სადაც იმ საღამოს ვახმამზე ეპატიუებოდა.

სადად და ღარისულად იყო ჩაცმული ებრუ. მდიდრული და გაბრწყინებული რესტორანი კიდევ უფრო ბოჭვდა. უხერხულად და გაუბედ-

ავად იქცეოდა. სერდარი თავისი ცხოვრების შესახებ მოუყვა. ორი წლის წინ, ცოლს გაშორებოდა, შვილი არ ჰყავდა. თავისი ფირმა ჰქონდა, რომელიც აფრიკას ქვეყნებში სამშენებლო საქმეებს ანარმოებდა.

ებრუს სადა სილამაზით და უპრალოებით მოხიბლულმა სერდარმა, მალევე შესთავაზა ოჯახის შექმნა.

ნიშნობა თავშესაფარში მოაწყვეს. ორ კვირაში ხელიც მოაწერეს.

ერთმანეთი უზომოდ შეუყვარდათ. ებრუ დაქალდა, გალამაზდა. თავისი ფირმებისა და აზრების გამოხატვა ისწავლა. გემოვნება დაეხვენა. ლიცეუმი დაუსწრებლად დაამთავრა და უმაღლესში მისაღები გამოცდებისთვის დაიწყო მომზადება. ბოლო დროს ძალიან გადაიღალა და სწორედ დასასვენებლად მოუწყო სერდარმა ეს მცირე მოგზაურობა ეფუძში...

თმაზე ხელის შეხება იგრძნო, წამოდგომა დააპირა, მაგრამ სერდარმა არ გაუშვა. თვითონაც გვერდით მიუჯდა და ხელი მოხვია.

დალამებამდე სქოლასტიკური აპანები და სქოლასტიკის უთაო ქანდაკებაც მოინახულეს. მანქანაში შთაბეჭდილებებით დატვირთულები ჩასხდნენ. ღამის გასათევად გერმენჯიქის სამკურნალო წყლების კომპლექსისკენ გაემართნენ. იქამდე, დაახლოებით 30 კილომეტრი იყო. კარგად ჩამოძნელდა. ეფესმა მოაჯადოვათ და დაღლათ. ერთი სული ჰქონდათ აბაზანა მიელოთ და დაესვენათ. სერდარი მის არყოფნაში ჯგუფთან ერთად რაც დაათვალიერა იმ ადგილების შესახებ ლაპარაკობდა. ებრუმ თავი სერდარის მხარზე ჩამოდო და მიიძინა. კაცი ფიქრებში ჩაეფლო. ბევრი საქმე დაუუგროვდა. აფრიკაშიც წასასვლელი იყო, ახალი სასწავლო კომპლექსის აშენებას გეგმავდა და იქაურ სამინისტროსთან დოკუმენტაცია ჰქონდა მოსაგვარებელი...

ფიქრებიდან, მოპირდაპირე მხრიდან, მის ზოლზე სწრაფად მომავალმა სატვირთო მანქანის სირენის ხმამ გამოიყვანა. სწრაფად აანთო საავარიო ფარები და საჭე მარჯვნივ დაატრიალა. შეჯახების და მინების მსხვრევის ხმა ხანგრძლივობა სიჩქმემ შთანთქა...

გასისხლიანებული ებრუს დანახვაზე სერდარი მძიმე შოკში ჩავარდა და რეალობის აღქმის უნარი დროებით დაკარგა.

პოლიცია მაღევე მოვიდა. ამოტრიალებული სატვირთო მანქანის მძღოლი სასწრაფო დახმარების მანქანამ ჯერ კიდევ ცოცხალი წაიყვანა. სერდარი ელექტრო გაყვანილობის ბოძს შეჯახებოდა. ებრუს მინის ნამსხვრევებით საძილე არტერია ჰქონდა გადაჭრილი. ექსპერტმა ოქმში წამიერი სიკვდილი დააფიქსირა. ებრუ 27 წლის იყო.



თინათინ თელაველი

12



თელაველი თელაველი თელაველი თელაველი თელაველი თელაველი თელაველი თელაველი თელაველი

მ ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს ა რ ტ ი ს

რაფ არ უნდა იჩქარო, დოროში განა ეჭევი?!.
 კინდა ჩივის გასწრებას, ვერაფრით, ვერ ეწევი...
 ამად, სულმა, რომ სიყრებლის –
 ზღვა შარქათის – დავლიოთ,
 სულმა: სიყრებლე, ნეტარი, – სიყვარულში გავლიოთ...

თინათინ თელაველი

ქარტია...

მარტია... ცხოვრება იღვიძებს, ჩქეფს...
 ყურს უგდებს ტყის ხმაურს, ექოთი მუღერს,
 ბულბულ-იადონთა საამო ხმებს,
 უხმობს მზის ცელქ სხივებს, სანუკვარს, მწველს...
 გულიც მზით ივსება, არა სცნობს წლებს,
 უკვირს, რომ აქამდე, უშენოდ, ძლებს,
 ის, მხოლოდ, შენ გეტრფის, ის, შენთვის ძგერს...
 მწამს, სიყვარულის მზით, მთებს შევძრავთ, მთებს...

ნეტავ, ზეფი რას მიშზადებს!..

განცდებით დავიარები, ყველგან, – სახლში, თუ კარში,
 ნისლები შემომეჯარა, ბზარი გამიკრთა ხმაში...
 არც კაეშანი არ მტოვებს, კაეშანს, ფიქრებს ვაშლი,
 მაღელვებს, მზაფრავს, ეს, ფიქრი, ჭირხლი ამენთო თმაში,
 ნეტავ, მეც, როდის მეწვევა, სვე, ცეცხლისმფრქვევი რაშით,
 ნეტავ, იგი, რას მპირდება, ოცნება ფრთებს, თუ, გამლის

მოხედვასაგ ვერ ასწრებ...

დროის რაში, ზესწრაფნი, თავანყვეტით მიჰქრიან,
 არც სიცოცხლეს არ სცნობენ, არც სიყვარულს, – ფიქრიანს,
 მოხედვასაც ვერ ასწრებ: დრო, კი, უკვე, გასულა...
 დღეს, რომ ეტრფი მომავალს, ხვალ, დარჩება წარსულად...
 რაც არ უნდა იჩქარო, დროში განა ეტევი?!.
 ვინდა ჩივის გასწრებას, ვერაფრით, ვერ ეწევი...
 ამად, სჯობს, რომ სიცოცხლის – ზღვა შარბათის – დავლიოთ,
 სჯობს: სიცოცხლე, ნეტარი, – სიყვარულში გავლიოთ...

თითქოს...

თითქოს, შენზე ფიქრს მაიძულებს ქარი, მაძალებს, –
 მე... შენზე ფიქრით დავყვები ქარს, ქუჩებს ნაქარევს, –
 და... სიყვარულის ნაპერნელებმა ცეცხლი გაშალეს...
 მწამს, – მოედება, ეს, ხანძარი, შუკა-გზა-შარებს...





გაზაფხულია...

გაზაფხულდა... ცის სიმრგვალეს,
ლოცვა ესმის ამ მთის, ამ ტყის,
ცაც და მინაც მზით ბრნყინვალებს,
მერცხლის ბუდეს შვენის ბარტყი...
ჟღურტულებენ, ჰანგებს ცვლიან,
ფრინველთ დასი, – მთაში ბარში...
სხივს ეტრფიან და იციან,
არ დატოვებს ისიც ვალში...

კვლავ გირფის, კვლავ გელის...

წვეთი, წვეთს პოულობს, –
გზას იკვლევს,
და... ხდება ჩანჩქერი...
განცდა, – წამს დროულობს,
თავს იმტვრევს,
ვით, ქარში წამქერი,
ფიქრი ფრთებს თხოულობს,
ცად იწევს,
მზით ხარობს და მღერის...
გული გულს მოუხმობს,
შენ გნატრობს,
კვლავ გიცდის, კვლავ გელის...

P.S.

და... თუ, ეს ჩანჩქერი,
მზის სხივით ბრნყინვალებს,
ჩემი სიყვარული
შენ გორჩევს
და... იმედს მიმრავლებს...

ოუ, არ ამზევერ...

დრონი მიჰქრიან, რა გითხრა, გული, –
ალარც აისობს, ალარც დაისობს...
თუ, არ ამზევებ, ეს, სიყვარული,
ფიქრში დადნება, ისარს დაისობს...

გულს მისალობუნებს მღელვარს...

გულები, ერთურთს, წრფელად,
ვანდეთ, ვაჩუქეთ მხსნელად,
და... ნეტარებით ელავს,
გული ტრფობისგან ღელავს...
გული ტრფობისგან ღელავს, –
თუმცა, მაოცებს ჯერაც,
ზოგჯერ, უნდობი მზერა,
ნუთუ, ჩემი არ გჯერა?..
ვერ დავიჯერებ, ვერა,
ვერ დავიჯერებ ვერა...
ლამის, გავიჭრა ველად,

რუსთველის ტრფობის მჯერა,
ლამის, ვიარო ხელად,
სივრცეს ფიქრებით ვსერავ...
შენზე ოცნებით მთევარს,
განდობ ფიქრს, ნატვრის მწევარს,
და... გულს, მაგ, გულის მხევალს,
ვით, სიყვარულის მძევალს,
ვით, სიყვარულის მძევალს...
როცა ტრფობის მზე მწველად,
ამინთებს ფიქრთა მწვერვალს,
მზის ნეტარებით ელვარს, –
გულს მისალბუნებს მღელვარს,
გულს მისალბუნებს მღელვარს...

წხოვრება თვითონ გასწავლის...

წხოვრება, თვითონ გასწავლის,
მართო შენი გზის დინება,
სიბრძნე სცნო, დღეის, ან, ხვალის
უფალმა, თუ, ეს ინება...

თელავი!..

თელავია ჩემი მზე, სიყვარულის ქალაქი,
მუდამ მწველი ხიბლით და სილამაზის ბარაქით,
ახალგაზრდა – მარადის, – მატიანით ჭარმაგი,
მზის სიცოცხლის მჩენია უკვდავების არაკით...

ქარი...

ქარი მძლავრობდა, – სად არ იარა...
ირგვლივ, ქუჩები ააწრიალა,
როცა მიწნარდა, – გადაიარა,
ხეთა რტოთ, კვაბლად აჩნდა იარა...

ვით, ქარი – მწვავს...

ქარი ქრის, ბობოქრობს, მაბეზრებს თავს,
მიმღვრევს და მიღელვებს ფიქრების ზღვას,
ლოდინი, – ამდენი, – ვით, ქარი მწვავს,
და... მანც შენ გეტრფი... რას გეტყვი, სხვას?!

გული მიგებდა...

ლამეს ვხატავდი ფერად სიზმრებად,
დილას – რიურაუში ავაგორებდი,
ვიცოდი, კარგო, გული მიგებდა,
რომ სიყვარულით გამაგონებდი...



ჭრობისა არა აქვთ ზღვარი...

აირია ამინდი, ამოვარდა ქარი,
დაიბურა ცა ნისლით, ირგვლივ, არვინ არი,
მე, ქარშიაც დაგიცდი, ტრფობას არ აქვს ზღვარი,
და ნისლსაც მზედ მივიჩნევ, სიყვარულით
მდნარი...

14



ვის?..

თუ, მკითხავენ, ნეტავ, ვის,
აჩუქებ გულს, ვის?..
გული არჩევანს არ სცვლის,
ფიქრი, შენსკენ დის...

P.S.

გონებას, თუ, უბრძანებ,
ფიქრს განმენდს და გაცრის,
გული, შეყვარებული
არჩევანს არ გაცვლის...

ქვეყნად, ყველაფერი,

ვინამე ხევაგვარად...

ოცნება აციაგდა მზის სხივთა სადარად,
სხივები აცეკვდა, ნატვრამ მზით გვატარა,
შენი სიყვარული მალხენდა, მწვავდა, – რა,
ქვეყნად, ყველაფერი, ვინამე სხვაგვარად...

შენ გეჭროი...

შენ გეტრფი, შენ განდობ სიცოცხლეს,
ვგვეარ სიყვარულით მთვრალს,
უშენოდ, ნამით ვერ ვიცოცხლებ,
შენ გიხსნი, ამ გულის კარს.
ერთად შევეგებოთ განთიადს,
ღმერთმა აგვარიდოს ავს,
გულში სიყვარული ანთია,
და... შენ განაცვალებ თავს...

უნდა გვახსოვდეს...

უნდა გვახსოვდეს ქართველებს, ვარჩევდეთ რას და რისაგან,
რომ სიბრძნით უნდა განჭვრეტა, ცხოვრებას, ავ-კარგისაგან,
რომ, ნინაპართა ნათქვამი, ხმად გვესმას: სიტყვად ღვთისაგან,
„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“...

მსურს ეკითხათ, ნეტავ, ჩემთვის!..

ქარი დაქრის, დაჯირითობს და მტვრის ბუქი ზეცას ერთვის,
ლელავს, ლელავს, მაინც ცდილობს, მოეფეროს ზეცას, – ფრთებს შლის,
სად არ სწვდება მისი ფრთები: ვარძიას, თუ, ანყურს, ხერთვისს,
ქარის ფრთებს რად ვინატრებდი? – ხამს ეკითხათ, ნეტავ, ჩემთვის...

სიყვარული, კი, იფურჩენება...

გულის ხმაური, ქარის ხმაურს რარიგ ედრება,
ვერც ტყებმ მალხინა, – ბულბულთ ჰანგთა, – ტკბილმა, – ვერც ხმებმა,
რად არ ისმინა ღმერთმა, ნეტავ, ჩემი ვედრება, –
რად განმიახლეს განცდა მწველი, მწვანე ვერხვებმა?!.
ნატვრა, ოცნება, ერთურთს სცვლის და მზით იმოძღვრება,
ფიქრთა ჭიდილიც თავაწყვეტით სივრცეს ერწყმება...
და... განცდის ტბაში იძირება ტრფობის ლერწმებად...



მარიამ ძამუშავილი

ჩრდილოების მიცდომის ეფინება, მინდონის შავ ფრთებს აფარებს, ზოლფაზოლ ჩაძირავს მზით გაკაშქაშებულ ადგილებს რინდტუნდში. მერე უსერ გადაივლის, უჩინარ-დება, მთების ძირში უშფოთველად განოლილ სიმნელეს ერწყმის. შეა მინდონში მდგარი ოლე რწილა, ცოტები რომ წისუნ აქვს აზიფული, ხან ჩამუქდება, ხან თოთქოს ათასი ნათურით გაანათესო მნელეთიდან ამოტივტივდება.

მარიამ ძამუშავილი

15

ოლოდის გადამუშავების დღის მიზანი ამოტივტივდება და მარიამის გადამუშავების დღის მიზანი ამოტივტივდება.

„შიავ, შიავ, მაპოვენე!..“

სად მეჩებარება?! დილის სიწყნარეში ფეხ-ით სიარულს არაფერი სჯობს. ხმირად ვჩერდები, ვტკბები გულგადახსნილი მთების უურებით. უფრო ღრმად ვსუნთქავ, თითქოს უფრო ახლოს მეჩებენ-ბა, როგორ თამაშობენ ღრუბლები, – ინვართებიან, ქულებად გროვდებიან, ერთმანეთს ასწრებენ. თავს ევლებიან, ხან ფიანდაზად ეგებიან მთების უნაყოფო მწვერვალებს, ნაპრალებში კი მათი ჩრდილების ლიკლივისთვის ვერ მომიწყეტია თვალი. ახორხლოლან, მიჩოხილან მთების უზარმაზარი სილუეტები. მგონია, მათ ზვიად იერს ვერაფერი შეეხება, თუმცა, პანორამა ყოველნამს იცვლება. ქედს გადაღმა რომ გადაიწვერება და პინდდება, მზის სითბოდაკარგული სხივები ჯერ კიდევ ნათელს ჰქონის მწვერვალებს, საოცრება მაშინ აღწევს პიკს. კმაყოფილებას ვგრძნობ, რადგან სწორედ მე მხვდა წილად ამ სასწაულებრივი სანახაობის მონმე რომ გავხდე.

ჩრდილები მიდამოს ეფინება, მინდონს შავ ფრთებს აფარებს, ზოლდაზოლ ჩაძირავს მზით გაკაშქაშებულ ადგილებს ბინდუნდში. მერე უცებ გადაივლის, უჩინარდება, მთების ძირში უშფოთველად განოლილ სიბნელეს ერწყმის. შეა მინდონში მდგარი ოლე რცხილა, ტოტები რომ ცისკენ აქვს აზიდული, ხან ჩამუქდება, ხან თითქოს ათასი ნათურით გაანათესო ბნელეთიდან ამოტივტივდება.

როგორც იქნა მოვწყვიტე თვალი და ყურადღებით მიმოგიხდე.

...ლობის გასამაგრებლად ჩასმული ბოძის გარშემო დიდრონი ქვები შემოულაგებიათ, – ესეც, სკამი.

მავთულის დაბალი ბადე ალაგ-ალაგ ჩაჭეჭყილია, უსწორმასწორო ადგილებზე ხმელი, ეკლიანი ტოტებია გაცრილ-გამოყრილი. მსხვილი ხის მერქანი, ერთი სამაგრითდა რომ იკავებს ღობეს თუ ღობეს უჭირავს, გადაღრეცილა და მიჯნის კაკალზე მიუსვენებია თავი.

ოდესლაც გათხრილი სარწყავი არხის ქვა-ლორ-

ლით და ხმელი, ტალახშემხმარი ტოტ-ბალახით ამოვსებული კალაპოტი ანჯამიდან სანახევროდ ჩამოვარდნილი კარის ქვეშ მიზიდაზნება. ზაფხულის ხვატის მოლოდინით გულშელონებული, გვალვესა-გან დამსკდარ სხეულზე სიძველისგან ძარღვებად ქვეულ ფოთლებს იფარებს. სადაცაა, წყლით გაღი-ცლიცებული, მხიარულად ჩაირაკრაკებს ბექობზე და სიჩქარისგან თავგზაბნებული ეკვეთება წყურვი-ლისგან შეწუხებულ ბოსტნებს. ქლიავისა და თხი-ლის დიდრონ ხეებს კი მწვანე სამოსი მოურგიათ.

მაყვალი და ასკილი გადაუწვამთ. მურიანი ბარდებიდან ამოზრდილი ძირგაშავებული ტყემალი უკანასკნელ ყვავილებს იცილებს.

თხილის გრძელ-გრძელი, შემხმარი ყვავილები გაფოთლილი ტოტებიდან ჩამოკონწიალებულა, შევეხები თუ არა, ვცდილობ მტკრის ოქროსფერ კორიანტელში გახვეულ სწრაფად მოვშორდე ამ სტუმართმოძულება მასპინძელს.

ზემოდან, საურმე გზაზე მიჩოჩიალობს მანქანის უთავბოლოდ განილილი კვალი. იგი ვენახებისა და ბოსტნების შუაგულში უჩინარდება, მკვეთრად უცვევს პატარა კორომთან. აუცილებლად შენიშნავთ მონაბეჭდ ქოხს. ნასხლავისა და ფუჩერის კონების ზორი გეგონება, რომ არა ფართო შესასვლელი ვენახის მხრიდან.

ახლადამოწერილი ხაჭიჭორას თეთრი ყვავილები ჩახშირებულა მოლის სიმწვანეში. ზურგზე გადატრიალებული ჭიამაია შავ ფეხებს ასავსავებს. უმწეოა, ტანს ვერ იმორჩილებს. ფრთხილად ვაბრუნება... მიდი და მიეხმარე, მებუტება, მკვდრის პოზას იღებს, – მადლობის მაგიერია. ხელისგულზე ვათაესებ, ვცდილობ, არ გავინძრე. იგრძნო თუ არა თავი „სამშვიდობოს“, სწრაფად ამოძრავდა. წინ და უკან აწყდება. ხელს მაღლა ვწევ ნელა, შეპარვით. თითებზე მაცოცდება, ეძებს მოხერხებულ ადგილს. დროდადრო ოდნავ გადახსნის დანინებულ მხრებს, კვლავ იბრუნებს საწყის პოზიციას. აგერ, უკვე მტევნის მწვერვალზეა მოქ-





ცეული. ახლა კი ნამდვილად მოემზადა ასაფრენად, – წინა ფეხებზე გადააქვს მთელი სიმძიმე სხეულისა. სწრაფად შლის ულამაზეს, შავი კოპლებით მოჩიტულ ფრთებს, ყაყაჩოს გვირგვინს რომ მიუგავს. შეგნით გამჭვირვალე, უნაზესი ფუნჯით მოხატული ფრთები მზეზე ბრნებინავს და ერთი შეხედვით უღონო მარმაში ასაფრენად უბიძგებს.

იქვე, ღობის გადაღმა, მოლზე ემვება, ხელზე კი ჰანია, მოყვითალო ლაქას მიტოვებს, – საჩუქარიც ამას ჰქვია. მოხერხებულად მიიკვლევს გზას. ისეთი მსუბუქია, წამოყელყელავებული ბალასი ვერც გრძნობს მის შეხებას. უცებ უზინარდება, – სათქმელი პირზე მეყინება, ვერ ვასწრებ ჩაგრჩურჩულო სურვილი, რომელსაც, ვიცი, აუცილებლად შემისრულებს. „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინება,“ – გონებიდან ამოტივტივდა ბავშვობის საყვარელი ფრაზა. თვითონ მიხვდება, ალბათ, რაც მინდა, რა მსურს ახლა, – ვიმედებ თავს. მისი დედისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე კი მაპოვნინა...“

ის საოცარი ადგილი, რა ხანია, დროის ფარდის უკან იმალება, – ეს, კი, ნისლის რძისფერ ტალღათა დაუსრულებელი კედლია. ის გამჭვირვალე. თითქმის, ცხადად წარმოვიდგინე, – ფორმა მიიღო ჩემს ირგვლივ გადაშლილი მიდამოს გარდასულმა იერსახემ, მაგრამ მეორე, უფრო სქელი ტალღა დაიძრა და ჩაინთქა ყოველივე ისე, რომ წყვდიადში აღარაფერი ჩანს... კვლავ ამოტივტივდა მომცრო ტყის „კუნძული“ ნიაზე მსუბუქად მღლვარე ყანის ზედაპირის გადმოლმა.

„სხვა გზამ მომიყვანა ჩემს „სამოთხესთან“, რომლის აღწერასაც ახლა ვაპირებ, მაშინ სულ სხვა იყო...“

აღმართს აათავებს თუ არა, ვენახებისა და ბოსტნების ბოლოში მიხვეტილი მინის მწვერვალზე მოქცეული, უმალ ქვემოთ მიექანება. დამრეცზე ჩაყოლილი, საურმესთან ფეხს ითვევს, ფონი ვერ მოუნახავს და გზის პირში უხერხულად გაშეშებულა. მტვრიანი საფარის ქვეშ გაუპარებია გადაქერქილ-გადაფულებილი ფეხვები, – თვითონ ვერ ბედაგა შეუერთდეს თავისივე ორეულს, თავპირისმტვრევით რომ მიიჩქარის დაბლობში ჩაქარგული ტყისკენ. სანამ მიაღწევდეს, კიდევ სერავს რამდენიმე იარა, რომელიც არასოდეს მოუშუშდება მის საცოდავად დანაწევრებულ სხეულს.

ყვავილებისა და მოზრდილი მცენარეების ეს ვიწრო ზოლი უამრავ წელს ითვლის არსებობისა. რამდენიმე ჰექტარზე წარაფი ისე გაუჩანაგებიათ, მხოლოდ ის გადარჩენილა, სულს ძლივსლა იტევს ნაგვეგ სხეულში. ალბათ, ისიც აღიგვება პირისაგან მინისა.

დილის გრძელი ჩრდილები დაპოვნია გზის მონაკვეთს. ნაპირებზე დატკეპნილი შუაგული ყვავილებითა და ბალახითაა დაფარული. უმალ შეიგრძნობ მათ მძიმე ყოფას, – გვირილის გაჭეჭყილი ღეროდან და აბლაბუდა ფოთლებიდან მწარე სურნელს ნამი ძალას მატებს. ქათქათა, ყვითელგულა

გვირგვინებს კი აუტანელი ტკივილისგან ცვარი ცრემლებად ელვენთებათ.

სამყურას ძირის ფოთლები შეხმობია, ყვავილები, თითქოს ცეცხლს წაუწვავს, ღერო მინაზეა განრთხმული.

დაგვალულ ბალაზზე დადებული მტვერი ნესტს ჩაუმუქებია.

ყაყაჩობი ყანიდან გამოსვლას ვერ ბედავენ. ისეთი ნაზები არიან, მოწყვეტ თუ არა, მაშინვე ჭურიბას იწყებენ. მხოლოდ ცოცხლები ამშვენიერებენ სამყაროს.

ბაბუანვერას ხომ ცხვირი ყველგან აქვს შერგული. სად არ ნახავთ: მდელოებზე, ველზე, ყანისპირებში, გზებზე. არ გაუმართლა, აბა, ამ ხრიოკზე რა სარგებელია. ფუმფულა „წვერს“ ჭორებად დაფანტავდა, მაგრამ შეშინებულს ბედის უკუღმართობით, მეაცრად შემოუკეცავს ყვავილის საფარველი და ხმის ამოლების სურვილი დაუკარგავს.

ქარისგან უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი, მორკალული ფოთლები და მათ ქვემოდან გამომზირალი თავთავები ცის მუქ სილურჯეში, ზოლებად ჩაცურებული ღრუბლების ფონზე მწვანე ზღვად ჩაღვრილა.

თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმული მოლივლივე „საბალო“ მინის ზედაპირზე იზნიქება, – ხან ციცაბოზე ჩარბის, ხან აღმართს მიუყვება შეუსვენებლად. ყანის შუაგული ვერ იტევს მოზღვავებას ყვავილებისა, ფერად-ფერადი კაბები რომ გადმოუფენიათ კიდეებზე.

„უცნაური ყვავილია, გვირგვინის წითელი ფურცლებიდან ყვითელი შუქი გამოკაშკაშებს. ასეთი არასოდეს მინახავს. რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია ამ ადგილზე, მაგრამ მსგავსი ჯერ არ შემხვედრია, არა-და, ნაპირშივე გამოკრთის უზადო მშვენიერებით. სუსტი ნიავის ფონზე არაბუნებრივად ირხევა მისი ნარნარი სხეული. გაოცებული ვუახლოვდები. ვიხ-რები, ყურადღებით ვაკვირდები, ყვავილია... უცებ, ფერები გაიყო, ერთი ნაწილი ჰაერში აფარფატდა – ყვითელმა პეპელამ შავი, „თვალებით“ დაწინწკლული ფრთები და ფეხები შეიბერტყა. „რქები“ შეარხია, მოდებული ნექტარი მტვრად მიმოფანტა და მეზობელ ყვავილზე დაფრინდა. ჩვილის სუნთქვასავით მსუბუქია ეს შეხება. სანამ მყუდროდ მოეწყობა, ნელა იქნებს ფრთებს, თითქოს მეპატიუქება საუფლოში სილამაზისა, სადაც სიცოცხლე დუღს და საღი სუნთქვა ეფინება მოცისფრო სიკამპამეს. ასე, ყვავილიდან ყვავილზე... მივყვები, ფეხებში მაღალი ღეროები მეფინება, მაგრამ, ვიცი, რომ ხვალ ჩემი ნაფეხურები გაქრება და მათთვის ჩემი არსებობა დავიწყებას მიეცემა.

ფეხებსა და ტანსაცმელზე ყვითელი, თეთრყვავილინი ბუსუსა სარეველა მეწებება. ვიცილებ, თუმცა ბოლოს იმდენი გროვდება, ფეხებს მიბორკავს...

ის კი მიფრინავს, თვალთაგან მიქრება.

ყანის თავზე მარადისობა სუნთქავს,





ლივლივებს, ღრმად მიზიდავს თავის წიაღში.

ნამიან ბალახს ადრიანი დილის სუნი უდის. ქარი არ არის, მაგრამ ნარნარად ირწევა ყანის ზედაპირი. ლეროები დროდადრო უმიზეზოდ ირწევა, ერთმანეთს ეშარიშურება. მის ზემოთ ახალგა-მოლიძებული ფრინველები დაფრინავენ. თითქოს შორიდან ტკბებიან სანახაობით. სიმწივეში რომ შევა ხორბალი, მხოლოდ მაშინ სტუმრობენ გემრიე-ლი საკენის საშოგნელად. თავთავები მათ სიმძიმეს ვერ უძლებს. გვერდით ჩაუფრენენ, ჩამოაცლიან მარცვალს, კვლავ ბრუნდებიან. ცარიელჩენჩიონი დერო წელში იმართება. არის, ერთი, უივილ-ხივილი.

ცის თაღს ვარსკვლავები ყვავილებად გად-მოუბნევია, თუმცა, დაღამდება თუ არა, კიდევ მილ-იონობით ცივი, ცისფერთვალა ლამაზმანი იკეკლუ-ცებს.

ყვავილებზე მწერები დაფუთფუთებენ. მიუახ-ლოვდები თუ არა, ფრთხებიან, იხიზნებიან, მაგრამ გამჭვირვალეფრთიანი პეპლები ყურადღების ღირ-სადაც არ მთვლიან....

მღრღნელები მუდმივ ფუსფუსში არიან. წლის ყოველ დროს საქმე აქვთ, მოსავლის ალება, დაბინა-ვება, ახალ მოსავლამდე მორჩენილი საკვების მოვ-ლა- პატრონობა.

წლის ამ დროს საოცრად ლალობს მზე.

ყანაში გულალმა ვწვები, თითქოს, მიუვალ კოშები მოვიკალათე. გახურებულ სახეზე გრილად მელამუნება ლეროები. კამკამა ლურჯი ცის გარდა, სადაც ორიოდე თეთრი ქულა დაცურავს, არაფერი ჩანს. ხანდახან ჩიტი გაიელვებს. ისე კაშვაშებს ყვე-ლაფერი, თვალის გახელა მეზარება, ვტკბები ამ სანეტარო სიმშვიდით....

იდილიას ხელზე შეცოცებული ბუსუსა მატლი მირღვევს. შხამიანი ხაო უსიამოვნოდ მილიტინებს. ისეა გარემოს შეხამებული, ვერც კი შევნიშნე.

...ხორბლის დაჩიავებული ლერები გზაზე გადარბიან. თავშესაფარი მოუნახავთ ტყეში, მინდ-ვრიდან ერთი ხელის განვდენაზე რომ ბუტბუტებს თავის ყოველდღიურ სათქმელს. აქ რამ მოიყანათ დიდებული სამყოფელიდან, სადაც ჩახშირებული თავთავების ზღვაში ყაყაჩობის „ნაკვერჩხლები“, ნისლის კვამლად უცხვევა ცვარს, ყანის თავზე რომ დაფრილა და მსუბუქად ზნექავს ზედაპირს. ნაწილი ფოთლების წვერებზე დაკიდებულა გამჭვირვალე წვეტებად. საოცარია მათზე არეკლილი მწვანე. ნაწ-ილი კი ზემოთ მიემართება.

მინდვრის ბინადრები ტანის გრაციოზული რხევით აჰყოლიან ნიავს, წუხანდელი წვიმისგან შემორჩენილ წვეტებს რომ უფერთხავს.

...დიდი ვერაფერი შვილა, ოდესლაც დიდებუ-ლი ტყე მასში განსხეულებულა.

რამდენიმე სე დარჩა. თითოეული მათგანი გარ-დასულ დროს უკავშირდება, ტოტითა და ფესვით წარსულის სუნთქვას აფრქვევს. დაკოურილ, ძლი-ერ ძირზე ალყა-ალყა აყრილი ქერქის ქვეშ შავი ჭიები დაფუთფუთებენ, რომელთა გარქოვანებულ

ფრთებზე მზის სხივები აცურებულა. მერქნის საფა-რველის ქვეშ თხელი აპკი ზოლ-ზოლ არის დახეული და ხელის შეხებაზე იფშვნება.

ჩაფიქრებული დგანან ხეები, თითქოს, წარ-სულს იხსენებენ. მაშინ სიცოცხლით სავსე ახალ-გაზრდები იყვნენ. შემთხვევით გადარჩენილები ზე-მოდან დასცერიან სამყოფელს.

ზედ შუაგულზე ვეება, ჩამწვარ-ჩაშავებუ-ლი საუკუნოვანი მუხა „უკანასკნელად“ ივსებს დასნეულებულ ფილტვებს ჰაერით. იყო დრო, უზარმაზარი სხეულით რომ გადაფოფრებოდა ახ-ლომახლო ხეებს. იმსისხო ტოტები ჰქონდა, სხვა ხეებს ტანის მაგივრობას გაუწევდა. ფოთლები, თითქმის მინას ეხებოდა. მათი შარიშური სიმღე-რად იღვრებოდა განთიადის ბინდუნდობი. სიმღერას ერთი და იგივე დროს იწყებდა. თითქოს, ნიავიც ამ დროს ელოდებოდა. ვიოლინოების მსუბუქი აკომპა-ნიმენტის თანხლებით ამო აურად ეხვეოდა მშვიდ სამყოფელს სიცოცხლის საოცარი აფეთქებისა, ნელი ზმორებით რომ ერკვეოდა ძილიდან. ბუდეე-ბის კიდეებზე ჩამომსხდარან ჩიტები, ზოგიც წვრილ ტოტებზე ქანაობს მუსიკის ტაქტს აყოლილი. ყვე-ლამ თავისი უნდა ჩააჭიკვიოს ამ დიდებულ იმ-პროვიზირებულ მელოდიაში. ქარი მათ კუდებს მარაოსავით შლის. უცებ, რომელიმე მათგანი აფრინდება, მწერს მოიგდებს ნისკარტში, კვლავ უბრუნდება ადგილს, დროულადაც, – ზუსტად მისი პარტია შესასრულებელი.

ახალი დილა ძალაში შედის. ტყე სუსტ ნისლშია გახვეული. ამ მორუხო ფერის აბრეშუმის ზენარს იქით მოჩანს მახლობელ ხეთა კენწეროები. გრაფი-კული გამოსახულების ნიმუშს უფრო ნააგვას, – ბუ-რუსს ყველა ფერი თავის თავში დაუტყვევებია.

სადაცაა, უხმაუროდ ამოცურდება მზე. მისი მენამული დისკო სწრაფად აფენს ჩრდილებს, რო-მელიც ფეხქვეშა წაფერდებული. იგი თანდათან იკრებს ძალას და ბოლოს, ჩამუქებული ნებიერად ნამონვება ხეების ქვემოთ.

ტოტებშუა ჩამოცურებულ სხივს ხელს ვუშვერ, – მის მტვრიან ზედაპირს გზას ვუჭრი. მუქში მომ-წყვდეული ამაოდ ცდილობს გზის გაგრძელებას. ბოლოს წებდება, ხელისგულზე იყუჟება და გამ-ჭირვალეს ხდის მას.

მინაზე ჩრდილისგან მოჩითული ადგილები ოდნავ მოძრაობს. სიი მიეალერსება, – შეატოვებს ტოტ-ფოთოლს. ყვავილებიც აჰყოლიან ამ თამაშს, – ხან გამამუქებენ სინათლეზე მოხვედრილები, ხან ბენელში უჩინარდებიან და რუხი ფერი ედებათ.

ყვითელი ხავსი მწვანე ძალაშია შერეული. თითქოს წვრილ-წვრილი ვარდისფერი ყვავილები ამოუქარგავთ. სასიარულოდ ისეთი რბილია, ფეხი შიგ მეფლობა.

ქათქათა, კიდეებშემორღვეული ლოკოინას ნიჟარა საცხოვრებლად ალარა გამოსადეგი. ნეტავ მის პატრონს რა ბედი ეწია?

მინაზე ნაზი ხავერდოვანი, მწვანე ბუსუსით





დაფარული ლოდები ყრია. იქვე, ყოვლად გამოუსა-
დეგარი ნარეკალა ყელყელაობს, ფრიალა ნაყოფით
იხუნძლება, რომელიც ჯერ მწვანეა, შემდეგ იქროს-
ფერში გადადის და ბოლოს მზე-წვიმაში ქარისგან
მუქდება და ყავისფერს იდებს.

...წყალი საიდან გაჩნდა, ვერ გამიგია, მშვიდად
მიწანწერებს ტყის სიღრმისკენ. კიდევბზე ცოცხ-
ალი, მწვანე ხავსი დაუტბორავს, ფსკერიც მისითაა
გადალესილი. უსწორმასწორო, დაკლაკნილი სადი-
ნარი გიგანტურ მახრჩობელას მიაგავს, რომლის
მხოლოდ შუაწელს ვხედავ. თავი ტყეში შეურგია,
კუდი კი მიწიდან მოძვრება ფრთხილად. მარტოდმ-
არტო მიხაკისფერ სხეულს არხევს, ადგილიდან კი
არ იძვრის. ეკლიანი, ჩახშირებული ბუჩქები, ხეთა
ჩაქინდრული ტოტები მზრუნველად იცავს მას მცხ-
უვარებისგან.

ფოთლებიდან გამოჭრილი მზის სინათლე
თეთრ ლაქებად იძნევა ბალახზე. ტყის მარწყვის
„სიმორცხვისგან“ გაწითლებული ნაყოფი დაკბი-
ლულ ფოთლებსაა მოფარებული.

შეყვითლებული ფოთოლი მოგლივა ქარმა.
რაღა მისი შეელა უნდოდა, ისედაც მალე აპირებ-
და, მისგან შენუხებული, ფორიაქით შეპყრობილი,
მოღლილი სხეულის მოსვენებას. წყლის ზედაპირზე
დაცემული ქვევით მიისწრაფვის. დროდადრო ჩერდება,
დატრიალდება, თითქოს, ელოდება
მიდევნებულ მდინარებას. და, აი, პანია ტალაზე
ამხელრებული აგრძელებს გზას ტორტმანით და უჩ-
ინარდება ტყის სიღრმეში...

მარტო ვდგავარ, მხოლოდ სიმარტოვეში ვეზი-

არები საოცარ სილამაზეს, ნარსულის დღეებს რომ
უჩუქებია ჩემთვის. ფიქრში ხელს არავინ მიშლის.
მესმის როგორ ფაჩუნობს ბალახი, მზის სხივში, ფო-
თლებს შორის რომ იპარება, როგორ რიალებს მტ-
ვრის უწვრილესი ნაწილაკები, როგორ იტაცებს და
მიაქანებს აბლაბუდის ნაგლეჯს ქარი ცაში.

მთები კი კვლავ ლურჯია, ლურჯი. თეთრი
ლრუბლების ფარა მიიზლაზნება და კალთებზე
დაფენილ ჩრდილს მიყყოლებს. ქარი ფხიზლად და-
რაჯობს „სამწყსოს“, ხევში გადაჩეხვის საშუალებას
არ აძლევს.

დრო, თითქოს საათის ისრებს ჩამოეკიდა...
მაინც გადის...

მზის დისკო გადაგორდა ცის უსასრულო სიღ-
რმეში. მთების გაგრძელებული, ჩალურჯებული
ჩრდილები სწრაფად მოიწევს. სადაცაა, ლამე ბნელ
კალთას გადმოაფარებს ამ მშვენიერ ქმნილებას, –
კუთხეს, რომლისთვისაც ბუნებას არაფერი დაუშუ-
რებია.

ლამურამ ფრთების ჩუმი შრიალით ჩამოიფრი-
ნა. ლამის სიომ ტყე შეაურულა.

სავსე მოგარე ამოცურდა და უნდილად დაედევ-
ნა დაგლეჯილ ღრუბელს. მისი შუქით განათებუ-
ლი ყვავილები კაშკაშებენ, თითქოს ირგვლივ ყვე-
ლაფერი სუნთქავს. სურნელით გაჟღენთილი ლამე
ჩამოწვა.

რა კარგია, ამ დროს გასეირნება...

...არ მეძინება. ოცნებას ვაგრძელებ და ამ დროს
შორეული ვარსკვლავებიც ახლოს მეჩვენება....



მხატვარი ბექა ხუცურაული



თამარ კოლელივალი

10. **What is the primary purpose of the `get` method in the `HttpURLConnection` class?**

ଲୋକଗୀତ...

ვნოლვა ვნახე საოცარი, –
ენით გამოუტქმელი,
ცას ფარავდა – რაღაც, – მკრთალი,
მრუბე, როგოც – ღრუბელი...
ანგელოზი ირეოდნენ,
საბურველი ეფარათ,
მხოლოდ, ეშმას მზერა ტანში,
მესობოდა ეკალად.
გულზე მეწვა სევდის ლოდი,
ვცადე, ვერ მოვიცილე,
თითქოს, ჩემში დაებუდა,
ხალხთა ცოდვის სიმიმეს,
მერე, უცბად, რაღაც ძალამ,
მიმაჯაჭვა ადგილზე,
გასხივოსნდა, ირგვლივ, ცა და...
ნეტარებით ავიცხე...
„ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით“,
როგორც, ზღაპრად ამბობენ, –
ვნახე მხარე, სინატიფით,
მშვენიერი წალკოტზე.
აქ კი, მდუმარ კლდეთა მიღმა,
ცივი ქარნი გოდებენ,
თანაც, თითქოს, ქაჯებივით,
დევნი დააპოტებენ...
ზოგჯერ, უცხო მდუმარებით,
ქრება ცეცხლი – თვალებში,
სადღაც, სვავნი თარეშობენ,
„ზევით, თუ, სამარეში“...
ღმერთო, გვედრებ, აგვარიდე:
ქვეყნად დიდი სასჯელი,
სულ, პატარა ლხენა მოგვეც,
დრო გვაძორე – მტანჯველი...

ଅନ୍ଧାଳୁଳିରେ ନିର୍ମାଣକାରୀ,
 କର୍ତ୍ତାଙ୍କରୁଗ୍ରେଣ୍ଟି ପ୍ରକାଶକ,
 ମୋଳନାଙ୍କ, ପରିଷକ ମହୀରା ଫୁଲଦୀ,
 ମେହାନାନ୍ଦା ପ୍ରାଣଦୀ.
 ଘୁମ୍ଭାରୀ ମେନ୍ଦର ଶ୍ରେଷ୍ଠିକ ଲୋଭ,
 ପରିଜ୍ଞାଏ, ପ୍ରାଣ ମନ୍ଦିରରୁଲ୍ଲାରୀ,
 ତାତ୍କାଳି, ହୀମିଶି ଫାର୍ମରୁଲ୍ଲାର,
 ବ୍ୟାଲିଶତା ରାତ୍ରିଯିକ ଶିଖିମିଶି,
 ମେରୀ, ପୂର୍ବରାତ୍ରି, ରାତ୍ରିକାର କାଳମି,
 ମିଳିକାଶୁଭ୍ରାତା ଚାରିଲିମ୍ବୀ,
 ଗାତ୍ରିବ୍ୟାପକର୍ତ୍ତା, ନିର୍ବିଲ୍ଲାପି, କାହା ଫା...
 ନେତ୍ରକାର୍ଯ୍ୟରେ ଆପିକ୍ଷା...

ગુજરાત પ્રાચીન લિંગા



მე, მაფლობელი ვიქები –
შენი...

ქარმა ნაილო ჩემი ოცნება
და... შორს, მინდორში, ველად გაშალა,
იქნებ, გადასცა ჩემი ნანილი,
მინდვრის გვირილას, მორცხვს და პატარას...
გული სხეულში ვერ დავატიე,
თითქოს, ყველგან ვარ: ქარშიც, წვიმაშიც...
და... უჩინარი, მქრქალი მანტიით,
თავდახრით ვდგავარ – მე, შენს წინაშე...
სამყაროს გულის რიტმულ ხმას ვუსმენ
და, უნებურად, ვიკსები რწმენით,
როდესაც, მერე, მიგხვდები, უცეპ,
მე, მადლობელი ვიუნები – შენი...

အနုလုပ်စဉ်၏ မြောက်ပို့...

სხვისგან მოვითხოვთ – რაიმეს, – ხშირად,
ვერა ვერძნობთ, რომ ჩვენც ვაშავებთ, ზოგჯერ...
და... ჩვენს სხეულში, უძფოთვლად, სძინავს –
უნებურ ცოდვის ჩადენის მოწმეს...
ცხოვრება ათას ტკივილს, რომ ბადებს,
დაღლილი მხრებით მივარღვევთ მორევს,
ჩაგდესაფრებია მსახურალი ბადე,
მანც, დღითიდღე, ვიმრავლებთ ცოდვებს...
...სტკენის გალიაში პატარა ჩიტი,
სტკენის, უკვე, ნაჯნობ, სევდიან მოტივს...

რა მინდა – მეტი?..

20



დრო ინანილებს იდუმალ სევდას,
სულს, რომ ეხვევა – ლაბირინთებად,
„გუშინდელ სიცილს“ ფრთას მოსტებს ელდა
და... ლამე – ფიქრით გადაიღლება...
მომასხი მხრებზე, ეგ, სილბო უხვად,
ახლა, ყოველი, თითქოს, წაშლილა,
გუშინ – „ვგიურბდი“ და... დღეს კი – ვწუხვარ,
როგორც, შენ ამბობ, დიდი ბავშვი ვარ...
მე ვიცი, ქარი ჩადგება, – მალე...
და, შენც, არ გინდა, რომ დარჩე კენტი,
მომიძღვენ ია, – თვალმოცინარე,
მე, ქალი ვარ და... რა მინდა – მეტი?..

ჩვენსავით წუხს და ჩვენსავით სტკივა,
ჩვენსავით იქნის, ჩვენსავით კარგავს.
ის ყვავილშია, ფოთოლთ შრიალში.
მთების მწვერვალთა სიდიადეში.
ვაზის კვირტშია, პურის ხმიადში,
ჩვილის ლიმილში, დედის თვალებში...
ის, ალიონზე მოჰყვება რიურაჟს
და... მზის სხივივით შემოდის ჩვენში,
დასახმარებლად გაწინდება იმ წამს,
ყოველთვის, როცა – წუხილი შეგვშლის...
რაც უნდა მტრობამ, დარდმა გაგვთელოს,
მაინც, დიდია ჩვენი მიზანი,
ბედნიერნი ვართ, რომ ვართ ქართველნი,
შოთას, ილიას ჯილაგისანი...

განწყობა...

ცახცახებს სული... წვიმაში დგახარ...
იხსენებ ისევ... ფოთოლთა ცვენას,
ბენელა ხევები იწყებენ ხარხარს...
დუმილით წერენ ტრაგიკულ სცენარს.
...სული, ოდესმე, მიღებს შვებას,
ყოფიერების მწველ იჭვებს სდევნი,
საით მიგაგდებს განგების ნება,
რა ძალამ შექმნა სამყარო შენი?!.
მინა სველდება, – შენსავით, უხმოდ,
შორს მთებია და... სიშორე – ლურჯი,
მინა, უსიტყვოდ, აიტანს წუხილს,
მაგრამ... როდემდე?!! უფალმა უწყის...

ჟიყვარული ყავლი ან გასვლია...

დრო, თუ, სიურპრიზებს აღარ გჩუქნის,
წლებმა, თუკი, კვალი დაგაჩნია,
არ გატყდე, არ დანებდე, ერთი წუთით,
ცხოვრება, მაინც, ლამაზია.
ისე ხასხასებენ – მიმოზები,
ვარდებს კი კოკრები გადაშლია,
ირგვლივ, ყველაფერი იმოსება,
ველზე – ლალი და ალმასია.
ზეცით კურთხეულა საქართველო,
სიყვარულს ყავლი არ გასვლია,
გულიც, ისევ, ისე ნაირფერობს,
შენზე ფიქრი, ისევ, დამასია,
რა დროს – მტრობაა და... განსაცდელი?!.
სიცოცხლე – ისეთი ლამაზია...

ბედნიერება...

მაინც, რა არის – ბედნიერება? –
იქნებ – სიმდიდრე? იქნებ – ლირსება?
ზოგისთვის, წინსვლა, შექმნა, შენება,
ზოგისთვის – ფუჭი თავდავიწყება...
მაინც, რას ჰქვია – ბედნიერება?
იქნებ, ოცნებას, ანდა – იმედებს?..
მე ვუწოდებდი იმ კაცს ბედნიერს,
ვინაც სიკეთეს სხვისთვის იმეტებს...
ვინც, უანგაროდ, იღვნის ქვეყნისთვის,
მოყვასის ტკივილს მიიჩნევს თვისად,
გასაჭირში მყოფს – დააიმედებს,
სისხლით დაიცავს – საკუთარ მინას.
მაინც, სად არის ბედნიერება?
ის, თითოეულს, დაგვუვება, ალბათ,

და... როიალზე სანთლები ენთო...

ზეცა, ბავშვივით, აპირებს ტირილს,
სიცხეა ყველგან, ივლისი მეფობს,
მუსიკოსს ჰქონდა თითები თლილი
და... როიალზე – სანთლები ენთო...
თითქოს, მოსტვამდა ვიღაცა, – შლეგად,
სადღაც, სიცხისგან დალლილი სულით,
უნიათობის წუხილი, – ლეგა,
ჩიოდა ბედზე, ვით – მარტოსული...
სულში ანენილ ფიქრების ნაკადს, –
ბრამსს შეენაცვლა – შტრაუსის ვალსი,
მეგონა, ჯერაც, ვედექი – ალმართს,
თუმცა, დალმართი შევიცან გზაში...



ივერია კავშირის მილი

ვაკეს უკრაფლებს ან გამოჩეროვია ეზოში მოუსკეფეც
დედა-შვილი და მათი მოუთინავი ეზო. მერე კი, არე არავა,
არე აწევა, გრიფონ სული მხარზე და მეღეს ეზოსკენ
გაემპორო. სტუმროდ ვარ თევენს მეზონლოა, მომენტინა
და თუ ან გრძინინგრო დაგებმარებითო – შესძხო გადაირ-
ცემულ ქალებს მისალომების შემდეგ და ჩალი მოიმარტვა.
მწირე ხინს შემდეგ, ქალებმა მოხალისე მოიძარა სახლში
შეიძინების. მეღები და ვაკები მაღლეულე გაუგეს ერთობინას.
ვაკეს ნასვლა ალარ უნდოდა და მორიცებით იყიდა კიდევ
რა გატევო გადაცემების მიხებითი...

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନକାରୀ



ერთსალ სოფელი

მეტად კეთილი და უცნაური ადამიანის ჩვენი ვაჟა. ჩემი თუ არ გვერათ, თავად განსაჯეთ. მხოლოდ ერთ ისტორიას მოგიყვებით და არწმუნდებით, რომ ეს მართლაც ასეა.

ერთ ზაფხულს სოფელში ახლობელი გარდაგვეცაალა. ვაჟამ გვთხოვა რაჭაში არასდროს ვყოფილვარ და მანქანაში თუ ადგილი გექნებათ წამიყვანეთი – ჩვენც წავიყვანეთ. მე და ვაჟა სკოლაში და უმაღლესშიც ერთად უსნავლობდით, ამავდროულად ჩემი მეუღლის ჯგუფელია. მოკლედ, რომ ვთქვა ჩვენი ოჯახის ძევლი მეგობარია. ძევლი მეგობრობა კი, სიყვარულზე უფრო დიდია, რამეთუ თვით ჩვენს ნაწილს შეადგენს.

ვაჟამ თბილისის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სნავალა მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწისის უნივერსიტეტში განაგრძო, შემდეგ ხარისხიც დაიცვა და ოჯახის შესაქმნელად ვეღარ მოიცალა. თუმცა, სტუდენტობის პერიოდში ჩვენი ჯგუფელი გოგონა უყვარდა. ოჯახის შექმნასაც ფირრობდა, მაგრამ სამხედრო სამსახურში გაიწვეის. შემდეგ კი ისე მოხდა, (თავადაც, რომ ვერ გიპასუხებთ რატომ?) – შეუყვარებულს ჯარიდან მიწერა – ნუ დამელოდებით და ის გოგოც ჯინაზე გათხოვდა. ვაჟა ვერ ივიწყებდა პირველ სიყვარულს და მას შემდეგ აღარავინ შეჰყვარებია. მთელი ცხოვრება აუხდენელის სინანული სტანჯავდა, ნანობდა თავის დაუფიქრებელ ნათქვამზე, მაგრამ სინანულით ვეღარაფერს შეცვლიდა. გასამხნევებლად კი ემირ ზოლას სიტყვებს იშველიერდა: „ქალის მიერ მიყენებული ქრილობა, აღერსივით სასამოვნოა მაინც“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ვაჟა ყოველთვის თავს არიდებდა ოჯახის შექმნაზე საუბარს და ორმოცდათი წლის ასაქშიც ბავშვითი იმართლებდა თავს – უსიყვარულოდ ვერ დავჭირონიდებით და ჩვენს შეძახილს „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს“ ყოველთვის ბანზე ააგდებდა, თუმცა გვჯეროდა, რომ გულის სიღრმეში მაინც ექცებდა საიმედო საყრდენს – მეორე ხახვარს.

გზა საუბარში მაღლე გაილია, მხოლოდ თერ-

ჟოლაში შევჩერდით მინერალური წყლის საყიდლად. მაღაზიის შესასვლელთან ხელმარჯვნივ, სახაფაპურის ღია კარიდან მადისაღმძვრელად იმზირებოდნენ იმერული ხაჭაპურები. იქვე, ლამაზ პირსახიანი წითელ მაისურიანი ყმანვილი ტრიალებდა, ხაჭაპურებს მისჩერებოდა და ხურდა ფულს გულმრიდგინედ ითვლიდა ხელისგულზე. ეტყობოდა თანხა არ ჰყოფნიდა შესაძენად, თურმე ნუ იტყვით, ეს ყმანვილი ვაჟამაც შეამჩინა, შეიძინა რა ხაჭაპურები, ერთი დახლზე დატოვა და გამყიდველს სთხოვა ყმანვილისთვის ხაჭაპური მიეწოდებინა და დამაჯერებლად ეთქვა, რომ იღბლიანი მეათე მყიდველი იყო და მას საჩუქრად ხაჭაპური ეკუთვნოდა. ვაჟასთან არასდროს მოიწყენთ, მისი თავგადასავალები ყოველთვის მხიარული კურიოზია..

ერთხელ მის ბინაში ქურდები შეიძარნენ, – ალ-ბათ იგონათ რუსეთში სიმღიდოების დააგროვებდათ.

მთელი სახლი თავდაყირა დააყენეს, მაგრამ მოსაპარი ვერაფერი ნახეს. ვაჟამ საკეტი გამოცვალა და კარზე განცხადება გამოაკრა: კარი არ გატეხოთ – მოსაპარი არაფერი მატესო.

ნაქერალაზე გზას რომ ავუყევით ვაჟა ყოველ 20 მეტრში მანქანის შეჩერებას გვთხოვდა და ბუნებით მოხიბლული აღტაცებას ვეღარ მალავდა: ხან ამწვანებულ მთებს, ხან წყაროებს, ხან შაორის სანაპიროებს ფოტოებს უღებდა და ჩანახატებას ცაკეთებდა პატარა რვეულში. ხოლო, როცა ცადალმართული ცხრაჯვარის მთა დავანახეთ თვალებგაბრძყინებულმა წამოიწყო „ბაშიაჩუკის“ სიმღერა და ჩვენც ავყევით. ვაჟას სიმღერა უყვარდა. უნივერსიტეტში ნიჭიერთა და საზრიანთა კლუბის საპატიო წევრი იყო, მუსიკალურ ინსტრუმენტებს კარგად ფლობდა, პოეზიაზეც მიუწვდებოდა ხელი და თავ-ადაც მრავალი ლექსის ავტორი იყო. ვაჟა თითქმის ათი წელი რუსეთში მოღვაწეობდა. სამშობლოს მონატრებული კაცი გრძნობებს ვეღარ მალავდა და ილიას სიტყვებს: „კარგი რამა ხარ, ჩემი ქვეყანავ, ლამაზად მორთული და მოკაზმული, მაგრამ რამ-“





დენადაც მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“-ო გულაჩუყებული იმეირებდა. მცირე პაუზის შემდეგ კი, პოეზიაში გადაინაცვლა და ვლადიმერ მაიაკოვსკის სტრიქონები ომახიანად წარმოთქვა:

„მე ვიცი უმღერდნენ ედემს და სამოთხეს,
მაგრამ, თუ ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ საქართველო ედემად გამოჰყეს,
მასზე თუ გალობდნენ მგოსნები.“

ხარისთვალას ხიდი, რომ გავირეთ და სოფლისკენ ავილეთ გეზი, ერთ პატარა სასადილოსთან შევისვენეთ. მზარეულმა უმალ გაშალა მაგიდაზე რაც ჰქონდა: ლობიანი, ხაჭაპური და საზაფხულო სალათები. მერე კი, მოგვიბრუნდა და კიდევ რას მიირთმევთო გვეითხა. არ ვიცი რატომ და, ვაუამ მზარეულს სთხოვა „ჩიუი-ბიუი“ გაგვიკეთო. მიეცა საფიქრალი ანზორ მზარეულს – ეს „ჩიუი-ბიუი“ ნეტავი რა არისო. მცირე ხნის შემდეგ სუფრასთან მოვიდა და მობოდიშა – სამი დღეა ბატონი, ხორცი არ მიმილია. ატყდა სიცილი, სასაუზმეში სულ ოთხი მაგიდა იდგა, ერთ-ერთ მაგიდასთან ოთხი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა, დინჯად საუბრობდნენ და თან ლუდს შეექცეოდნენ. ეტყობა გაიგონეს ჩვენი საუბარი და მზარეულის პასუხზე დიდხანს იცინეს. მერე, ერთ-ერთი მათგანი დაპნეულ მზარეულს მიუბრუნდა და სიცილითვე მიმართა: გათქვითე კვერცხი და ტაფაზე დაასხი შეკაცო – ეგ არის „ჩიუი-ბიუი“, ხორცი რა საჭიროა და ისევ გააგრძელა სიცილი. ყველა გამზიარეულდა. დაპნეული მზარეული დაუყვიტებოდა ჩამოჯდა მაგიდასთან და ისე აკვირდებოდა სასადილოს ინტერიერს, თითქოს პირველად ხედავდა. უხერხული მდგომარეობიდან ისევ ნაცნობმა ახალგაზრდებმა გამოიყვანეს – ლუდი მიანოდეს და მიიპატიუეს, მერე კი სთხოვეს, კიდევ ერთხელ გაეხსენებინა წლების წინ თავს-გადამხდარი ამბავი, თუ როგორ იშოვა ერთ ლამეში იმდენი ფული, რამდენსაც როგორც თავად ამბობდა ერთ თვეში ვერ იშოვიდა კაცი. ეს ამბავი სოფელში თითქმის ყველამ იცოდა, მაგრამ ახალგაზრდებს ანზორის გამზიარეულება სურდათ. მაგიდები ერთმანეთთან ახლოს იყო, ჩვენც კარგად გვესმოდა მზარეულის მონათხრობი:

ერთ საღამოს, სასადილოში გვიანობამდე შემოვრჩი. დაღლილი ვიყავი და სახლში წასვლა დამეზარა. მივალაგე რა ყველაფერი კარი გადავეკტე, შეუქი გამოვრთე და სკამებზე წამოვწექი დასასვენებლად. ის იყო ჩამთვლიმა, რომ კარზე უხეში ბრახუნი გავიგონე. ცოტაც, რომ დამეგვიანა კიდევაც შემოანგრევდნენ. კარი გავალე, ჩემ წინ ხმამალა მოლაპარაკე სამი ახალგაზრდა კაცი იდგა, – წასვამები ჩანდნენ. გარეთ მანქანების ფარები ანთეპული იყო და თეთრი ფერის უცხო მარკის მანქანა ადვილად გავარჩიე. შემოჭრილ ახალგაზრდებს შევნებულად ავუხსენი, რომ სასადილო დაკეტილი იყო, მაგრამ კედელს ცერცი შეაყარე...

ერთ-ერთმა მათგანმა მანქანაში დარჩენილ მეგობარს გასძახა – ტიტიკოს პური (საცხობი ამბოლაურში) არ დაგავინყდესო და მერე მე მომი-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ტრიალდა – რაც რამ საუკეთესო გაქვს ყველაფერი მოგვიტანე და შენც ჩვენთან ერთად დაჯექიო – მიბრძანა და საუბარი გააგრძელა. მე სამზარეულოში გავედი, თუმცა მთელი ყურადღება მათკენ მქონდა. რაღაც საქმებს არჩევდნენ, მაგრამ მე რას გავიგებდი. ხან აფხაზეთის ომს ახსნებდნენ, ხან ვიღაცას ემუქრებოდნენ და ლანძღავდნენ. საქართველოს სადლეგრძელოზე კი ერთ-ერთმა მათგანმა მჯილი ჯერ მეტობზე დაირტყა და მერე მაგიდას ისეთი ძალით დაარტყა მუშტი, ჭურჭელმა ხტუნაობა დაიწყო. მოკლედ, ეკლებზე ვიჯექი და შეშინებული შევყურებდი გუნებამღვრეულ ახალგაზრდებს. ვნატრიობდი როდის ადგებოდნენ მაგიდაბა, მაგრამ საქმის გარჩევას და სადლეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა. ჭიქას ბოლომდე მაცლევინებდნენ და ჩემს თავზე გაძრაზებული მალე დავთვერი. მოულოდნელად ერთმა გრძელწვერიანმა იარაღი ამოილო და ჰაერში ისროლა. ყველაფერი აირ-დაირია და მერე რა მოხდა არ მახსოვეს. როცა გამოვცხიზლდი, მორიალებულ მაგიდაზე ჩემს მკლავებზე ვიყავი დამხობილი. ძირს, ფეხებთან კი ცარიელი არყის და ლუდის ბოთლები ეყარა. დახლზე ქალალდი იყო წარწერით – გადახდილია!... სასადილოში აღარავინ იყო. მაგიდაზე კი იმდენი ფული ეყარა ერთს კი არა ათ მაგიდას გაისტუმრებდა.

დრო ისე გაიპარა, დაკრძალვას სულზე მიგასწარით. მიცვალებული ადრე გამოასვენეს. ასწელს მიტანებული იყო და აღარავინ ტიროდა. ანდერძის თანახმად, ძველ სასაფლაოზე უნდა დაეკრძალათ მშობლების გვერდით. ძველი სასაფლაო საკმაოდ შორს იყო სოფლიდან.



აღმართზე ფეხით სიარული გაგვიჭირდა, სულ ბირკით ავიესეთ. საშინლად ცხელოდა. ხალხის ნაკადს ოდნავ ჩამოვრჩი და ეულად დარჩენილი საფლავის დიდ ქვასთან შექმრდა, ბედს შეგუებული ყველასათვის ამოუხსნელი სიმშვიდით, რომ დამკვიდრებულიყო ცასა და მინას შუა სიცარიელეში. ცნობისმოყვარეობამ მძღია, მაგრამ უამთა სიავეს ქვაზე ყველაფერი წაეშალა, ამოტვიფრული ჯვარის გარდა. ქვის ქვეშ კი სიკვდილის ამოუხსნელი საიდუმლო იმაღლეოდა. ვაბიჯვებდი ბალახებში ჩაფლულ სამარხებს და გული სევდით მევსებოდა, თუმცა თავს იმით ვიმხნევებდი, რომ მთავარი სული იყო და არა სხეული.

მეორე დღეს, როცა გამოვილვიძეთ ვაჟა ოთახში აღარ დაგვხვდა, გადავიხედეთ ეზოში და რას ვხედავთ? – ეზოს მეოთხედი გათიბულია. ვაჟას უმოქმედოდ ვერ გააჩერებდით, მოსწავლეობის დროსაც სულ რაღაცის ძიებაში იყო. ამიტომაც მასწავლებელმა „ჩხირკედელა“ შეარქვა. ფიზიკურ შრომის მოწყურებული, ჩვენი მეგობარი, ხან ეზოს ღობეს უკირკიტებდა, ხან მოცელილ ბალახს და ხეხილის გამზარდ ტოტებს უყრიდა თავს, ხან წვავდა. ერთი სიტყვით, ჩვენი ეზო ისე „მოაპირკეთა“ რომ ყველას ყურადღებას მიიპყრობდა თავის სიკოტავით.

სოფელში კიდევ სამი დღე დავრჩით, დრო შესანიშნავად გავატარეთ, ჩვენი მხარის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი მოვიარეთ, საღამოს კი ახლობლები გვპატიუებდნენ იჯახურ ვახმამზე.

ჩვენი ეზოს გვერდით, ერთი შეუძაბნდებიანი ძეველი ხის სახლი იდგა. იქ მათიკო ბიცოლა ცხოვრობდა. ქალს ქმარი ადრეულ ასაკში გარდაცვალა და მარტოხელამ გაზარდა ერთადერთი ქალიშვილი – მედეა. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მედეა ქუთაისის საშუალო სკოლაში გაანაილეს ინგლისურის მასწავლებლად. შეხედული გოგო იყო, მაგრამ ბედი შეხედულებით როდი ირჩევს ადამიანებს. დრო პეშვში დაგუბებული წყალივით გაიპა-

რა, ორმოც წელს მიღწეული კი თავს მარტოხელად თვლიდა და გათხოვებაზე აღარ ფიქრობდა. დედის მოკრძალებულ რჩევაზე კი – გათხოვდი ცხოვრებაში მარტო ნუ დარჩებიო, მშვიდად პასუხობდა: იქნებ მარტოობა კი არ არის ბედისწერა, მე თვითონ ვიქეცი მარტოობის ბედისწერადო და ლალად გადაიკისისებდა.

მედეა ჩვენსავით გასვენებაზე ჩამოსულიყო სოფელში და ახლა დედას ეხმარებოდა კარ-მიდამოს დალაგებაში. ჩვენი აივნიდან ხელისგულივით ჩანდა მათი ეზო. ვაჟა აივნიდან გასცეკროდა შემოგარენს. დღე მზეზე ბრწყინავდა, ჩიტებიც საამურად გალობდნენ, მინა თამამად სუნთქავდა ლაქვარდოვანი ცის ქვეშ, გათიბვიდან ერთ-ორ კვირაში რბილი ლორთქო ბალახიც ამოიწვერებოდა და მერე გენახათ სილამაზე – ფეხიშველს მოგინდებოდათ სირბილი მწვანედ მობიბინე ცოცხალ ხალიჩაზე. ვაჟას ყურადღებას არ გამოჰქარვია ეზოში მოფუსფუსე დედა-შვილი და მათი მოუთიბავი ეზო. მერე კა, არც აცივა, არც აცხელა, გაიდო ცელი მხარზე და მედეას ეზოსკენ გაემართა. სტუმრად ვარ თქვენს მეზობლად, მომენტინა და თუ არ გენყინებათ დაგეხმარებითო – შესძახა გაკვირვებულ ქალებს მისალების შემდეგ და ცელი მოიმარჯვა. მცირე ხნის შემდეგ, ქალებმა მოხალისე მთიბავი სახლში შეიპატიუეს. მედეამ და ვაჟამ მალევე გაუგეს ერთმანეთს. ვაჟას წასვლა აღარ უნდოდა და მორიცებით იკითხა კიდევ რა გაქვთ გასაკეთებელი მითხარითო... და, როცა შეჭამნიკებულმა ჩვენი ჭიშკარი შემოაღო, ჩამავალი მზე ისარკებოდა ფანჯრებში.

სწორედ, ამას ჰქვია ერთი ნახვით შეყვარება. სიყვარული ხომ ერთადერთი რამ არის რომელსაც არც მიზეზების ძებნა და არც ახსნა არ სჭირდება. მინისძვრასავით მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. რა მართალი ნათქვამია: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“.

მ�იარული კურიოზი

(ნამდვილი ამბავი)

ჭიშკარი ფართედ გაელოთ სიძის მოლოდინში. ოჯახში დიდი ფაციფული იყო. პატარძალი ცალკე ითახობი განმარტოებულიყო მეგობრებთან ერთად და სატრფოს მომლოდინე ისე დაძაბულად აყურიადებდა ყველაფერს, ფოთლის შრიალსაც ვერ გამოაპარებდით. ქალი ღამის უძინარი იყო. ხუმრობა ხომ არ იყო, ამიერიდან ბავშვობის და სიყმანვილის კერა უნდა დაუტოვებინა და ახალ იჯახში ეპოვნა ნაგებაყუდელი. ღამენათევმა ქალმა უნებლიერ დაამთენარა და იცით რა მოხდა? – ყბის ტკაცანი ირგვლივ მყოფებმაც კი გაიგონეს, – პატარძალს ყბა ჩამოუვარდა. შეიქმნა ერთი ალიაქოთი. სასწაფოდ მანქანაში ჩასვეს ეს საქორნილოდ მორთული აცრემლებული პატარძალი და რაონში აფრინეს ექიმთან.

სოფელს გასცდნენ თუ არა, გზაზე წყაროსთან მათვენ მომავალი მანქანა შენიშნეს, ფერადი ლენტებითა და ყვავილებით მორთული. მძღოლმა სიჩქარეს უმატა და პატარძლის მანქანამაც ისე ჩაუქროლა მაყარს, ვინ იჯდა მანქანაში, ველარც შეიცნობდნენ, მით უმტეს ყბახევეულ პატარძალს.

პატარძლის ბიძაშვილებმა საავადმყოფო ფეხზე დააყენეს. ექიმს სულ რაღაც ორიოდ წუთი დასჭირდა და სწრაფადვე უკან გაბრუნდნენ ისე, რომ სოფელშივე დაეწივნენ და გაუსწრეს სიძის მანქანას და სწრაფადვე მოამზადეს საპატარძლო სტუმრების დასახვედრად.

ეს ამბავი, მაშინ, შინაურებმა საიდუმლოდ შეინახეს, თუმცა მერე და მერე გახმაურდა და მხიარულ მოგონებად შემორჩა ჩვენს მახსოვრობას.

23



№2, 2021



ଓର୍ବିତ ପରିଷଳାଗାନ୍ଧାରିତାକୁ

24



وَسَمِعَ الْمُؤْمِنُونَ وَالْمُسْكَنُ لِلْمُؤْمِنِينَ

შეს პლანეტას ხვრ

ოცნება მაფრენს ჰაერში
როგორც პატარა ბუმბული,
შენც გაფრენა ხარ ჩემთვისა
განა მინაზე ძუნძული,
შენ პლანეტა ხარ ჩემთვისა,
განა პატარა კუნძული.

შენი დანძხვა მთლობრივ

ეს, ჩემი გული, შენთანა,
მუდამ, შეხვედრას ნატრობს,
და... სიყვარულზე, ლაპარაკს –
არ ვიცი, რატომ, ხათრობს?!.
ლვინოს არა ესვამ, მაგრამა,
შენი დანახვა მათრობს...

გადაიყარეთ, ნისლებო,
მინდა გამოჩნდეს შენაქო,
იქ არის ჩემი ლამაზი,
მინდა ლუქსუბით შევვაძი.

არაფერია, ამ ქვეყნად,
იმისა შესაძლები,
არასადროს ათოვს მას თავზე,
დასთავს მზიანი თარები.

დურბინდით ვხედავ, გამოჩნდა –
რა ლამაზადა ელვარებს,

အမိန့်တော်၊ အမိန့်တော်နှင့်၊
ဒုက္ခလံ့ကဲ ဤအာဇာပါရ ကိုယ်၊
ဗိုလ် ကျော်ကို စွာဖြတ်တော်
အလျော်စွဲတော် စွာဖြတ်နှင့် ဤအာဇာပါရ...

ମନମ୍ବିନ୍ଦୁରେ ମନେଷି ମେଘତ୍ୱାର୍ଗେ
ମନ୍ଦିର, ନନ୍ଦ ଦ୍ୟାମିନ୍ଦ୍ରାର୍ଥ,
ଶ୍ଵରମନ୍ଦିର, ଗୁଣୀ ଗମିନର୍ଥ,
ଶନିମନ୍ଦିର ନାନକଲ୍ପିତ...

ଓনିଷ୍ଠା ପ୍ରକଳ୍ପରେଖାରେଣ୍ଟ

ასე მგონია: ანათეპს –
თუშებითის კვეთა მწვერვალებს.

მე მასზე ფიქრით გართული,
დავყვები მთების კალთებსა,
მასზე ნატვრას და ოცნებას
ჩემში კოცონად ანთებსა...

ეს ლექსი, ჩემო ლამაზო,
დავწერე, მხოლოდ, შენთვისა,
ეს, ჩემი გული, მაგ, შენ გულს
რა სიხარულით ერთოვისა.

რა სახალისო ყოფილა –
შენზე ლექსების წერაი,
შეგვახვედრებს კი ერთმანეთს
ტიალი, – ბედის წერაი?!.

ကယ်ပြောဂျာ၊ ပြောချမှတ်နှုန်း

ქალო მოვახტეთ ჩემ მერანს,
მწვერვალებ გადამატარე,
ნიავ-ქარივით ქროლვითა
თუშეთი შემომატარუ.

იქ გავაგრძელოთ ცხოვრება,
სიყვარულით და მშვიდადა,
იმ უპატრონო სოფელსა
კაუჩარობისა დიღათა.

მოვცხნათ, მოვთესოთ მამული,
ხბორებ ვიყიდოთ სახარე
და იქ დავზარდოთ ბალლები
ოულა, ზუზვა და მახარე.



მე ვიყო შენი მძევალი

შენთან შეხვედრა მწყურია, –
ხელი წავავლე კალამსა,
ახლოს, ხომ, არ მექარები,
შორიდან გიძლვნი სალამსა.

მაღლა მთებიდან დაგცქერი,
შენ ძროხას მწყემსავ ჭალასა,
მთებისკენ შემოაბრუნე,
რომ შეგხვდე ფშავლის ქალასა...

ამოდი, ამომზიანდი,
ვიამბოთ ერთად რამეო,
დიდი კოცონი დავანთოთ
ალერსით დავწვათ ლამეო...

მომწყინდა მთაში მეცხვარეს
მარტო, რომ დავიარები,
ახლოდან, გული გამითბე,
შორიდან ნაიარევი...

ნეტავი, ლამაზო ქალო,
მე ვიყო შენი მძევალი,
თავს, სულ, არ გამოვიხსნიდი,
სულ მმართებოდა მე ვალი...

შევაზანზარებ თუშეთსა

შენ რომ მღეროდი თუშეთში,
მესმოდა როგორც ზარია,
ემაგ სიმღერის მოსმენამ
გულს გამიჩინა ბზარია.

დღეიდან, ქალავ, შენზედა
მე გამანვალებს ფიქრები,
შევაზანზარებ თუშეთსა
და, ბოლოს, ჩემი იქნები.

ფიჭვისას გვირგვინს დაგადგამ,
დაგლოცავს ფიჭვის შრიალი,
თუშეთით გამოგვაცილებს
მთის წყაროების ჩხრიალი.

სიმღერას გამოგვაყოლებს
ცელქი ნიავის ცქრიალი,
მწვერვალზე გადაგვაცილებს
ცხვრისა ფარების რიალი...

ჭიუხებს აახმაურებს
ლურჯაის ფეხის თქრიალი,
ჩვენი მაყარი იქნება
აბანოს ხევის გრიალი...

კულულოს შეგიშრიალებს
გომბორის ცივი ნიავი,
ალვანში შემოანათებს
შენი თვალები მზიანი.

გამოიხედე, დედაო,
ქალ მოგიყვანე ჭკვიანი,
მოგიხდებ ქორწილისათვის
შენ ჯარასავით ტრიალი.

ოჯახში ახმიანდება
თუშურ გარმუნი, ტიალი,
ჯიხვის რქით ჩამოიცლება
ჩვენ სადიდებელ ფიალი...

შენზე ოცნებით დალლილი

ყვავილის კონით შემოგხვდი
შენზე ოცნებით დალლილი,
მაინც არა ვარ შენ მიმართ
უიმედობით დაცლილი.

რომ გაკვირდები ტუჩებში
თითქოს ლიმილი გაჩნია,
მაგ შენსა თითქოს ლიმილსა
ჩემი ლიმილიც აჩნია.

სიზმარში გხეფავ

მთების ლამაზი ყვავილი
მეცხვარეს ყელს რომ მიღერებს,
მიხარის, ასე მგონია –
შენზე სიმღერებს მიმღერებს...

სიზმარში გხედავ, ყოველთვის,
მუდამ, ჩემ გვერდით დახვალო,
როცა კი გამეღვიძება,
ჩემთან ალარ ხარ, წახვალო...



მწერლის გახსენება

26



ელგუჯა ლეგანიძე

ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ელგუჯა ლებანიძე დაიბადა 1937 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუჩანში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ახმეტის რაიონულ გაზეთ „ბახტონინის“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ლიტერატურულ მიმომზილველად. სტუდენტობისას სტაურიებას გადიოდა თელავის რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიად“ -ში. სწორედ მაშინ ჩაეყარა მტკიცე საძირკული ელგუჯა ლებანიძესა და თელავში მოღვაწე ჟურნალისტებსა და მწერლებს შორის სამაგალითო მეგობრობას.

ბატონი ელგუჯა დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. იყო საქართველოს ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის წევრი.

მზიანი გულითა და გადლიანი კალმით

კოვიდებიდემიის ამ გაუსაძლის დღეებში, როცა მთელი მსოფლიო ელამელას არის ნაცემი, თელავიდან ჩემი მეგობარი პოეტი, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავკაცი ფარნა რაინა ტელეფონით შემეხმანა: ვიცი, მწერალსა და ჟურნალისტ ელგუჯა ლებანიძესთან დიდი სულიერი და შემოქმედებითი მეგობრობა გაკავშირდებდა. კარგი იქნება, თუ იმ დღეების გასახსენებლად რამეს მოგვაწვდი, ჟურნალ „ოლეს“ ამჟამად გამომავალ ნომერში ელგუჯას მოთხოვთ იბეჭდება და იმასთან ერთად დავსტამბავთ.

მე, რა თქმა უნდა, ფარნას თხოვნას სიამოვნებით დავთანხმდი. კაცმა რომ თქვას, გასახსენებელიც არაფერი მქონდა, მე ხომ ელგუჯასთან გატარებული დღეების სითბო დღემდე არ გამნელებია. იმ ხანებში, როცა რედაქტორის მყუდრო თათხში გვერდიგვერდ მაგიდებთან მსხდომი ელგუჯა და მე ცხელ-ცხელ ჟურნალისტურ პროდუქციას ვქმნიდით, მაშინ სამთავრობო გაზეთად მონათლულ „საქართველოს რესპუბლიკაში“ არაერთი ცნობილი ჟურნალისტი თუ მწერალი მოღვაწეობდა, მაგრამ გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ ცნობილთა შორისაც კი ელგუჯას ნაკალმარი ნამყენი ვაზის ჟურნალივით ოქროფერაობდა. ახლა ოპერატიულობას არ იყითხავთ? ზოგი წელებავა ჟურნალისტი თუ საგაზეთო მასალის მომზადებას მთელ კვირას

ანდომებდა, სარედაქციო დავალებით დილით გასულ ლებანიძეს სალამოს უკვე დასაბეჭდად გასუფთავებულ-განიკინიკებული წერილი მოჰკონდა.

და განა მარტო საგაზეთო პუბლიკაციებითა და რეპორტაჟ-ნარკვევებით, ელგუჯა ლებანიძე თავის მკითხველებს მშვენიერი მოთხოვნებითა და ლექსებითაც ანებივრებდა. მწერლის მზიანი გულითა და მადლიანი კალმით ნაძერწი გმირები – გუმარი პაპა, ვენერა ბებო, თამთა, ჯოკია და სხვანი შრომა-გარჯით ხელებდაკოურილი სოფლის რიგითი ადამიანები არიან, რომლებიც მკითხველს ხიბლავენ თავიანთი სისადავითა და უშუალობით, სპეციაკი სულითა და პატიოსნებით, ფესძარვიანი კახური იუმორითა და სიალალით. საერთოდაც, გლეხკაცობა, სოფელია ელგუჯა ლებანიძის შემოქმედების ნავსაყუდელი, რომლის დღეს არც თუ იშვიათად გამოკეტილი სახლები და კარ-მიდამო მწერლის მოუნელებელ საწუხარ-საფიქრალად ქცეულა.

აკი წერს კიდეც: „ქალაქში გადმოხვეწილი ამ ბოლო დროს სოფელში იშვიათად ჩავდივარ. ამის მიზეზი, ალბათ გამოკეტილი სახლია – უკვე წავიდნენ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები... როგორც მოწყვეტილი ფოთოლი აღარ დაუბრუნდება ხეს, ისე ისინი აღარ დაუბრუნდებიან ამ ეზო-კარს. მე უნდა გავთელო ბილიკზე ამოსული ბალახი, ბორძიკ-ბორძიკით



გავიკვალო გზა, ჯიბეში მოვიძიო გასაღები და შევალო დიდი ხნის წინათ დახშული კარი... გავხსნი თუ არა ჩაგმანულ ფანჯრებს, მაშინვე აცეკვდებიან დედაჩემის ხელით დაკიდებული ფარდები. ნელ-ნელა ცოცხლდებიან მოგონებები. მთვარეულივით მოვივლი დამტვერილ ოთახებს და სურათებთან ვჩერდები. ნაღვლიანი თვალებით, ჩუმი საყვედურით შე-

მომცქერიან ჩემი მოხუცები“.

არ იჯავრო, ძმაო ელგუჯა, მშეიდად განისვენე კაცთა მოდგმის მარადიულ სასუფეველში. შენ ისეთი შთამომავლობა გყავს, გჯეროდეს, მამაპაპისეულ კერას არასდროს გააციებენ.

ოთარ ხუციშვილი

მინდა აგინთო:

ლექსის –

სანთელი...

საქართველოს სიყვარულში
დალლილი –
ძვირფასი ძმისა და
მეგობრის,
ელგუჯა ლებანიძის
მარადიულ ხსოვნას...

ძმობით,
სიტყვით და...
საქმით ქართველო,
გზებს რომ გავყურებ,
ახლა, –
გათელილს,
მზის დარად,
სულით,
გულით ნათელო,
მინდა აგინთო:
ლექსის –
სანთელი...

27



ფარნა რაინა



მხატვარი
ბექა ხუცურაული





პოთლში ჩარჩენილი კონიაკი

ზღვიდან ქარი უბერავდა და შესამჩნევად გრილოდა. შორს, აქორილ ტალღებს მიღმა, რამდენიმე სეინერი „თვლემდა“. ხალხის გარჩევა ჭირდა. იქნებ ბადეც ჰექონდათ გაშლილი და ზღვის ნობათს აბინავებდნენ, ან, უბრალოდ, მხარ-თეზოძე იყვნენ წამოკოტრიალებული და ძალადაკარგულ მზეს ეფიცხებოდნენ? იქნებ კაიუტებში „ეშმაკის ცეცხლს“ ეძალებოდნენ – მეზღვაურები და სასმელი ხომ იგივეა, რაც მონადირე და თოფი.

მლაშე წყალი ნაპირთან საქანელასავით ქანაობდა და უკვე მერამდენედ ასველებდა ნაირნაირ კენჭებს. ხმაც მონოტონური ჰექონდა – შხრრრ, შხრრრ. ტალღები ხმელეთისაკენ ბეჯითად ერეკებოდა პლასტმასის ბოთლებს, ნაფოტებს, კონსერვის ქილებს, ცელოფანის ნაფლეთებს, მერე კი ძუნი დედაბერივით ყველაფერი ისევ უკან მიჰქონდა, ნაპირზე, მძევალივით, მხოლოდ ნაწილს ტოვებდა ჭუჭყიან ქაფთან ერთად.

რამდენიმე ბიჭი ყურადღებით აკვირდებოდა სილას, დროდადრო დაიხრებოდნენ, რაღაცას აიღებდნენ, ხელით გაასაუფავებდნენ, ჯიბეში იკრავდნენ და ისევ განაგრძნობდნენ ძებნას. მერე ტომრიანი მოხუცი ქალი გამოჩნდა. ბოთლებს აგროვებდა. როცა ბუბას მიუახლოვდა, მიესალმა და ჰერონი, დამსვენებელი ხართო? დიახო, უპასუხა მან. მოხუცმა გამწიკვლული ხელი გაუწოდა და უთხრა:

– დაეხმარეთ უბედურ დედას, რომელსაც მარჩენალი შვილი ზღვამ წაართვა.

ბუბამ ჯიბე მოიჩრიკა და სამმანეთიანი ამოილო.

– იცოცხლეთ, ღმერთმა ბარაქა მოგცეთ. მოგწონთ აქაურობა?

– მომწონს. თითქმის ყოველ წელს ჩამოვდივარ...

– ერთი კვირაა, ამინდები გაფუჭდა. აქამდე სულ თბილოდა. სინესტე სულს მიხუთავს. აი, ჩემი შვილი კი, არა და არ გამოდის ზღვიდან. ამ ბოთლებს იმიტომ ვაგროვებ, ეგებ რომელიმეში მისი წერილი იდოს. აბა, ასე შეიძლება? წავიდა და წავიდა. ყველანი დაბრუნდნენ, ის კი არა და არ ჩანს...

ქალმა უაზროდ მიმოატარა მზერა და თავისი გზით წაჩანჩალდა. მიდიოდა და გაჭირვებით მიათრევდა ტომარას, რომელიც სველ სილაზე ნაკვალევს ტოვებდა.

მერე ბუბას ყურადღება მოფარფატე თოლიებმა მიიპყრეს. ტალღებს ქერიზე მოქცეოდნენ, ალბათ ჭიჭყინებს იჭერდნენ. საქმიანად დაცურავდნენ ზღვის იხვები, რომელთაც დამსვენებლები „წაჩიფეხებს“ ეძახდნენ. როცა ზურგით

შემოტრიალდებოდნენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ნიჩაბა ფეხები მართლა კურტუმოსთან აქვთო გამობმული.

ბუბამ ლაბადის საყელო წამოიწია და ზურგი ქარს მიუშვირა, ნომერში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ისევ აქ ყოფნა ერჩივნა.

შინიდან წამოსვლის შემდეგ ერთი დღეც არ გასულიყო და უკვე საშინელ მარტოობას გრძნობდა. მაგრამ, სწორედ ამ სიმარტოვეს ელტვოდა – ჩანთაში ედო რომანის ხელნაწერები. ასეთი უუმური ამინდი კი მართლაც მისწრება იყო. ჩაიკეტებოდა თბილ, მყუდრო ოთახში და გარეთ ცხვირს მანამდე არ გამოჰყოფდა, სანამ სათქმელი არ შემოელეოდა.

სალამოს წაჩერევად ივახშმა და დაძინება გადაწყვიტა. ქარი ისევ ქროდა და წაპირზე ზღვის საიდუმლოებებს ფანტავდა.

სისხამზე უკვე მაგიდასთან იჯდა და ხელნაწერს ჩაჰკირკიტებდა. შუადღემდე თავაუღებლად იმუშავა. ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა. თუ ასე წაუგიდოდა საქმე, თბილისში დამთავრებული რომანით დაპრუნდებოდა.

ისადილა და ეზიოში ჩავიდა. ეზოს კუთხეში ბერნადინს უამრავი წიფლის მორი მოეტანა. ბერნადინი სანატორიუმში დურგლად მუშაობდა. თავისუფალ დროს, რომელიც თავზე საყრელად ჰექონდა, წიფლის მორებს საგულდაგულოდ აქანდაკებდა. მისი წამუშევრები სანატორიუმის მთავარ ჰოლში იყო გამოფენილი. ვის ალარ წახავდით აქ – წითელარმიელებს, ღობეზე სალამურით შემოჯდარ, ღოყებდაბერილ ბიჭებს, დიმიტრი გულიას და ხანდაზმულ აფხაზებს, შეყვარებულ წყვილებს... ჰოლში მუდამ უამრავი ხალხი ირეოდა. დროდადრო მათ ბერნადინიც შეუერთდებოდა. თითოეულ სიტყვას ისე კენკავდა, როგორც ქათმები ღვთის მოწყალებას.

ბერნადინი არსად ჩანდა. ბუბამ ზღვას მიაშურა. ყველაზე მეტად აქ ყოფნა ერჩივნა. პეზაზი არ შეცვლილიყო. შორს ისევ იდგნენ სეინერები, ისევ ჭყიოდნენ თოლიები და ენერგიულად დაცურავდნენ „წაჩიფეხები“. ეულად მდგარ საჩრდილობელთან ქალი ატუზულიყო და ზღვას გასცეკროდა. ბუბამ გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და უხმოდ ჩაუარა. როცა უკან მობრუნდა, ქალი იქ ალარ დახვდა. საჩრდილობლის წამოფხრენილ კალთებს ქარი დააფრიალებდა.

ისევ ავტოსტრადაზე გამოვიდა. გზა გადაჭრა და კიბარისების ხეივანს გაუყვა. პატარ-პატარა, მწვანეში ჩამჯდარი ეზოებიდან მაცდურად





იმზირებოდნენ ლიმონითა და მანდარინით დახუნძლული ხეები. ფარფულში სიგარეტი იყიდა და იქვე მიმჯდარ ბერიკაცს გამოელაპარაკა. ის უჟმურ ხასიათზე ჩანდა. დამსვენებელი ცოტაა და ხილს ვერ ვყიდიო. ფეხზე წამოდგა, პანტელეიმონი მქვიაო. ბუბამ სიგარეტი შესთავაზა. მოხუცმა გააბოლა და მადლობა მოახსენა.

— ცუდ დროს ჩამოსულხართ, გამრთობი არ გეყოლებათ. რამ შეუკრა ხელ-ფეხი ამ ხალხს, აქეთ გამოხედვა აღარავის სურს, — უკმაყოფილოდ ჯაჯლანებდა მოხუცი.

„პანტელეიმონ ბრაზობ რაზე?“

ფანტე ლიმონი ბაზრობაზე“.

გაახსენდა ბუბას მეგობარი პოეტის ექსპრომტი და გაეცინა. მოხუცმა ამრეზით შემოხედა, მე დამცინისო, გაიფიქრა. სიგარეტი გაბრაზებით მოისროლა და ბუბას ზურგი შეაქცია.

წერის ხასიათზე ნაღდად არ იყო, იმ დღის „ნორმა“ შესრულებული ჰქონდა. ამიტომ ოთახში დაბრუნება არ უფიქრია. ყავახანასთან უამრავი ხალხი ირეოდა. ფინჯანი ყავა დაუკვეთა, სიგარეტს მოუკიდა და ირგვლივ მიმოიხედა. ერთ მაგიდასთან ზღვის პირზე ნანახი ქალი იჯდა და იდუმალი ლიმილით შემოსცეროდა. ნამდვილად ის არისო, ვერ დაიჩემებდა, რაღაცით კი აგონებდა მას, ალბათ ფარფულებიანი ქუდით და ლაბადის წამონეული საყელოთი. სანდომიანი სახე ჰქონდა, სანდომიანი და საინტერესო. ქალმა ვაჟის მზერა დაიჭირა და გაუღიმა.

— ახალი ჩამოსული ხართ? — მიეახლა და ჰკითხა.

— დიახ.

— და უკვე მოგბეზრდათ მარტობა, არა?

— აქ სხვა დროსაც ვყოფილვარ. მივერჩიე. მეგონა, პლაზზე ძველებურად ნემსის ჩასაგდები ადგილი არ იქნებოდა. მოვტყუვდი. ჩემს სართულზე ორი გადაყრუებული მოხუცია. აბა, იმათთან რაზე უნდა ვისაუბრო? ხმის გამცემი მენატრება.

— კარგად მესმის თქვენი, რა გქვიათ?

— ალისა. თქვენ?

— ბუბა.

— ბუბა? თქვენც მომლერალი ხართ? — გაიცინა.

— არა, მომლერალი არა ვარ.

— ბუბა ჩერენთან ძალიან უყვართ.

— რომ მიცნობდნენ, მე უფრო შემიყვარებდნენ... ყავა უკვე დაუკვეთეთ?

— ჯერ არა.

— თუ ნებას დამრთავთ... ცხელ სილაზე მოდულებული ყავა ძალიან მიყვარს, სულ სხვა გემო და არომატი აქვს.

— მეც მომზონს. აქეთ რომ მოვდიოდი, გავთბები-მეთქი, ვიმედოვნებდი. საკმაოდ გრილა.

— არა უშავს, სანამ აქ იქნებით, ერთი პატარა ზაფხული კიდევ გვეწვევა. საიდან ბრძანდებით?

— რიაზანიდან.

— რიაზანიდან? იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან მესიმპატიურება ესენინის გამო.

— კარგად იცნობთ?

— საკმაოდ. ოთხი თუ ხუთი ქართველი პოეტი მაინც თარგმნის.

— დედანში მაინც სხვაა.

— რა თქმა უნდა. არც დედანთან ვარ მწყრალად.

— ბედნიერი ხალხი ხართ, გინდათ თუ არა, რუსულს სწავლობთ. ჩვენ კი მშობლიურის გარდა, სხვა ენა არ ვიცით.

— მერე, ისნავლეთ, ვინ გიშლით?

— თქვენ ისეთი ჩახლართულ-ჩაკარაკულებული სიტყვები გაქვთ, რა ისნავლის.

— მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. უბრალოდ, არ გაინტერესებთ.

— რა ვიცი, იქნებ მართალიც ხართ.

ყავახანიდან გამოვიდნენ და სანატორიუმისაკენ გასწიიეს.

— რატომ პლაზზე არ გამომელაპარაკეთ? არ მოგეწონეთ?

— უცნობებთან გამოლაპარაკება ყოველთვის მიჭირს.

— საინტერესოა... და უსიამოვნო პროცედურას მაინც ვერ ასცდით, არა?

— მაგრამ მე ხომ უკვე გიცნობდით?

— თბილისიდან ხართ?

— დიახ.

— ამბობენ, ლამაზი ქალაქიაო.

— რახან ამბობენ, ალბათ ასეა. ჩვენი ბალდალიც ეგ არის და პარიზიც. რას იტყვით, ჩემთან რომ ავიდეთ და კონიაკით შევთბეთ?

— ჩინებული წინადადება.

— მეგონა, უარს მეტყოდით.

— როგორც „დათა თუთა შხიაში“ ქალბატონი ნანო ბრძანებს, რაც მსიამოვნებს, იმაზე უარს არასოდეს ვამბობ.

— ჩემი ხასიათი გქონიათ.

მეორე სართულზე ავიდნენ. ბუბამ ეჭვიანად მომლიმარ მორიგეს გასაღები გამოართვა. თავისი ნომერი მოძებნა, კარი შეხსნა და ალისა ნინ გაუშვა. ხელი ჩამრთველისაკენ რომ წაილო, ქალმა შეაჩერა.

— არ გინდათ. ასე უფრო მყუდროდა ვგრძნობ თავს.

ბუბამ ხელნაწერები მაგიდიდან ტუმბზე გადააწყო.

— რა არის, წერთ რამეს?

— დიახ, — უწადინოდ უპასუხა. — მოთხოვთან?

— მაშ, მწერალი ხართ? მწერლებთან სიახლოვეს ყოველთვის ვნატრობდი და უცბად არ შემისრულდა? საინტერესო ხალხი ხართ.

ბუბამ კარადიდან ბოთლი, შოკოლადის ფილა და ჭიქები გამოილო. ბოთლს საცობი მოაძრო და





კონიაკი ჭიქებში დასხა:

- სამწუხაროდ, სხვა ვერაფრით გაგიმასპინძლდებით.
 - მეტი არც არაფერია საჭირო. თუ არ გამაგდებთ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები. მარტოობას ვერ ვიტან.
 - სულაც აქ თუ დარჩებით, ურიგო არ იქნება.
 - ერთი საწოლის მეტს რომ ვერ ვხედავ? - ქალმა თვალები ეშმაკურად მონკურა.
 - რა საჭიროა! მოყვარული ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტიაო.
 - უცნობებთან გამოლაპარაკება მიჭირსო, უცპად კი რა მოინდომეთ...
 - ასეთ სიტუაციაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა განა საწოლამდე არ მიდის?
 - ალისა შეიძმუშნა.
 - მაგრამ გამონაკლისებიც ხომ არსებობს?
 - რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისები?
- სული არ უნდა დასწვას კაცმა.
- ეგ ფილოსოფია ერთ ჩვენებურსაც რომ სცოდნოდა, ახლა აქ არ ვიქენებოდი.
 - ვინ თქვენებურს?
 - არის ერთი ტიპი... ჩემზე რამდენიმე დღით ადრე ჩამოპრძანდა. დავთქვით, რომ აქ შევხვდებოდით.
 - მერე?
 - მერე რა? შეხვედრით კი შევხვდით, მაგრამ ჯოისზე ლაპარაკით ყური წაიღო. მე კი ეგ მწერალი არ მიყვარს.
 - რატომ არ გიყვარო?
 - ნამდვილი იეზუიტია და იმიტომ! ტყუილად კი არ სწავლობდა იეზუიტების სკოლაში. ხუთჯერ მაინც ვცადე „ულისეს“ წაკითხვა, მაგრამ ხუთჯერვე მივატოვე.
 - ჯერ „ოდისეა“ უნდა წაგეუითხათ.
 - ის ტიპიც მაგას ჩამჩიჩინებდა. „ოდისეაც“ წაკითხული მაქვს და „ილიადაც“, მაგრამ ჯოისის ზოგად სქემას მაინც ვერაფერი გავუგე. არ მიყვარს მისი დაუსრულებელი მინიშნებები და ვარაუდები. ჯოისი მაგონებს რესპონდენტს, რომელმაც ზედმინერვით იცის თავისი საქმე და ჰერონია, რომ კორესპონდენტმაც ასევე ზედმინენით იცის...
 - გამოდის, რომ ჰერინგუეი გირჩევნიათ, არა?
 - დიახ, მირჩევნია. ყოველ შემთხვევაში, რაზეც ჰერინგუეი წერს, თითქოს ხელის გულზე გიძევს, თითქოს ხედავ და გრძნობ. ჯოისთან კი იმდენი დომხალია, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.
 - გამოგიტყვდებით, ეგ მწერალი გულზე არც მე მეხატება. მის აღიარებას სამშობლოშიც კი ათეულობით წლები დასჭირდა. დღესაც ზოგი გენიოსს უწოდებს, ზოგი - იდიოტს.
- ალისამ გაიცინა.
- ბუბამ ჭიქები მესამედ შეავსო.

- მეტს ნულარ დამისხამთ. მაგარია, თავპრუდამახვია.

- ჩვენში ამბობენ, სამისა არდამსხმელისა და არდამლევისაო.
- სულ ასე ანდაზებით ლაპარაკობთ? - ალისა უცბად მიეტუტა და თავი მხარზე ჩამოადო, - არაფერია მარტოობაზე საშინელი.

ქალმა ბუბას კისერზე ხელები შემოაჭდო და კოცნა დაუწყო. ვაჟი კულულებზე ეფერებოდა. მერე ალისა წამოდგა და ტანსაცმლის გახდას შეუდგა.

ქალს ისევ ნებიერად ეძინა, როცა ბუბა საბინდან გამოძვრა. ხელ-პირი დაიბანა და მაგიდას მიუჯდა, როცა სათქმელი ამონურა და იგრძნო, მეტს ვეღარაფერს დავამატებო, მაგიდიდან წამოდგა. ალისას ხელები თავქვეშ ამოენყო და ღიმილით შემოსცერდოდა.

- დიდი ხანია, გლვიძავს?
- კი. მაგრამ ისე იყავი საქმით გართული სიმშვიდე ვერ დაგირღვევი. ვინ არის შენი გმირი, კვდება თუ ცოცხალი რჩება?

- კვდება.
- მერე, რატომ კლავ?
- მე კი არა, ცხოვრება კლავს, - ნალვლიანად მიუგო ბუბამ.
- ნუ მოკლავ, შენი ნება არ არის?
- აკი გითხარი, ცხოვრება კლავს-მეთქი. ჩემი ნება რომ იყოს, ქვეყანაზე ამდენი უსამართლობა და უბედურება არ იქნებოდა. ჩემი გმირი უსამართლობის მსხვერპლი ხდება.

- ოჲ, ეს მარადიული თემა... იქით მიტრიალდი, უნდა ავდევე, მგელივითა მშია.
- ის შენი თანამემამულე ისევ აქ არის? ჩემი თავი სხვისა ბალში გადაპარული მგონია... მარტო „ულისეს“ გამო მიატოვე?

- ჩემო კარგო, რას გეტყვი, იცი? წელინადში შვებულებას ერთხელ მაძლევენ და ისე უნდა გავატარო, როგორც მომეპრანება. მაგან მხოლოდ შესავლისათვის მთელი ხუთი დღე დახარჯა. მე კი შენისთანა მამაკაცი მჭირდება.

ალისამ უცრად ზენარი გადაიძრო.

- რა, არ მოგწონვარ? - წამოდგა და დედაშობილა ნინ აესვეტა. ვაჟი უცქეროდა და ტკბებოდა. ქალს სახე გაცისკროვნებოდა. ქერა კულულები მხრებზე ეყარა, გახსნილი ბაგიდან თეთრი, მიჯრით მიწყობილი კბილები მოუჩანდა. ნინ გამობზეკილ მკერდს ისეთი უცოდველი იერი გადაჰკრავდა, თითქოს მამაკაცის ხელები ჯერ არ მიჰკარებოდნენ. წვრილ წელს განიერი თეძოები აგვირგვინებდა.

- ისეთი კარგი ხარ, ისევ საწოლში უნდა დაგაბრუნო.



ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. ალისამ რაღაცნაირი მუხტი შესძინა. ქალი სავსებით ჯერდებოდა იმას, რასაც ვაჟი სთავაზობდა. აკი თავიდანვე გააფრთხილა, აქ სამუშაოდ ვარ წამოსული და არა ექსკურსიებზე სახეტიალოდო. ქალს იქნებ სწყინდა კიდეც ვაჟის ასეთი შიშველი გულახდილობა, მაგრამ არაფერი უთქვაშს, უკმაყოფილება არ გამოუხატავს. ბუბას ქალაქის განაპირას ერთი წყნარი რესტორანი ეგულებოდა. საღამოობით იქ მიდიოდნენ, მაგიდას გვანინბამდე უსხდნენ და ათას სისულე-ლეზე საუბრობდნენ. ეს საუბრები ბუბასთვის, მომქანცველი შრომის შემდეგ, ენერგიის აღდგენისა და დასვენების საუკეთესო სამუალება იყო. წომერში დაბრუნებულები მთელი არსებით ეძლეოდნენ ვნებას.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. ერთ საღამოს იმ რესტორაზში ალისას ნაცნობი არ შემოეხეტა? ნასვამი ჩანდა. როცა დარბაზში შემოვიდა, ბუბა სწორედ იმ დროს წამოდგა სიგარეტისთვის. უკან მოპრუნებულმა შორიდანვე დაინახა მამაკაცი, რომელიც ხელების ქნევით ალისას რაღაცას უმტკიცებდა. ქალი სიმივით დაჭიმულიყო, თითქოს აქამდე ნიღაბი ჰქონდა აფარებული და მოიხსნა.

— რაშია საქმე, რა გნებავთ? — მშვიდად იკითხა ბუბამ.

— იცნობდეთ მის აღმატებულებას ჯოის ჯოისოვიჩს, — დაცინვით წარმოთქვა ალისამ.

— თქვენ ქალი წამართვით! — სასოწარკვეთით წამოიძახა „ჯოის ჯოისოვიჩმა“.

— დაიხსომეთ: ვინმესთვის, მით უმეტეს, უცნობისთვის, ანგარიშის ჩაბარება არ მიყვარს, მაგრამ არასოდეს ვამბობ უარს იმაზე, რასაც მთავაზობენ, თანაც, თუ ჩემს სურვილსაც ემთხვევა. საკითხი, ვგონებ, ამონურულია. კიდევ გნებავთ რამე?

მამაკაცმა უმწეოდ მიმოიხედა, თითქოს ვინმესგან თანაგრძნობას ელისო. გამოქანთალებული და ცაგარდვეულივით იყო. მისი მზერა კონიაკის ბოთლს მისციებოდა.

— რისთვის მობრძანდი, ახლა ფოლკნერზე საუბრით უნდა გამომილაყო ტვინი? მომბეზრდა,



31

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ბატონო, ყელში ამომივიდა! — უთხრა ალისამ და წამოდგა.


უცნობი ხან ალისას შეხედავდა, ხან კონიაკის ჩანახევრებულ ბოთლს, თითქოს არჩევანის წინაშე იდგა და ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომიდა.

ალისამ ბუბას ხელკავი გამოსდო და ისინი აუჩქარებლად წავიდნენ კარისკენ.

— მაგის ადგილზე მეტოქეს იმ ბოთლს თავზე დავამსხვრევდი, — თქვა ბუბამ.

კართან წამით შეჩერდნენ და უკან მოიხედეს. „ჯოის ჯოისოვიჩმა“ სკამი გამოსწია, საქმიანად დაჯდა, ჭიქაში კონიაკი დაისხა და მოწყურებულივით სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— ნახა მუქთა კონიაკი! როგორ თხასავით გამყიდა! ამიტომაც არ მიყვარს ჩვენი მამაკაცები. — ჩაილაპარაკა ქალმა და ვაჟის მხარს მიეკრა.



ოლქა, №2, 2021

ବ୍ୟାଙ୍ଗିନୀ

32



תְּמִימָנָה וְתַּחֲזִיקָה בְּעֵדָה וְבְּמִזְמָרָה וְבְּמִזְמָרָה

תְּהִלָּה בְּשָׁמֶן

ან მომქუდათ მე ან გინდათ. იურა ძვირფასი ჩატუჩი
კომოდის მოაშორო. ან გინდა ეს. ლეონიდ ალექსეევიჩი
მოკუდა და საწოვონებელი ფართი მაშინვე გავათვისუფე-
ლა და მერ მოკუდები და მერ მაშინვე გავათვისუფლებ
ფართის ჩატუჩით კი ან გინდათ ჩემი ახლობლებო ან
მომქუდათ. ან მომქუდათ მე ახლა შეგვირდებით და პა-
ტიოსნად ვიტყვი რომ ზუსტდ არ ნელში მოკუდები და
საწოვონებელ ფართის გავათვისუფლებ და თქვენ იმავე
ნამიდან თავისუფლად იწოვონებთ.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

პროზაიკოსი, სცენარისტი, დრამატურგი, ვლადიმერ სოროკინი დაბადა 1955 წელს სოფელ ბიკოვოში (მოსკოვის ოლქი). 1977 წელს დამთავრა მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტი.

მიღებული აქვს: პრემია „სახალხო ბუკერი“ (2001), გერმანიის კულტურის სამინისტროს პრემია (2001), ანდრეი ბელოვის პრემია (2001), პრემია „ნოსი“ (2010), პრემია „დიდი წიგნი“ (2011).


გულითაღი თხოვნება

მე, ბონდარენკო პავლე ნიკოლაევიჩი, დაბადებული 1917 წლის 5 ივნისს, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მუშების შთამომავალი, შრომის ინ-ვალიდი უნინარეს ყოვლისა ჩემო ძვირფასო ახ-ლობლები სონია და იურა პირველ რიგში ახალ წელს მოგილოცავთ და გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ყველანაირ სიხარულს ოჯახში, სამსახურში. და ახალ 1985 წელს თქვენს ოჯახში უფრო ბევრი სიხარული იყოს და ყველაფერი კარ-გად იქნება და ყველანი ჯანმრთელად იქნებით და სახლიცა და ოჯახიც სავსე გექნებათ და მე ასევე ყველაფრისთვის პატიებას ვითხოვ რომ ჩემზე ჯავ-რობთ. ჩემო ძვირფასებო მე მინდა გულითადად მოგილოცოთ რომ ყველაფერი კარგად იყოს და რომ სონიას პროექტთან დაკავშირებითაც ყვე-ლაფერი კარგად იყოს და კიდევ შეებულება მისცენ საკუთარ ხარჯზე და რომ ყველანი ჯანმრთელად იყოთ და იურას დედაც თავს კარგად გრძნობდეს და აგრეთვე არც მან არ იავადმყოფოს. ჩემო ახ-ლობლები ახალ წელს გულითადად გთხოვთ არ მომელათ მე არ გინდათ. არ მომელათ მე არ გინ-დათ. სონია შენ ხომ ჩემი ლვიძლი ქალიშვილი ხარ და მახსოვს მე და დედაშენი ხელში აყვანილს რო-გორ გივლიდით და ჩვენი დედა გარდაიცვალა და ამ დღეს ვერ მოესწრო რომ შეეხედა როგორ დარბის იქროსავით შვილიშვილი სვეტლანა. მე კი ხელით დამყავდი, სუფთა ჰაერით რომ გესუნთქა პარკში დავდიოდით სადაც ქარხანა არ იყო. არ მომელათ მე არ გინდათ. თქვენზე ძვირფასები არავინ მყავს შენ და იურა ყველაზე ძვირფასები ხართ. მე თქვენ გუ-



და ყოველთვის ჩავაქრობ და აღარ ვაფრატუნებ და აბსოლუტურ სისულთავეს დავიცავ როგორც საჭიროა. და საერთოდ აღარასოდეს აღარ ავდგები და ვფიცავ აბსოლუტური სიჩუმე იქნება ვფიცავ ჩემო ღვიძლო შვილები არ მომკლათ მე არ გინდათ. აღარასოდეს გავაჯახუნებ კარს და არ ვატყაპუნებ და ცუდად არ მოვიქცევი და მეტჯერ აღარ დავსვრი და სინათლეს ყოველთვის ჩავაქრობ სამარადისოდ მთელ ფულს კი 726 მანეთს საახალწლოდ გაჩუქებთ და თქვენ გექნებათ ჭურჭლისა და თეთრეულის კარადა და სრულიად ახალი ჭურჭელი. არ მომკლათ მე არ გინდათ. არ შეგვიწროვებთ და სამზარეულოშიც მხოლოდ მაშინ გავალ როდესაც იურა სამსახურში წავა და დილით ტუალეტში არ შევალ ჩემო ძვირფასებო არ მომკლათ. არ მომკლათ მე არ გინდათ. მე იმის მეშინია რომ იურამ ჩაქუჩით არ მომკლას რომელიც კომოდის ქვედა უჯრაში დევს. სონია ხომ გივლიდი ჩვენ კარგად ვცხოვრობდით მე ქარხანაში ოსტატად ვმუშაობდი და ბევრი ვიმპელი მქონდა და კარგი პრემიალურები და სურსათი შეკვეთით და დედასთან ერთად სანატორიუმში გიშვებდით და არასოდეს დავახველებ და ტიხარი კიდევ ერთი მეტრით გადმოსწიეთ და უფრო მეტადაც როგორც გული გიკარნახებთ და რამდენზედაც გინდათ თუნდაც ფანჯრის რაფამდე მე კი არ დავსვრი და ხვალ დილადრიანად მორიგე აფთიაქში წავალ და სუდნოს ვიყიდი. დილით კი როდესაც იურა პეტროვიჩი წავა კვერცხს ჩუმად მოვიხარშავ და მაშინვე წავალ და არ მომკლათ მე. და მეტი არაფერი და

ცხოვრებაში აღარ დავსვრი მხოლოდ ჩაქუჩით არ მომკლათ არ გინდათ. სვეტლანა ჩემო ოქრო გოგო მე თქვენ ყველანირად დაგეხმარებით და აღარაფერს დავსვრი სუდნოსაც ვიყიდი. აღარ ვაფრატუნებ და აღარ დავახველებ და მუდამ ჩავაქრობ რომ ელექტრონერგია არ დაიხარჯოს სონია მშობელმა დედამ ვერ იცოცხლა ჩვენ კი ყველაფერს დედის მაგივრად ვაკეთებდით რომ ტექნიკუმშიც გესწავლა რომ კარგად ჩაგეცა ზამბარებს კი ტავოტით გავპოხავ ჩემო ძვირფასებო და ყველაზე ახლობლებო. არ მომკლათ ჩაქუჩით არ გინდათ ტიხარი კი რამდენზედაც გინდათ იმდენზე გადმოსწიეთ ერთოთახიანი ბინაა სახელმწიფო კი მოგვცემს ოროთახიანს შესაძლოა სამოთახიანსაც მე კი ყველაზე პატარაში და ისიც თუ გინდათ ფირფიცრით ისე გადავლობოთ რომ მხოლოდ სანოლი დაიდგას და მუდამ ჩავაქრობ. არ მომკლათ მე არ გინდათ. მე არ ვატყაპუნებ და არც ვაფრატუნებ მე ფეხაკეფით ვივლი არც დავილაპარაკებ ასე რომ ჩაქუჩით მოკვლა არ გინდათ. სონია მეშინია ჩემო ძვირფასო ქალიშვილო და იურა პეტროვიჩმა ჩაქუჩი მედვედიოვაში წაიღოს მეშინია. და ეს სვეტლანამ გაკვეთილები ისწავლოს მე კი ჩუმად ვიქნები და ყველაფერს წამოწალილი გაგაკეთებ. ჩაქუჩით არ მომკლათ. ლეონიდ ალექსეევიჩი გარდაიცვალა. ის 76 წლის იყო ჩაქუჩით კი საჭირო არაა ის სვამდა მე კი გული მანუხებს და არასდროს არც ერთი გრამი პირში არ ჩამიშვია და არც არასოდეს დავლევ. ჩემო ახლობლებო ჩემო ქალიშვილო არ მომკლათ არ





გინდათ ახალ ბინაში კი ტიხარი რამდენზეც საჭიროა იმდენზე გადასწიეთ თუნდ ოთახის ბოლომდე მე ვიცი ამას სახელმწიფო უზრუნველყოფს მე ხომ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ მაგრამ წიგნაკი არ მაქვს ყველაფერი დაიწვა და მხოლოდ შრომის ინვალიდობა ჩემო ძვირფასებო და იურა პეტროვიჩმა ჩაქუჩი მედვედეოვოში წაიღოს. ლეონიდ ალექსეევიჩი მოკვდა ის სვამდა მე გული მანუხებს როგორც ექიმებმა ჩამინერეს მაგრამ მთავარი ისაა იურა ჩაქუჩის კომოდში რატომ ინახავს. როგორც ექიმმა მირჩია სუდნოს ვიყიდი ჩაქუჩით არაა საჭირო ჩემო ლვიძლო ქალიშვილო ორი წლის მერე თვითონ მოვკვდები. ორი წლის მერე მხოლოდ იმიტომ მოვკვდები რომ სვეტლანა პიონერთა რიგებში შევიდეს ახლა კი ჩემო ძვირფასებო ჩაქუჩით არ მომკლათ. ლეონიდ ალექსეევიჩი მოკვდა და ახლა გაცილებით მეტი ადგილია პეტრიშეხებს ბევრი თავისუფალი ადგილი აქვთ მე კი ორი წელიც და მოვკვდები ის კი 76 წლის იყო. მე მხოლოდ ვერმიშელს შევჭამ და დღისითაც ვერმიშელი და სადილზეც ვერმიშელი და საღამოთიც ვერმიშელი და მუდამ სულით და გულით ვერმიშელს შევჭამ. არაფერს დავსვრი და არსად დავაწვეთებ მხოლოდ ჩაქუჩით არ გინდათ არ მომკლათ არ გინდათ. იურა ძვირფასო კომოდიდან ჩაქუჩი აიღე მეშინია. არ მომკლათ არ გინდათ მე ხომ იმისთვის ვიბრძოდი რომ მშვიდობიანი ცა ყოფილიყო ჩვენ ვარმავიდან ბერლინამდე ფეხით ვიარეთ არ მომკლათ მე არ გინდათ ვერ ვიტან როდესაც იურა კომოდში ჩაქუჩის დებს. არასოდეს ვატყაპუნებ და ჩავაქრობ გეფიცებით და თუ არ დამელაპარაკებით არ მეწყინება. არ მომკლათ მე არ გინდათ ერთოთახიანი ბინა იქნება ორთოახიანს სახელმწიფო უზრუნველყოფს. მე წიგნაკი არ ამიღია დოკუმენტები დაიწვა არადა როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს სამოთახიანს მომცემდნენ როგორც სემიჩასტნისა და ევგენია ლვოვნას. მე კი პატიოსან სიტყვას გაძლევთ სუდნოს ვიყიდი როგორც ექიმმა დამარიგა აღარ დავაწვეთებ და არ დავლვრი და ხალიჩას არ დავაშეფერ. ხოლო როცა იურა დედამისთან წავა ჩაქუჩი მედვედეოვოში წაიღოს და საჭირო არაა ჩემი მოკვლა. საბჭოთა მუშისა და ომის მონაწილის გულითადი თხოვნით გთხოვთ არ მომკლათ ყველაფერს ჩავაქრობ და ყველაფერი შევიგნე და საჭირო დასკვნები გამოვიტანე. არ მომკლათ ჩაქუჩით არ გინდათ სვეტლანას მოვკვლი და სახლში ყველაფერს გავაკეთებ ხოლო როდესაც იურა დედამისთან წავა წერილობით შევახსენებ კომიდიდან ჩაქუჩი წაიღოს ჩაქუჩი არ გინდათ. ლეონიდ ალექსეევიჩი კი მოკვდა და პეტრიშეხებს ბევრი ადგილი აქვთ არ მომკლათ მე არ გინდათ და მე დასკვნები გამოვიტანე და შევიგნე არ მომკლათ არ გინდათ. რამდენზედაც გნებავთ იმდენზე გადასწიეთ და სულ ვიწვები და მხოლოდ როდესაც იურა სამსახურში წავა დილითაც ვერმიშელს შევჭამ და სადილადაც ვერმიშელს და ვახშმადაც ვერმიშელს და ყველაფერს გულითადად გავაკეთებ. მხოლოდ

იურამ ჩაქუჩი მედვედეოვოში დედასთან წაიღოს და ქალმა ის იქ კარგად და სამარადუამოდ შეინახოს და ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბავშვები მეშინია რადგან მთლად ვცახცახებ და გული ცუდად მაქვს და წრეები. ჩემო ძვირფასო სონია და იურა პეტროვიჩი მე ომისა და შრომის ვეტერანი გულითადად გთხოვთ ჩაქუჩი წაიღოთ რომ კომოდში არ იყოს ის და რომ მედვედეოვოში დედამ სამარადუამოდ შეინახოს. და ნუ მომკლავთ ყველაფერს გავაკეთებ თქვენ კი კარადა და ტელევიზორი იყიდეთ ხოლო როდესაც სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მე მოვკვდები. ჩემო ძვირფასო ჩაქუჩი კი საჭირო არ არის იმიტომ რომ მე შეიძლება მოვკვდე და შავი წრეები მოდიან და გული კი რახუნობს. მე ხომ ვიბრძოდი და თქვენს მშვიდობიან ცას ვიცავდი და იურა ჩემო ძვირფასო მოაშორე როგორც კი დედასთან წახვალ წერილს დავწერ ჩაქუჩი მედვედეოვოში მყუდრო ადგილას რომ შეინახო. და მაშინ იმავე წამს შემნახველ სალაროში წავალ და მთელ ფულს მაშინვე თქვენ მოგცემთ. მხოლოდ არ მომკლათ არ გინდათ მე არ დავაწვეთებ და დენსაც დაგნებავ რომ სინათლე ენთოს და გეფიცებით როგორც კი შევალებ ჩავაქრობ არ მომკლათ მე არ გინდათ წავალ და წიგნას ავიღებ და აღმადგენენ ორთოახიანს აუცილებლად და ჩვენ გადავალთ და ყველაფერი კარგად იქნება მე კი ყველაზე პატარაში და ფირფიტის ტიხარი გავაკეთეთ და საქმიანად გასწი-გამოსწიეთ მე კი ჩემთვის სუდნოს ვიყიდი და სუდნოთი სუფთად ვიცხოვრებ. ხალიჩაზე არ დავაწვეთებ და არ დავლვრი ვფიცავარ და არ მომკლათ არ გინდათ. იურა ჩაქუჩით არ გინდათ როგორც კი ვხედავ მაშინვე ყველაფერს ვხვდები და შავი წრეები მოდიან და ხალიან გულითადად გთხოვთ არ მომკლათ არ გინდათ მე ყველაფერს პატიოსნად გავაკეთებ და თქვენ ყველაფერს ბოლო კაპიკამდე მიიღებთ. სონია ყველაფერს ბოლო კაპიკამდე პატიოსნად მიიღებს რათა კარადა და კარგი ტელევიზორი იყიდოთ სვეტლანამ ძილი წებისას რომ უყუროს. და როგორც კი სვეტლანას პიონერთა რიგებში მიიღებენ მაშინვე მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავანთავისუფლებ და თქვენ ყველაფერს ბოლო კაპიკამდე მიიღებთ იურა ჩაქუჩით არ მომკლა არ გინდა. აღარასოდეს არ დავაწვეთებ ექიმმა მირჩია და კარგ სუდნოს ვიყიდი რომ სიკვდილამდე გაძლოს. და ყოველთვის ჩავაქრობ და არ ვიხვრინებ არ გადაგრუნდები არ ვატყაპუნებ და ყოველთვის ფრთხილად გადავიფარებ რომ წესრიგი იყოს და ყველაფერს წამონალილი გავაკეთებ. ლეონიდ ალექსეევიჩი მოკვდა მაგრამ ის სვამდა მე კი გულის გამო პირსაც არ ვაკარებ როდესაც შავი წრეები და არ გინდათ ჩაქუჩით არ მომკლათ. მხოლოდ როდესაც სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მაშინვე წავალ და პატიოსნად ყველაფერს გავიხდი და მაშინვე მოვკვდები რომ იყოს კარადა და ტელევიზორი და მშვიდი ცხოვრება. არ მომკლათ მე არ გინდათ. სონია ჩემო ლვიძლო ქალიშვილო მე მოგმართავ



რომ იურამ კომოდიდან ჩაქუჩი წაილოს და ძალიან მეშინია და ხელები მიცახცახებს მინდა რომ ყველაფერი კარგად იყოს და რაც კი მაბადია ყველაფერს მოგცემთ. მედვედვოვოში დედასთან სამარადუამოდ რომ გადამალო და მეტჯერ აღარასოდეს დავინახო. ახლა კი დილითაც ვერმიშელი სადილად-აც ვერმიშელი ვახშმადაც ვერმიშელი და არსად და აღარასოდეს დავაწვეთებ. ყველაფერს ისე ვაკეთებდი როგორც საჭირო იყო და ჩვენი დედა ვერ მოესწრო ჩვენ კი მასთან ერთად ყველაფერს წესიერად ვაკეთებდით რომ ყველაფერი კარგად ყოფილიყო და არ არის საჭირო ჩაქუჩის კომოდში შენახვა იქ საშინია და ქანაობით სიარულისას ხელები მიცახცახებს. მე ახლა თქვენ პატიოსნად შეგპირდებით რომ ორი წლის მერე მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ და ამას გულწრფელად გპირდებით როგორც საბჭოთა მუშა და ყველაფერზე პასუხისმგებელი. იურა არ შემიძლია დავინახო კომოდში ჩაქუჩის როგორ ინახავ. იურა ეს არ გინდა ყველაფერს პატიოსნად გავაკეთებ. მე ხომ ვიბრძოდ და ვარშავიდან ბერლინამდე მივედი რომ თქვენ შევიდად და ბედნიერად ყოფილიყვათ. ორი წლის მერე კი მე გპირდებით და ვფიცავარ რომ მოვკვდები და როგორც კი საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ შემნახველი სალარო მაშინვე ფულს მოგცემთ და ყველაფერი თქვენი იქნება და სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა. არ მომკლათ მე არ გინდათ. იურა ძვირფასო ჩაქუჩი კომოდს მოაშორე. არ გინდა ეს. ლეონიდ ალექსეევიჩი მოვდა და საცხოვრებელი ფართი მაშინვე გაათავისუფლა და მეც მოვკვდები და მეც მაშინვე გავათავისუფლებ ფართს ჩაქუჩით კი არ გინდათ ჩემო ახლობლებო არ მომკლათ. არ მომკლათ მე ახლა შეგპირდებით და პატი-

ოსნად ვიტყვი რომ ზუსტად ორ წელში მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ და თქვენ იმავე წამიდან თავისუფლად იცხოვრებთ. საყვარელი სვეტლანა კი პიონერთა რიგებში შევა და ტელევიზიონი და კარადა ყველაფერი რომ კარგად და მოხერხებულად იყოს ჩემი მოკვლა საჭირო არა. ყველაფერს პატიოსნად მოგცემთ და ეს საბჭოთა მუშის სიტყვა მე შრომის ინვალიდი ვარ და მაქვს მოწმობა ღოკუმენტები კი დაიწვა მე დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ და საკმაო ადგილი იქნება კეთილი ოჯახის ერთად ცხოვრებისთვის. მე ჩავაკრობ და დავკეტავ და ჩემი ძვირფასებო ყველაფერს წამონოლილი გავაკეთებ ჩუმად და არ ვიფაჩუნებ არ მომკლათ არ გინდათ. არ მომკლათ მე არ გინდათ. დასვრით არ დავსვრი ჩაქუჩით არ გინდათ ჩემი ძვირფასებო არ გინდათ ჩაქუჩით. და თუ საჭიროა შემიძლია დავიფიცო რომ ორი წლის მერე მოვკვდები და მთელი ფული თქვენი და იურასი გახდება სახელმწიფო კი ყველაფერს წესიერად გაკეთებს. საზეიმოდ ვდებ ფიცს რომ როგორც კი ორი წელი გავა მაშინვე მოვკვდები არ მომკლათ მე ამის გაკეთება ჩაქუჩით არ გინდათ. და აი ჩემო ძვირფასებო მე დავწერ:

საპატია მუშის საზეიმო ფიცი

მე, ბონდარენჯო პავლე ნიკოლაევიჩი, დაბადებული 1917 წლის 5 ივნისს დიდი სამამულო ომის მონაწილე მუშების შთამომავალი შრომის ინვალიდი ვდებ ფიცს და გპირდებით ორი წლის მერე როგორც კი სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მე მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ.

რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილია



მხატვარი
ბექა ხუცურაული





მარიამ კალეახელიძე

ცას ახედე.....

ღამის წყვდიადი გაიფანტა მოლუშულ ცაზე... ცვი, ნაცრისფერი წვიმის წვეთები ენარცხებოდა სისველით გაუდენთილ მინას... ბავშვები მოცუცქულ ფეხებს ტალაბში ატყლაშუნებდნენ, შეფეხი სახეზე ენვეთებოდათ და ფეხსაცმელები ელუმპებოდათ... ქურთუკის ჯიბები ხელი ჩავიყავი... ქუდი სახეზე მეფხატებოდა და კაშნე თბილად მქონდა ყელზე შემოკრული... მივაბიჯვებდი ბავშვივით მსუბუქი და კოხტა ნაბიჯებით... მახსენდებოდა ბავშვობა, ჩემი მეგობრები... როგორ დავრბოდით ზაფხულის ცხელ დღეებში წვიმის დროს... ავხედავდით ცას და დიდხანს ვაკვირდებოდით იდუმალ სამყაროს... როდესაც ვარსკვლავი ჩამოგარდებოდა ცრემლი ღაპალუპით გვცვიოდა... არ ვიცოდით რაზე ვტიროდით... ყოველ ღამე იმაზე ფიქრში ვიძინებდი, რომ მეორე დღეს ჩემს მეგობრებს ვნახავდი და მაგრად ჩავეხუტებოდი... თუმცა ეს ტკბილი დღეები მაშინ დასრულდა, როცა სკოლა დავამთავრეთ... ყველა აქეთ-იქით გაიფანტა... მე კი თბილის შემოვრჩი, ცივ და უგრძნობ ხალხს... დავკარგე მეგობრები, დავკარგე იმედი, რწმენა, რომ მათ ოდესმე ვნახავდი...

გავიდა ათი წელი... რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს მაინც მეხსომება ჩემი მეგობრების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი... ამ ფიქრებში გართული კინაღამ ნესტისფერ კედელს შევეჯახე, გამოვფხიზლდი და სიარულს ავუჩქარე... წვიმას უკვე გადაეღო... ანათებდა თბილი მზე... ცისარტყელაც გამოჩნდა... სკვერის სკამზე ძალაგამოლული დავვენაცხე... თვალებზე ხელები ავიფარე და ცისფერი გუგები მოვიფშვიტე... შევბრუნდი, ჩემს გვერდით

ბიჭი იჯდა მწვანედ მოლივლივე თვალებით... სახის უცნაური გამომეტყველებით შეწუხებული იყურებოდა. თითქოს ეს სახე სადღაც მინახავს... მოულოდნელად ბიჭი ჩემკენ შემობრუნდა:

– ე! ქალბატონი, გამოფხიზლდით! – უცნაური შარი მომდო, რაზეც გამეცინა...

– რა მჭირს გამოსაფხიზლებელი? – საუბარში ჩამითრია. ჩემი კლასელი შაკო გამახსენდა ასეთივე უცნაური გამომეტყველებით რომ იჯდა გაკვეთილზე და ყოველთვის მზად იყო შემპასუხებოდა.... შაკო ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო... იგი ყოველთვის წარბშექმუხნული იჯდა, რაღაცას ბოდავდა...

– ნიტა, ახლა შენებური არ დაიწყო! – გაოცებული დავრჩი. ამ ბიჭმა საიდან იცოდა ჩემი სახელი? გონებაში უამრავ კითხვას ესგამდი და ამ კითხვებს პასუხს ვერ ვუძებნიდი...

– დაა.. – ის იყო საუბარი უნდა დამეწყო, რომ შეშლილივით ნამოიყვირა...

– უფს! სიურპრიზი გავაფუქე! – გამიღმა და გაიქცა...

ფეხზე ნამოვვარდი, მაგრამ დადევნება ვერ გავტე-დე... სახე შემეცვალა და ცას ავხედე... მერე მხრები უმნეოდ ავიჩეჩე და სკვერის სკამზე ჩამომჯდარი დაბინდებას ველოდი... ისევ ბავშვობა მახსენდებოდა... მაგრამ რატომ მაინცდამანც დღეს?.. ამ ბოლო ხანებში არასდროს გამხსენებია კალმით მოხატული და „ვარდისფერებში“ ჩაძირული წლები... უეცრად ტროტუარზე მომავლი ადამიანები შეენიშნე...

– ნიტა! – გაჰყვიროდნენ ისინი, მაგრამ მე ვერ-აფერს ვხვდებოდი...





ერთ-ერთი გოგონა მომიახლოვდა, თვალებში შემომხედა და გაეღიმა...

- როგორ შეცვლილხარ, ნიტ! - მხოლოდ ეს მითხვა და ჩემს პასუხს დაელოდა... მე ის ვიცანი... ლიზა, ბავშვობის საუკეთესო მეგობარი... თვალებიდან ცრემლი მცვიოდა... თან ვიცინდი... ლიზას მაგრად ჩავეკარი, ისე როგორც ადრე... მის უკან ჩვენი მეგობრები იდგნენ: შაკო, სალი, ანა და ლუკა... სიხარულით დაფირინავდი... ვეზუტებოდი ყველას... მერე ლუკამ თქვა:

- ჩვენს ადგილას წავიდეთ, საიდანაც მტკვარი მოჩანს. გავიხსენოთ წარსულში გემივით ჩაძირული წლები...

დავეთანხმეთ და გზას უკვე ზრდასრულნი გაგვევით... როდესაც მივედით, ჯამიცვევებით... გავყურებიდთ ლურჯად და ნაცრისფრად მოლივლივე მტკვარს... ენთო ლამიტინები... იღვრებოდა სინათლე... გვათბობდა ნარინჯისფერად მოელვარე ცე-ცხლი... ჩვენ კი ერთმანეთს ვუთბობდით სულსა და

გულს... ვყვებოდით ჩვენს ონებზე, სხვის ეზოში ხეხილის მოპარვაზე... მდინარეზე კენჭების გაცურებაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს... ოპ, რა ტკბილი იყო ეს ყველაფერი. ახლა კი... მხოლოდ მოგონებებიდა შემოგვრჩა... გაფატრული და გახუნებული... ყველანი გავჩიტდით... მე კი ჩავილაპარაკე:

- ახედე ცას!.. — ეს ჩვენი ბავშვობის ფრაზა იყო...

ყველამ ლურჯ ცას ავხედეთ, ვარსკვლავებით და მთვარით მოჩიურებულს... უცემ ვარსკვლავი ჩამოვარდა, მაგრამ ტირილი ალარ დაგვიწყია... უკვე ვიციოდით, სურვილი უნდა ჩაგვთიქა... ხელები ერთმანეთს ჩავჭიდეთ და ვთქვით:

- სამუდამოდ ერთად ყოფნა და მეგობრობა სიცოცხლის ბოლო წუთამდე...

წამოვიდა წვიმა... გველუმბებოდა სხეული... ვცოცხლობდით ბავშვობით და ჩვენი ფრაზით:

- ცას ახედე!..

მავთულებლართს იქით, გებია ტკპილეულს მიმზადებს

ღამით ცაზე ვარსკვლავების კორიანტებს რომ შეამჩნევთ, მათთან ახლოს მოციმიციმე მთვარესაც დაინახავთ... დაინახავთ უამრავ მოვაჟაშე ვარსკვლაგს, ცის კიდობანზე მშვიდად რომ ბრნყინავენ... მიიზღაუნება ლამეც ძალიან ნელა, და ხანდახან მოულოდნელი საფრთხის შიშიც კი იპყრობს... ალბათ ყველას ჩაგვიფიქრებია სურვილი ვარსკვლავის ჩამოვარდნისას, და მანამდე გვიცქერია მისთვის, სანამ ყელში რაღაც ბურთი არ გაგვეჩირებოდა, და საცრემლე ჯირკვლები მოუთმენლად დაინყებდნენ მუშაობას... ბავშვობაში ბევრჯერ ჩამიტიქრებია სურვილი და ყველა ერთნაირი იყო... მანამდე ვოცნებობდით, სანამ ღამე დაიღია როგორი ვიყავი... ჩემს თბილ ოჯახთან ერთად მშვიდად ვცხოვრობდი... ყოველთვის მქონდა რწმენა რომ ერთად ყველანაირ პრობლემას გავუმტკლავდებოდით და ყველაფერს გადავლახავდით, თითქოს უჩინარი საზღვარი ყოფილიყო, და როგორც კი ხელჩაკიდებულები ფეხს გადავდგავდით, ყველაფერს წერტილი დაესმებოდა და მეც შვებისმომგვრელად ამოვისუნთქავდი... გულზე ხელს მაგრად მივიჭრდით... შემდეგ კი ჩემს, მავი ზღვასავით ათრთოლებულ, გულის ცემას დავუგდებდი ყურს... მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც მე ბების მელავებში ჩაიძინებულს მთვლემდა, ღამე საზარელმა ხმებმა შეაზანზარა... მხოლოდ ის მახსოვს ამ საშინელი მოგონებებიდან, რომ თვალები გავახილე და მაშინვე ყველაფერი დაიბურა... სიტყვებს ვეღარ ვარჩევდი... ჩემი სისხლი კი ვენებში გამალებით ისუნთქავდა უანგბადს... ამ ღამით დაინყო, აგვისტოს ომი... ღამე, რომელიც აქამდე ჩემი სიმშვიდის წყარო და ოცნებების ბუდე იყო, დაიშალა... ჩემს სოფელში, აურზაური ატყდა... ცის კიდობანზე ვერტმფრენების

ნაკადი არ წყდებოდა... მინდოდა გამეგო მამაჩემი სად იყო, როგორ იყო... ჯერ კიდევ ცემდა თუ არა მისი გული, რომელზეც ბავშვობაში თავდადებულს მებინა... დედაჩემბა სასწრაფოდ ჩამკიდა ხელი და მთლიანად განადგურებულმა გაქცევა გადაწყვიტა... ბებია არაფრით არ მოგვყებოდა, მხოლოდ იღიმიდა და ჭაობისფერ, ლილივა თვალებში ცრემლის კვალი ემჩნეოდა... ხელი მოვკიდე მის დაძარლვულ და თბილ ხელებს და ვემუდარებოდი რომ წამოსულიყო... მის მტევანს გამალებით ვკოცნიდი და ბების სურნელს სარბად ვისრუტავდი... მისი ცრემლები მელვრებოდა ხელებზე და ტკივილს ვგრძნობდი... თითქოს ძვლები მეტკვრეოდა და შინაგანად უკვე მკვდარი ვიყავი... ვეღარ ვსუნთქავდი... მინდოდა ბოლო ხმაზე მევკირა და ემოციებისგან დაცლილიყავი... ბების ბოლო წუთამდე ვეკვრებოდი და მის ტკივილს სურნელს შევიგრძნობდი მთელი სხეულით... მინდოდა დამახსოვრებოდა... მინდოდა სამუდამოდ ეფეთქა ჩემში ბების გულის აორტაში გამავალ სისხლს... ჩანთაში ბებომ ტკბილეული ჩამიყარა... და მხურვალედ მაკოცა ანითლებულ და დაცრემლილ ლოკებზე... მისი მომზადებული ტკბილეული საბოლოოდ მისახსოვრა, ხელი დაგვიქნია და კარი მიიხურა... დიღხანს გაშემცირებული ვიდექით მე და დედა... ვიცოდი ორივეს ერთმანეთის გარდა აღარავინ ვეყავდა... ქუჩაში რამდენიმე ადამიანი ჩვენ თვალწინ (გამოესალმა) შეელია სიცოცხლეს... დასისხლიანებული და აცრემლებული, ტკივილისგან აფორიაქებული მივრბოდით მე და დედა და გარე სამყაროს ვწყდებოდით... ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავების მსგავსად... მთელი ძალებით მივრბოდით და უამრავ ადამიანს გამჩევდით... ყველა თვითგადარჩენისთვის იბრძოდა... რუსმა სეპარატისტებმა, ყველას ოჯახი წაართვეს... წაართვეს ის რასაც აღმერთებდნენ და რაც აბედნიერებდათ...





უკანასკნელი იმედის ნაპერწყალი ჩაუწვეს გულში და გაღვიცება არ აცადეს... იმ დღიდან მათი დანახვა ზიზღს მგვრიდა... მათი თითოეული ნაბიჯი შიშის გრძნობას იხვავებდა ჩემს სხეულში... იმ დღიდან ბევრი აღარაფერი მახსოვს... წლები გავიდა... მე და დედამ თავშესაფარს შევაფარეთ იმ ღამით თავის გარეთ ტყვიერის ზუზუნი და ჰაერში გამავალი ბომბდამშენების საზარელი ხმა გაისმოდა... დღეების განმავლობაში ყველაფერი წელ-წელა წყნარდებოდა... რჩებოდა მხოლოდ მოუშუშებელი შინაგანი იარები, და ტკივილი, რომელიც მოელ სხეულს გამალებით ედებოდა და თითოეულ ორგანოს ნამლავდა... გააბეს რუსებმა მავთუხლართები... რომლებიც პირობითი საზღვრის სახით წარმოადგინეს... ჩემს სოფელში, სადაც ადრე ყველაფერი ანათებდა, მიტოვებული სახლების მეტი არაფერი იყო დარჩენილი... ამ სახლების მოღამული კედლები ინახავდნენ იმ დღეების სიმწარეს და სისასტიკეს... მავთუხლართების იქით, სადღაც სიცოცხლის წატამალი დაუშრეტავად მიედინება... მჯეროდა და დღემდე მჯერა რომ იქ ისევ ცოცხლობს ჩემი ბებია, რომელიც ტკბილეულს მიმზადებს... მე კი დანაშაულის სურვილი მიბყრიბს და მინდება ჩემი სუსტი ხელებით გავარღვიო მავთუხლართები, მივიჭრა იქ, სადაც ბებია ყოველდღე მელის და აცრემლებული თვალებით შესცეკრის ისიც ამაყად გაჯგიმულ მტკიცე საზღვარს... მინდა ჩავეკრა

და ყურში ვუჩურჩულო რომ სიგიჟემდე მომენატრა... მის კისერში საამიდ ათრთოლებული სურნელი შევიყნოს და მის მელავებში დავიძინო... ვარსკვლავებს გამალებით ვუცქრო მასთან ჩახუტებულს, ისე როგორც ბავშვობაში... მინდა დილით ისევ დამხვდეს მისი მომზადებული ტკბილეული და მისი სათუთი ხელებიდან შევჭამო... სიზმარში ბევრჯერ მინახავს იგივე სცენა მაგრამ დილით, გალვიძებისთანავე მწარე რეალობაში ვბრუნდებოდი და ყოველ დილით თითქოს ჩემს გულში ნამსხვრევები იშლებოდა... ასეა... ერთხელ გატეხილ გულს ველარ გაამთელებ... გინდაც ნაწილები შეაკონიშნ და შეაწებო, შემდეგ კი გადალებო... შინაგანად მაინც გემახსოვრება ის რომ გული დამსხვრეულია, და საღებავის შიგნიდან ნამსხვრებიც მოჩანს... რამდენი ადამიანი დააშორა ამ საზღვარმა, და ვინიცის რამდენს დაუმსხვრია შეშის ქურჭელივით სურვილები და ოცნებები... რამდენჯერ მივსულვარ ღამით საშიშ ტერიტორიაზე და რამდენჯერ მიტირია დამხობილს... და იცით რა არის ყოველ ღამით ჩემი ჩაფიქრებული სურვილი ვარსკვლავის ჩამოვარდნისას? იმ რწმენის შენარჩუნება, რომ იქ სადღაც, მავთუხლართებს იქით, ბებია ტკბილეულს მიმზადებს და მელოდება... მისი გული კი ჯერ კიდევ ფეთქევს... იმის იმედით რომ მე მივალ, და მის გულისცემას დავუგდებ ყურს... ღამის სიჩურეში...



მხატვარი ბექა სუცურაული



ნინო
დარჩაისელი
სტრონი

ნინო დარბაზის-ელი-ცეკვისა



ରା ଶ୍ରୀ ପାତ୍ରମଣ୍ଡଳ

(იუმორესკა)

წესით, ამ ტექსტმა კრიტიკოსებიც უნდა გააღიზიანოს და ავტორებიც.

ავტორთა უმეტესობა ხომ თვლის, რომ თვალშეუდგამ სიმაღლებსა და თვალჩაუნდენელ სილრმებს სწვდება თავისი ლექსებით, მისი ბადალი კრიტიკოსები კი ჯერ არ ჩანან, ან თუ ჩანან, გზაარეულნი მისკენ არ იჯარირებიან და სხვა რამებიზე ცდებიან.

თავის მბრივ, კრიტიკოსთა რაღაც ნაწილი ფიქრობს, რომ ავტორი, რომელიც მისი თეორიული მომზადების, კრიტიკული ანალიზის უნარის სიმაღლემდე ასწვდება, არ ჩანს თანამედროვე საქართველოში.

და აი, მათი წარმატებული შეხვედრა,
ოღონდ ჩემს წარმოსახვაში!
ორივე უნდა თრთოდეს ბეჭნიერებისაგან.

და ყურადღებასაც არ აქცევს.

ბოლოს და ბოლოს, განა მისი, პროფესიონალური კრიტიკის პირდაპირი მოვალეობა და მეტიც, მოწოდება არაა, მაგალითად, ვირტუალურ სივრცეში ახალი ლექსი გამოჩნდება, თუ არა, ყველა საქმე გვერდზე გადაღოს, დაჯდეს და გაანალიზოს?!

პოეტს ვინ რას უხდის ან აძლევს, რომ
კრიტიკოსსაც უნილადოს?
საქართველოში პოეტად ყოფნა ხომ ისე-
დაც ქველმოქმედება!

აბა დაუფიქრდით: თან რაღაცნაირად თავი უნდა გაიტანო ან ახლობლებს შეანახვინო, თან – შენი ღვთაებრივი ლირა (ართა?) აჟლერო და ასე ემსახურო შენს ენასა და ერს.

ამ ლირიკული გადახვევის შემდგომ
პირდაპირ ზემოთ დადებული ლექსის ანალიზ-
ზე გადავიდეთ.

ლექსი მინიმალისტური პოეზიის ნიმუში
უნდა იყოს. ურითმოა, თუმცა რაღაც მიღმ-
იერი რიტმი მუშაობს. ამის გათვალისწინებით,

გარდამავალი რამ ფორმა ჩანს ვერლიბრისა. პირველი წაკითხვით, სივრცული პარა-
მეტრი ბინის ლოკალს მოიცავს, საუბარია
შინ გამომცხვარ ნამცხვარზე, ვინმე, გამორ-
ჩეული სტუმრის გაცრუებულ მოლოდინზე
(რაში დასარწმუნებლადაც სათაური – „ერ-
თადერთს“ გვიბიძგებს)... მაგრამ ეს მხოლოდ
ერთი შეხედვით.

ამ მოჩვენებითად მარტივ, ყოფით ლო-
კალში მოქმედულ ლექსს აქვს მეორე პლანი,





რომლის ამოკითხვასაც ახლა შევეცდებით.

ვიდრე უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეთ, ჯერ ჩამოვწეროთ კითხვები, რომელზე პასუხიც გაგვიხსნიდა რიგითი მკითხველის თვალსაწირისვის მიუწვდომელ მეორე პლანს:

ვინ შეიძლება იყოს „ერთადერთი“, რომელსაც ლირიკული სუბიექტი ლექსში ორჯერ მოიხსენიებს მეორე პირის მხოლობითი ფორმით „შენ“, ხოლო მესამედ – ვითარებით ბრუნვაში დასმული მომავალი დროის მიმღეობის გამოყენებითაც დაუფიქსირებია ტექსტში ასე – „სა-შენ-ო-დ“?

რა დროითი პარამეტრები გვაქვს ლექსში?

რას ნიშნავს „ქიშმიშიანი ნამცხვარი“?

რატომ წუხს სუბიექტი ნამცხვრის შემოჭმის გამო?

რატომ მარტო?

რას ნიშნავს ე.ნ. „გრამატიკული ტროპი“ – „არ მოხვედი“, ნაცვლად სწორი ფორმისა „არ მისულხარ“?

როგორია ლექსის ლირიკული სუბიექტის სამომავლო ინტენცია?

მკითხველი რომ არ გადავლალო კვლევის მთელი პროცესისათვის თვალის დევნებით, პირდაპირ პასუხებზე გადავალ.

მიუხედავად თანამედროვე ყოფითი, სასაუბრო ლექსიკისა, ამ პოეტურ ტექსტს ულრმესი ტრადიციული ძირები აქვს და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნისა და ბიბლიის გადაკვეთის წერტილში გაელვებასა თუ განხორციელებული შემოქმედებითი აქტის ნაყოფს.

გავიხსენოთ: „შენ, ღმერთო ერთოო!“ მიმართავს რუსთველი ღმერთს დასაწყისიდანვე. ანუ სათაურისეული „ერთადერთობა“ და სამგზის გამოყენებული შენ – ნაცვალსახელი პირდაპირი ალუზია ვეფხისტყაოსნისა.

რაკი ეს გავარკვიეთ, ბიბლიისკენ გზის გაკვალვა აღარ გაგვიჭირდება იმის გათვალისწინებით, რომ „ქიშმიშიანი ნამცხვარი“ რამდენჯერმე იხსენიება მასში, როგორც უფლის შესაწირავი.

ერთ კონტექსტში კი ქიშმიშიანი ნამცხვრის ჭამა ადამიანის მიერ – მოხმობილია,

როგორც გაზულუქების, გაყვიზინების (კიდევ რა ამისდარი სიტყვები შემოგვრჩა ენაში? თავად განაგრძეთ!) ნიშანი.

(ზუსტ წყაროებსა და ნაკადულებს დაგისახელებთ დაინტერესების შემთხვევაში)

შემდეგი საფეხურის ამოცანა გარკვევა იმისა, თუ რა ჩაუდენია ავტორს.

ესე იგი, ჯერ მოუმზადებია უფლის შესაწირავი და მის ლოდინში თავად შეუჭამია.

ეს, ცხადია, ცოდვათა შორის ცოდვაა!

სიტყვიდან „ვწუხვარ“ – აშკარაა, რომ სუბიექტი მონაიების გზაზეა დამდგარი. მწუხარება – ამ გზის პირველი, აუცილებელი ნაბიჯია.

იგი მარტოა, როგორც ყოველი ადამიანი – უფლის წინაშე და კვლავ უფლის მოლოდინის რეჟიმში რჩება (ელოდა, ელის და დაელოდება მას) და სამომავლოდ მზადაა გასაღებად იმავე ქიშმიშივანი შესაწირისა, რათა უზენაესთან კომუნიკაცია შეინარჩუნოს.


ამ ლექსში „არ მოხვედი“ ფორმით – არა რაიმე შემთხვევა, არამედ უზენაესის ნებაა გამოხატული. ასე უნდოდა და არ მოვიდა!

(კონტრასტისათვის შეად. სუბიექტის, ადამიანის ქცევა, როგორც საკუთარი ნების საწინააღმდეგონდ რაიმე მოქმედების ჩადენა „შემომექამა“)

აქ წარმოდგენილი დროითი პარამეტრების – წარსულის (გუშინ), ანმყოსი (დრო, რომელშიც იმყოფება და მეტყველებს ლირიკული სუბიექტი) და მომავალის (გამოხატული უფლის კვლავ მოლოდინში, იმედში) სრული კომპლექსის განზოგადებას თუ მივმართავთ, მივალთ აზრამდე, რომ ეს – მომნანიე კაცობრიობის მთელი, უწყვეტი სავალია დასაბამიდან – მომავლიანად ერთადერთი ღმერთისკენ.

ამ ანალიზის გათვალისწინებით, მართლაც ძნელია, მკითხველმა მეტი მოსთხოვოს ერთ რვასტრიქონიან, სულ რაღაც, თხუთმეტიოდე სიტყვიან ლექსს.

დასასრულ, ისლა დაგვრჩენია, ჩვენ ყველა ერთად, კრიტიკოს-მკითხველებიანად, მივესალმოთ ამ ლექსის ანონიმ ავტორს დიდებისაკენ მიმავალ გზაზე.



გამუკა ცაშაპიტი

ს ა მ უ კ ა
ც ა შ ა პ ი ტ ი

ანდრეი შიგოვის „დე უავიუ“, ლეონიძ იუზეფოვი-
ჩის „სამი ხმა“ და მორის კამილვის „ილაპარაუ“, ფერა,
ილაპარაკეუ...“ მართლარ განსაკუიფრენელი სიუსედისა და
ფილი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველებია
და ჩეზზე განსაკუთრებული შეთერჯოლება დაჭოვს.
თუმცა სხვა ავტორების მეტად საყურადღებო ნაწარმოე-
ბებით არიან ნაწმოჩენილნი.

„თანამედროვე რუსული პროზა“ მართლარ მოულოდ-
ნელი და კარგი საჩუქრარია გემოვნებიანი, ქართველი
მკითხველისთვის. წიგნი გამომზემლობა „მერიდიანშა“ გა-
მოხარ, რედაქტორი გახლავთ ზაალ მოცურველი.

მამუკა ვაძეკიძე

41



თავმოსილი სამუშაოების განვითარებისა და მომსახურების სამსახურის მიერ გამოცემის მიზანისათვის

საოცრებანი თანამედროვე რუსული პროზისა

ეს მშვენიერი წიგნი ჩემი უფროსი მეგო-
ბრის, პუბლიცისტისა და მწერლის ოთარ
ხუციშვილის წყალობით ჩამივარდა ხელში
– საინტერესო და ნიჭიერი მწერალია აკაკი
დაუშვილი, ლიტერატურულ უურნალ „ოლეს“
რედაქტორი და გამომცემელი, რუსული ნოვ-
ელების წიგნი გამოსცა და დაგაინტერესებს.

წიგნი „თანამედროვე რუსული პრო-
ზა, მოთხრობები“ კი თავად ბატონმა აკაკიმ
თბილი წარწერით მისახსოვრა და მორიდებ-
ით ბრძანა – წლეულს გამოვეცი, ჩემი თარგ-
მანებიან. დიდი ხნის ნაცნობებივით შევხვდით
ერთმანეთს – უურნალ „ოლეს“ ყოველ ნომერს
ვკითხულობ, პერიოდულ გამოცემებში კი მისი
მოთხრობებიც წამიკითხავს, მისი საქმიანობის
შესახებაც მსმენდა, როდესაც იგი გასული
საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში უურ-
ნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათის“ სარე-
დაქციო კოლეგიისა და საბჭოს წევრი იყო და
ნიჭიერი ახალგაზრდა, დამწყები მწერლების
გზის გამკვალავად გვევლინებოდა თავად-
აც იმ დროისთვის ახალგაზრდა მწერალი და
მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ასაკით უმ-
ცროსი წევრი. იმ დროისთვის აკაკის მოთხ-
რობების სამი კრებული ჰქონდა გამოცემული
და პოპულარობითაც სარგებლობდა.

შემდგომში მას გურამ რჩეულიშვილის,
ნიკო ლორთქიფანიძისა და დავით კლდიაშვი-
ლის პრემიებსაც მიანიჭებენ, თავად ჩრდილ-
ში ყოფნას ამჯობინებს და საყვარელ საქმეს
უჩუმრად, ყოველგვარი ხმაურისა და პომპე-
ზური წარდგინებების გარეშე აკეთებს. რამ-
დენიმე წლის წინ შესანიშნავი პოეტისა და
რედაქტორის თამარ შაიშმელაშვილის მიერ
დაარსებულ რევაზ ინანიშვილის სახელო-
ბის ერთი მოთხრობის კონკურსშიც მიიღებს
მონაწილეობას და ზედიზედ 2017 და 2018
წლებში პრიზიორიც გახდება. მის მოთხ-

დანიელ გრანი

ლეონიდ ვირი

ვლადიმერ მაკანი

ანდრე ბითოვ

დავით კოცეგინ

ნიკოლა ეკიმიშვილი

ვლადიმერ ქრუპინ

ალექსანდრა ულიკა

ლეონიდ ვაჟაფავიძე

თამაზ გალათაძე

დინა რებინა

ზრი ბერდა

ვლადიმერ სორიანი

ანდრე ხვისევიძე

მიხაილ უშამიშვილი

ილია ბალაში

ვიქტორ გელებიძე

ევგენი ვეგოლაძე

ანდრე გელაშვილი

ევგენი გრიშავაძე

ალექსანდრე გურგენიშვილი

რომან ცემიშვილი

მიხაილ ელიაშვილი

გერმან გადაბეკი

ვახარ ერისეპინ

გვალი აქინა

ალექსანდრე სუერიძე

სერგეი შარიუნია

ანна კოსია

ალექსეი რასკინ

თანამედროვე

რუსული პროზა

მოთხრობები



რობებს გადათარგმნიან რუსულ და აზერბაი-
ჯანულ ენებზე.

თავადაც შესანიშნავი მთარგმნელი
შრომატევად საქმეს შეეჭიდება და რუსული
ენიდან რუსი თანამედროვე მწერლების გად-
მოქართულებას დაიწყებს. ეს წიგნი 30 თა-
ნამედროვე მწერლის რჩეული მოთხრობების
კრებულია. რუს მწერალთა შორის, რომელთა
ნანარმოებებიც ამ წიგნშია შესული, ყველაზე
ცნობილი დანიშნულებული გრანითა, რომელიც ორი-
ოდე წლის წინათ გარდაიცვალა საუკუნეს
მიტანებული, მეორე მსოფლიო ომის ვეტერ-

ოლქა №2, 2021





ანი, არაერთი პრესტიული ლიტერატურული პრემიის მფლობელი. **ლეონიდ ზორინი, ტატიანა ტოლსტაია, ვლადიმერ სოროკინი, ლეონიდ იუზეფოვიჩი** ასე თუ ისე ცნობილნი არიან ქართველი წიგნის მოყვარულთათვის, მაგრამ დანარჩენი მწერლები ჩვენი ახალგაზრდებისთვის, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მართლაც უცხონი არიან, არადა, მათი ნაწარმოებები და შემოქმედება კარგადაა ცნობილი უცხოეთში, ისინი რუსეთში ყველაზე პრესტიული პრემიის „დიდი წიგნის“ მფლობელებიც გახლავან, მიღებული აქვთ ეკროპული ლიტერატურული პრემიები.

„მათი შემოქმედება რუსული ლიტერატურული უურნალ-გაზეთების ფურცლებიდან გავიცანიო“, მხოლოდ ეს მითხვა და დამემშვიდობა ბატონი აკაკი, მაგრამ, როცა მთელი წიგნი გულდასმით წავიკითხე (ზოგიერთი ხოველა ორჯერაც კი, იმდენად საინტერესო ფილოსოფიური მიგნებები ჰქონდა), როგორც უურნალისტს, გულიც დამწყდა, რატომ არ ავიღე მთარგმნელისგან ვრცელი ინტერვიუ.

ეს ავტორები მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნიან თანამედროვე რუსული ლიტერატურის შესახებ, მით უფრო, რომ, როგორც ზევით აღვნიშნე, დღევანდელი მკითხველი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრესტიული, ქართული გამომცემლობა უკვე შეუდგა რუსი მწერლების „ბეჭდვას“,

მაინც მოწყვეტილია რუსული კლასიკით (თანამედროვე ლიტერატურა მაქვს მხედველობაში) ტკბობას.

ავტორებიცა და მოთხოვებიც შესანიშნავად არის შერჩეული, რაც მთარგმნელის დიდ გემოვნებაზე მიუთითებს, რუსული ენის ღრმა ცოდნითაა გადმოენებული და, რაც მთავარია, ზედმინევნითაა გადმოცემული რუსული სლენგი, რომელიც შეუდარებელია მსოფლიოს მრავალ ენათა შორის.

ანდრეი ბიტოვის „დე ჟავიუ“, ლეონიდ იუზეფოვიჩის „სამი ხმა“ და ბორის ეკიმოვის „ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...“ მართლაც განსაცვიფრებელი სიუჟეტისა და დიდი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველებია და ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვეს. თუმცა სხვა ავტორებიც მეტად საყურადღებო ნაწარმოებებით არიან წარმოჩნდნი.

„თანამედროვე რუსული პროზა“ მართლაც მოულოდნელი და კარგი საჩუქარია გემოვნებიანი, ქართველი მკითხველისთვის. წიგნი გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა, რედაქტორი გახლავთ ზაალ ბოტკოველი, ფინანსური მხარდამჭერი კი ბატონი ვაჟა უთმელიძე.

**გაზეთი „საქართველოს რესუბლიკა“
№259, 28-29 დეკემბერი, 2019 წელი.**



მხატვარი

ბექა ხუცურაული



სოფიკ გვრიტიშვილი

სოფიკ გვრიტიშვილი

— მე ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, განაგრძის ჩემი ჩემი მასპინძელი, მათა ჩონალიური, ვაჟა-ფშაველას შვილთან გულექნ რაზიკაშვილთან. იყო ძალიან კუთხლი და თწილი, კარგი ადამიანი. შავშვეტის ყოველთვის დიდი თხოვნით გვთხოვდა, რომ ყოფილობა კუთხლები, არა-სოფეს გვეჩხუმა ერთმანეთთან, ჩემი პირიდან არ აძო-სულიყო წუჭი სიციცა ან წყველა. გვეტყოდა ხოლმე: შეიძლება თევენი წყველის ფრის უსტურმა გამოიარის და იმან გაიგონის. ეს კი მისთვის, როგორჯ ახდენილი ორ-ნება, ისე იქნება (უკმიურში გვლისხმობდა ეშმაკი). ასას მაგალითს მოგვიყვანდა ხოლმე, იყო ძალიან მორბეულე. სოფიკ გვრიტიშვილი

43



სოფიკ გვრიტიშვილი

შეხვედრა ბაჩანას შთამომავალთან

მე და დედა, ამ ზამთარს, დედას ამხანაგს ნანა ლაზარიაშვილს ვესტუმრეთ. მან მითხრა, რომ ჩემს მეზობლად ვაჟა-ფშაველას ახლო ნათესავი გადმოვიდა საცხოვრებლადო. ძალიან გამიხარდა. ერთი სული მქონდა როდის გავიცნობდი, მაინტერესებდა ვისი შთამომავალი იყო.

დადგა ჩვენი შეხვედრის დროც. არ ვიცი რატომ, მაგრამ მეგონა ასაკიან ადამიანს უნდა შევხვედროდი.

კარი სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონმა გამიღო. როცა შეიტყო რისთვის ვიყავი მისული, სახეზე კეთილი ლიმილი მოეფინა და სახლში შემიძლვა.

გავიგე, რომ იგი ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის შთამომავალი ყოფილა. ძალიან მომენტია მისი ფშაურ-მთიულური საუბრის კილო.

ერთი წუთით გონებაში თვალი გადავავლე ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

(ბაჩანა) ნიკო პავლეს ძე რაზიკაშვილი (1866 – 1927) მომდევნო ძმა ლუკა რაზიკ-აშვილისა – ვაჟა ფშაველასი. თავის უფროს ძმასავით მასაც გორის საოსტატო სემინარიაში უსწავლია. მასწავლებლობდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მწერლო-



ბა სემინარიელთა ხელნაწერ ჟურნალში დაუწყია, შემდეგ ლექსებს ბეჭდავდა „დროებაში“, „ივერიაში“, „თეატრში“ და სხვა გამოცემებში. ბაჩანას ლექსებს აღტაცებით კითხულობდა ილია ჭავჭავაძე.

ბაჩანა და ვაჟა-ფშაველა ერთი საზოგადოებრივი სურვილებით მოქმედებდნენ, ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ იმ სამყაროსთან, რომლის წიაღშიც დაიბადნენ და საიდანაც იღებდნენ შემოქმედებით ენერგიას. ბაჩანას ზოგი ლექსი ვაჟას ძლიერ მოსწონდა. აქებდა კიდეც, თუმცა ძმათა შორის ზოგჯერ პოეტური შესიტყვებაც იმართებოდა.

ვაჟა და ბაჩანა სისხლით ძმობის გარდა იყვნენ ლიტერატურული ძმებიც, ძმები თემატიკით და პოეტური კილოთი.

ვაჟასებრი ძალით იტირა მან, თავისი ძმის, ვაჟას საფლავზე:

ძმის საძებნელად წამოველ,
წინ არსად შემომეყარა,
ვეძახენ, ვერ გავაგონე
ზედ გრილი მიწა ეყარა.
იქნება გავაცოცხლებდი,

№2, 2021





სამარე გადამეთხარა?
საშველს ვეძებდი, გულისთვის
წამალი რამე მენახა...
ბევრი ვიტირე და სევდა
მაინც არ გადამეყარა.

ვაჟა-ფშაველას ძალიან ჰყვარებია თავისი
ლექსი „არწივი“ და ბაჩანას ლექსი „მუხა“.

მუხავ, მიყვარხარ ტიალო, განმარტოვე-
ბით მდგომარე,

ერთი შენ გპოვე გულისა, ქვეყანა შემოვ-
იარე...

კვლავ ჩემს მასპინძელს დავუბრუნდები.
აი, რა მიამბო მაია (მართა) ჩობალაურმა:

— მე ვარ ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის
შთამომავალი. ჩემს დიდ პაპას — ბაჩანას და
ბებიას — მარიამ გურასპაულს სახეზე ჰყო-
ლიათ სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი: პავლე,
ვანო, ნინო, მართა (ბებიაჩემი — მამის დედა)
და გიგლა. სულ რვა შვილი ჰყოლიათ, მაგრამ
დანარჩენები პატარა ასაკში დაღუპვიათ. ორ
სხვის შვილსაც ზრდიდნენო.

მართა — ბებიაჩემი ცოლად გაჰყოლია ქვე-
მო ქედში მცხოვრებ პაპაჩემს — ალექსი ჩობა-
ლაურს. მათ ჰყოლიათ ხუთი შვილი: ზაქრო,
ვახტანგი — მამაჩემი, ბაბალე, შოთა და ეთერი.
სამწუხაროდ ბებიაჩემი მართა რაზიკაშვილი
30 წლის ასაკში გარდაიცვალა, პლევრიტის
გართულების გამო. გოგონები მამიდას გაუზ-
რდია, ხოლო ბიჭები — დეიდას, ნინოს.

ბებიაჩემი ყოფილა ძალიან ვაჟკაცური
ქალი. ჰყვარებია ცხოველები. ყოფილა ხალ-
ური მედიცინით გატაცებული.

უფროსი შვილი ზაქრო, რომელიც დედ-
ის გარდაცვალების დროს 11 წლის ყოფილა
ძალიან განუცდია დედის დაკარგვა. ხშირ-
ად დედის საფლავზე წვებოდა და მტირალ
ჩასძინებია კიდეც. ერთხელაც გაცივდა და 3
წლის შემდეგ 14 წლისა გარდაცვლილა.

ზაქრო ყოფილა ძალიან ჰუმანური ახ-
ალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი, იშვიათი
პიროვნება. მას მწერლობის დიდი ნიჭი ჰქო-
ნია. ძალიან ჰყვარებია პაპის ლექსი „მუხა“.
ლექსებსაც წერდა, მაგრამ სამწუხაროდ მხ-
ოლოდ ერთი პატარა ლექსია შემორჩენილი,
რომელიც მძიმე ავადმყოფს დაუწერია:

მშვიდობით ჩემი სწორებო,
თქვენ მაინც გაიხარეთა,
რომ შეიყრებით ერთადა,
მეც თქვენთან მამიგონეთა.

ბაჩანას ვაჟებს: პავლეს, ვანოს, გიგლას —

ყველას გიმნაზია ჰქონიათ დამთავრებული და
ძალიან განათლებული იყვნენ — განაგრძობს
ქალბატონი მაია. მე, პირადად კარგად ვიც-
ნობდი პავლეს, რომელსაც ჰქონდა შესანიშ-
ნავი ბიბლიოთეკა, იყო კარგი პედაგოგი. იგი
მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. პატარა
საქმებში მეც ვეხმარებოდი ხოლმე.

მეორე შვილი — ვანო ქვემო ქედის სკოლის
დირექტორად მუშაობდა. იყო დამსახურებუ-
ლი პედაგოგი.

გიგლაც დამსახურებული პედაგოგი იყო.
ქართული ენისა და ლიტერატურის სპეცია-
ლობით. მას ჰყავდა ორი შვილი; ლამარა და
დავითი (ეს ის ქალბატონი ლამარა ბრძანდება,
რომელზეც ჩემმა თანაკლასელმა ვაჟა ნადირ-
აშვილმა მიამბო. გასულ წელს ისინი ერთად
ისვენებდნენ ჩარგალში).

ბაჩანას ქალიშვილებს — ნინოს და მართას
დიდი განათლება არ მიუღიათ, მაგრამ თვით-
განათლებულები იყვნენო.

ალსანიშნავია, რომ რაზიკაშვილები დიდი
ღონის პატრონები იყვნენ, მათ თურმე არც ქა-
ლები ჩამოუვარდებოდნენ. ბებიაჩემი მართაც
ძლიერი ყოფილა. დაეჭიდებოდა თურმე ძმებს
და გამარჯვებულიც ხშირად რჩებოდა, მაგრამ
ამ გატაცებას უფროსები უშლიდნენ.

მართას შვილებმაც მამაჩემმა, ბიძამ და
მამიდებმაც კარგი განათლება მიიღეს. ჩემი
მამიდები: ბაბალე (ბაბულია) და ეთერი სა-
მედიცინო ინსტიტუტში სწავლობდნენ, მაგრამ
გაჭირვების გამო ვერ დაასრულეს სწავლა. ბა-
ბულიამ შემდგომ ბიოლოგიური ფაკულტეტი
დაამთავრა და მუშაობდა ქვემო ქედის სკოლა-
ში. ეთერიმ კი სამედიცინო ტექნიკუმი დაამ-
თავრა. მამის ძმამ — შოთამ ფიზიკა-მათემატი-
კური ფაკულტეტი დაასრულა. შოთა და ეთერი
ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სოხუმში, იქვე
გარდაიცვალნენ. მამაჩემმა — ვახტანგმა კი
მექანიზაციის სპეციალობით დაამთავრა უმა-
ღლესი სასწავლებელი.

დღეისათვის მართას შვილებიდან ცოცხ-
ლები არიან: მამაჩემი და ბაბულია მამიდა.

— მე ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა,
განაგრძობს ჩემი მასპინძელი, მაია ჩობალაუ-
რი, ვაჟა-ფშაველას შვილთან გულქან რაზი-
კაშვილთან. იყო ძალიან კეთილი და თბილი,
კარგი ადამიანი. ბავშვებს ყოველთვის დიდი
თხოვნით გვთხოვდა, რომ ვყოფილიყავით
კეთილები, არასოდეს გვეჩეუბა ერთმანეთთან,
ჩვენი პირიდან არ ამოსულიყო ცუდი სიტყვა ან
წყევლა. გვეტყოდა ხოლმე: შეიძლება თქვენი
წყევლის დროს უუმურმა გამოიაროს და იმან
გაიგონოს. ეს კი მისთვის, როგორც ახდენილი
ოცნება, ისე იქნებათ (უუმურში გულისხმობდა
ეშმაკს). ათას მაგალითს მოგვიყვანდა ხოლმე,





45



მარცხნიდან სხედან: ოროდიონ ევდოშვილი, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, ვაჟა-ვაჟი – ლევან რაზიკაშვილი. დგანან: თეოდ და სანდრო რაზიკაშვილები. 1907 წელი.

იყო ძალიან მორწმუნე.

ქალბატონმა მაიამ მიამბო ვაჟა-ფშაველა-ასა და მისი ძმის გიორგის კაფიობის ამბავიც გიორგის სახლში, ამ კაფიობის დროს მისთვის ვაჟა-ფშაველას უჯობნია, გიორგის კი ხუმრობით მისთვის ნაბადი ალაგ-ალაგ ჩუმად, მრგვალად ამოუჭრია რამოდენიმე ადგილას და ცხენის უნაგირთან დაუდია. ვაჟას როცა სახლში წასვლა დაუპირებია და ეს ნაბადი უნახავს, მიხვედრილა, რომ ეს გიორგის ონები იყო. გზაში წვიმას მოუსწრია და სულ დასველებულა.

ვაჟა-ფშაველასაც გადაუხდია გიორგისთვის სამაგიერო. ვაჟასთან სტუმრობისას გიორგის უთხოვია, რამოდენიმე ბოთლი არაყი გამატანე სახლშიო. ვაჟასაც გაუტანებია სავსე ჭურჭელი არყით, თან ძირი წვრილად გაუხვრეტია, გიორგის როცა არაყი დასჭირდა – რას ხედავს, სულ დაცლილი ყოფილა ჭურჭელი. გიორგის უთქვამს: ეს ვაჟას ამბავი იქნება, სამაგიერო გადამიხადაო. ჩემს შეკითხვაზე: შთამომავლებიდან ლექსებს თუ ვინმე წერს მეთქი, ნაზად გაიღიმა და ცოტა ფიქრის შემდეგ მითხრა, რომ მეც ვწერდი ლექსებსო. სამწუხაროდ ჩანაწერები ალარ შემომრჩაო.

დიდი თხოვნის შემდეგ შევძელი ამ ორი ლექსის ჩაწერა, რომელიც მას მეშვიდე კლასში ყოფნის დროს დაუწერია. მითხრა: შენ ძალიან მომეწონე, თორემ ჩემს ლექსებს არავის ვაკითხებო

ლაჟვარდში გამოჩნდა კვამლი
ფერმერთალი და უსუსური,
როგორც მოჩვენება თეთრ ლამეში
და ისევ გაქრა
როგორც ლანდი
და ტყუილი იმედი ბავშვის.

ქუჩაში ჭადარს მოსწყდა ფოთოლი
სულმთლად ჯანმრთელი და უვნებელი
გაფრინდა, გაჰყვა მცდუნებელ სიოს,
ბნელ ხევში პპოვა ცივი საფლავი...

დიდი სიყვარულით მიყვებოდა თავის მამაზე. მიყვებოდა თუ როგორი მშობლიური სიყვარულით უყვარდა თავის გამზრდელი ბებია – ბატონ ბაჩანას მეუღლე – ქალბატონი მარიამ გურასპაული. მას დიდი მზრუნველობა გამოუჩენია დაობლებული ვახტანგისთ-

ოლე, №2, 2021





ვის. მისი ახალგაზრდა ქალიშვილის მართას დაღუპვის შემდეგ, მას კიდევ დიდხანს უცოცხლია და ვახტანგისთვის ბებიობასთან ერთად დედობაც გაუწევია. ვახტანგსაც დიდი სიყვარულით ჰყვარებია გამზრდელი ბებია. ვახტანგს ჰყოლია ერთი ნათესავი ტაქო, რომელსაც სასმელი ძალიან ჰყვარებია. ბებია მარიამი თურმე უშლიდა მასთან ამხანაგობას. დარიგება მას ლექსად უთქვამს:

გირჩევნას, შვილო, ვახტანგი,
არ აჟყვე ემაგ ტაქოსა,
ლოთობას არ შეგაჩიოს
ჭკვა სულ არ დაგიფანტოსა.

ეგ ღვინიანი სტაქნები
თაქომავ გამოცალოსა,
ამხანაგიც სხვა იშოვოს,
დროებაც გაატაროსა.

ამ დროს უკვე ვახტანგს მამაც აღარ ჰყოლია და ობოლი ბების ანაბარა ყოფილა. ქალბატონ მარიამს პატარა საწყენი შეხვედრია თავის მეულლისაგან – ბატონ ბაჩანასაგან. მას ჯერ კიდევ ჩარგალში ყოფნის დროს პატარა რომანი ჰქონია ვიღაც ქალთან. როდესაც ეს ამბავი შეუტყვია მის მეუღლეს – მარიამს ეს ლექსი გამოუთქვამს:

ამითვალწუნე ბუნებავ,
დავბერდი ია საწყალი,
თუ მე შენ ყურს არას მიგდებ
ძლივას მომელის საფლავი.
არაგვიც ახლოს ჩამოდის
შორი არა აქვს სავალი,
მივალ და გადავვარდები
ის არის ჩემი წამალი,
მაგრამ შენ კი რას ინაღვლი,
ცას ბევრი გისხამს ვარსკვლავი,
ბალებში ყველგან შეგხვდება
ვარდი და იასამანი.

ბატონი ვახტანგი, როდესაც სამხედრო სამსახურში ყოფილა, იქიდან წერილი მოუწერია თავისი დისთვის და თან ეს პატარა ლექსიც დაურთავს:

მოგილოცავ ახალ წელს,
დაესხარი მრავალსა,
იცოცხლე და ილხინე
უბეჯითე სწავლასა.
კაცის კარგი სახელი
დიდი საქადელია,

მაგრამ უხეიროსთვის
დიდი სანატრელია.

ბატონი ვახტანგი სანამ ოჯახს მოეკიდებოდა, ქედიდან სოფელ ლაფანურში ჩამოსულა სამუშაოდ. უმუშავნია ფიქალ-მარმარილოს კარიერზე. მასთან ერთად უმუშავია მის საუკეთესო მეგობარს საბა ბუთხუზს, რომელსაც სამწუხაროდ, მუშაობის დროს ქვა დასცემია და გარდაცვლილა. ეს ამბავი ბატონ ვახტანგს ძალიან განუცდია და მეგობრისთვის ლექსი მიუძღვნია:

მშვიდობით კავკასიონო
ანდარეზაის მხარეო,
ამწვანებულო ბუნებავ
და ხალხი მომთაბარეო.
წმინდა ანკარა ჩანჩქრებო
ხევებო მოწანწერეო,
ვაკე, გორო და ველ-ნარო,
„წოპის“ გორაო მწარეო,
მეც კი მარგუნე ნობათი
უდროოდ გამამწარეო
დამათმობინე ცოლ-შვილი
სამოთხეს გამამგზავრეო.
მშვიდობით ჩემო ცოლ-შვილო,
ლმერთო შენ შეინყალეო,
ამას გენუკვი, მეტს არა
დიდები დამიზარდეო.

ბატონ ვახტანგს ლაფანურში მუშაობის დროს ერთი ქალი მოსწონებია, რომელიც ძალიან ლამაზი ყოფილა. ბოლოს შეუტყვია, რომ მას სხვა ჰყვარებია. ეს ლექსი მისთვის მიუძღვნია:

რატომ გნახე, რად გაგიცან
სევდა უფრო მომიმატე,
ტანადობით ნესტანს ჰეგავხარ,
სილამაზით მარტის მთვარეს,
მაგრამ თქვენ სხვა გყვარებიათ
საბუელი, როგორც ბრძანეთ.
ტყუილია თუ მართალი,
ყველაფერი აღიარეთ,
მაშინ შენი სიყვარული,
როგორც გწადდეთ, გაატარეთ.
ცხოვრებაში ინეტარეთ,
რასაცა გწერთ, არ გამინტერეთ
პასუხს ველი, გამოგზავნეთ
და რაც გკადრეთ, მაპატიეთ.
ბოდიშს გიხდით, გენაცვალე.

ეს ლექსები კი ეკუთვნის ბატონ ვახტანგის დეიდშვილს ქალბატონ მართას დის – ნინოს შვილს ბატონ ილიას, რომელიც დედის გვარზე



ყოფილა, რაზიკაშვილზე. ბატონ ილიას პქონია დაწერილი ბევრი ლექსი, პოემა, მაგრამ მას არ ჰყვარებია, როცა ვინმე კითხულობდა მის ნაწერებს.

ზამთრის ერთი სურათი
ვანო მიღვა ფანჯარასთან,
გაიხედა გარეთ;
თოვლი ბარდნის,
ქარი კვნესით
მოზუზუნებს მწარედ,
დაინახა კაკლის ტოტზე
ჩამომჯდარი ბეღურა,
რაც ზაფხულში ეცვა ტანზე,
ზამთარშიც ის ეხურა,
ჩაეყვინთა თავი მხრებში,
კანკალებდა საწყალი
ოლონდ სადმე დავინახო,
ხორბლის ერთი მარცვალი, —
საცოდავად აუღურტულდა
და თან ამას ფიქრობდა...
ქროდა ქარი და ფიფქები
სულ ტრიალით მიჰქონდა.
ამ დროს ვანომ შეამჩნია
თვალებში სხივჩამდგარი
მიხვდა, სცივა ჩიტუნიას
და არცა აქვს საგზალი.
გაიქცა და მოიტანა
მუჭით ხორბლის მარცვალი,
მოაბნია, ხის თაროზე
ფანჯრის გარეთ დაუდგა.
სწრაფლ შენიშნა მანაც პური,
მასაც მეტი რა უნდა
რაზეც ფიქრი აწვალებდა,
ოცნებები აუხდა.
ოთახიდან კმაყოფილი
ჩიტუნიას გასცექრის,
ქრის ქარი და მიაყარა
თოვლის წვრილი ნამქერი.
ვეღარა გრძნობს ამ სიცივეს
ჩიტუნიაც გამოძლა,
შემობრუნდა ბავშვისაკენ
და მადლობა გამოთქა.
ამის შემდეგ ფანჯარასთან
მუდამ უდგას საჭმელი,
ბავშვის მიმართ საყვედურის
ან კი რა აქვს სათქმელი.
ვანომ ტოტზე ჩამოკიდა
გასათევად საჩიტე
გამოძვრება დილით, სანამ,

ჯერ მზე ამოაჭყიტებს.
დაინახავს ფანჯარასთან,
ვანოს მიესალმება
და ორივეს თვალებში
სიხარული ჩადგება.

საბრალოა, ვინც ვერ იცის
ამ ცხოვრების ყადრი,
რომ სიცოცხლეს უიმისოდ
არ ექნება აზრი,
რომ დიდია მეგობრობის
სიყვარულის მადლი.

ქარი კი ქრის და ფანტელებს
დედამიწას აყრის,
მაგრამ მწამს, რომ ამ სიყვარულს
ვერაფერი გაყრის.

რას დაფარფატებ, პეპელავ ჭრელო,
რას გეუბნება ყვავილთა მდელო,
ცალკეულ ყვავილს, რომ დაპფარფატებ,
ის მაინც მითხარ, ვის დაპყანებებ.
ეს შენი ფრენა ბარბაცს მაგონებს,
ყვავილთა სუნით რომ არ ითვრები
და განუყრელი ფიქრი მაღონებს —
რას დაეძებენ ეს სუსტი მხრები.
რა საიდუმლოს ანდობ ყვავილებს,
სხვა რა ვიფიქრო, ამდენს რომ ცდილობ,
იქნებ სიყვარულს უხსნი ფერიებს
რა იქნება, რომ ჩვენც გაგვიმზილო?
შენზე ამბობენ, დღე მოკლეაო,
სიმართლეა თუ ტყუილის ბოდვა?
ვინც მოგცა ასე სიცოცხლე ცოტა,
დეე, ატაროს მან შენი ცოდვა.

ქალბატონმა მაიამ მითხრა, რომ ბატონ
ილია რაზიკაშვილს დაწერილი აქვს პოემა
„ქოხი ტყის პირას“-ო, რომელიც მე წაკითხუ-
ლი მაქვს და ძალიან მომზონსო.

წამოსვლისას მასპინძელი მომეფერა და
მითხრა, მომავალშიც ბევრ რამეს მოგიყვები
და ჩაგანერინებო.

დიდი სიყვარულით დავემშვიდობე ჩემს
მშვერიერ მასპინძელს. მასთან ფოტოც გადა-
ვიღე. გული სიხარულით სავსე მქონდა. მიხ-
აროდა, რომ მომეცა საშუალება გამეცნო და
გავსაუბრებოდი დიდი ვაჟა-ფშაველასა და ბა-
ტონ ბაჩანას შთამომავალს.

2003 წელი



ერთხელ პახის საფლავზე ამღერებული...

ამ წერილის დაწერა იმ სურვილმა გამიჩინა, რომ მომინდა ადამიანს მის სიცოცხლეშივე მოვეფერო, მისი ღვანლი და დამსახურებები მთელ ქვეყანას გავაგებინო.

მე, მთლად ძირდველი თელაველი არ ვარ, მაგრამ საკმაო წლები მაკავშირებს ამ საოცარ ქალაქთან და მიხარია, რომ ყოველ ადამიანში თავისებურად კოლორიტს ვხედავ...

ვისზეც მინდა მოგიყვეთ, თეატრის წინ, გაზეთების პატარა ჯიხურში მოფუსფუსე – მომუშავე, თითქოს, შეუმჩნეველი ქალბატონია. მეც იქ შევხვდი პირველად, როცა სულმოუთქმელად ველოდი უურნალ „ოლეს“ გამოსვლას, სადაც რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილზე ვწერდი წერილს, თუ რატომ მიყვარდა ეს დიდებული ადამიანი და მის სიცოცხლეში ვერ მოვასწარი საქვეყნოდ მეთქა...

ყოველი შეხვედრისას, ამალია ვაშაყმაძე, მორიდებულად მიყვებოდა თავის განვლილ ცხოვრებაზე, საინტერესო ეპიზოდებზე და ღვანლზე. ცოტა გულდანყვეტილიც მეჩვენებოდა. თურმე – ერთხელ ბაზის საფლავზეც ამღერებულა და ახლა 80 წელი შესრულებია... გადავწყვიტე, ამ პატარა ჯიხურიდან მომზირალ შეუმჩნეველ ქალბატონზე „შესამჩნევი“

წერილი დამეწერა და ამით გამემხნევებინა.

ამალია ვაშაყმაძე, ძირძველი თელაველია – დაბადებულა 1940 წელს, თელავში. მან 1958 წელს საშუალო სკოლასთან ერთად დაამთავრა ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური შვიდწლიანი სკოლა (ფორტეპიანოს განხრით). სკოლის დამთავრების შემდეგ, მაღლევე დაიწყო მუშაობა შუამთის ბავშვთა სახლში. იქ არ იყო ადვილი მუშაობა, რადგან სიმღერის სწავლასთან ერთად ბავშვები დიდ სითბოსაც მოითხოვდნენ, მაგრამ ყველა სიძნელეს გაუძლო და, მაშინდელი ბავშვთა სახლის დირექტორისაგან – ვალიკო ჭურლულაშვილისაგან დიდი მადლობაც დაიმსახურა.

სწავლის გასაგრძელებლად ამალია ვაშაყმაძე თბილისში, 1961 წელს შევიდა პირველ სამუსიკო სასწავლებელში (თელავში მაშინ არ იყო მუსიკალური სასწავლებელი).

1962 წელს, თელავის მკვიდრის, პროფესორ ნიკო ჩიგოგიძის მოთხოვნით და მედეა მეზვრიშვილის თანადგომით, თელავში აღდგა მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოსა და ვიოლინოს განხრით. თბილისიდან გადმოსული თელაველი შვიდი მოსწავლიდან ერთ-ერთი ამალიაც იყო.



1966 წელი. ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პირველი გამოშვება.





49



გერმანიაში ერთ-ერთ კაფე-ბარში მიწვეული გუნდი.

1966 წელი მნიშვნელოვანი იყო თელავის მუსიკალური სასწავლებლის ისტორიაში. 26 მაისს სასწავლებლის ძალებით დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

საქართველოში ამ საამაყო ფაქტით თავს იწონებდნენ თელაველები და, რა თქმა უნდა მათ შორის ამალიაც, რადგან გუნდთან ერთად მონაწილეობდა ამ დადგმაში.

მუსიკალურ განათლებასთან ერთად ამალიამ დაამთავრა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. 1979 წელს მისი შრომა დაფასდა და განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა შრომის ვეტერანის მედლით. მას საამაყო აქვს

აგრეთვე ის, რომ, თელავის ნიკო სულხანიშვილის სკოლის გოგონათა გუნდი დამსახურებულად წაიყვანეს გერმანიაში კონცერტების ჩასატარებლად. ერთ-ერთ გამოსასვლელ დღეს, გოგონათა გუნდი მიიღო იმ ეკლესიაში, სადაც სახელოვანი კომპოზიტორი ბახი იყო დაკრძალული და გოგონებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერა „შენ ხარ ვენახი“, რაც დიდი აღფრთოვანებით მიიღო იქ მყოფმა მსმენელმა.

დღეს, 80 წლის ქალბატონი, ამ პატარა ჯიხურიდან, დიდი სიყვარულით ემსახურება თელაველებს, ამაყობს თავისი წარსულით, ბეჭინე-

რია მეუღლესთან, – ვაჟა ვაშაყმაძესთან ერთად, დიდი ოჯახით — ორი შვილით, ალექსი და ნინო ვაშაყმაძებით, სამი შვილიშვილით – ვაჟა ვაშაყმაძით, ეკა და მარი ბანილაშვილებით და სამი შვილთაშვილით: ანანო, ელენე იოსებაშვილებით და ნიტა არავიაშვილით.

ამაგდარ პედაგოგს ვულოცავთ 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ბეჭინიერ სიცოცხლეს და დიდხანს ეფუსფუსოს თელაველთა სიკეთისათვის ამ შეუმჩინეველი ჯიხურიდან შესამჩნევ ქალბატონს!..

ლალი ქავეიგვილი



ამალია ვაშაყმაძე ოჯახთან.

ოლქ, №2, 2021



ქისციანელი პოეზიის XI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვახი“

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული უურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელმისამართის ლიტერატურული უურნალი „საქართველოს მოამბე“.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუვილი

50



შემური:
მამა ილია ჩიკვაიძე
ზალ გორგოველი (თავმჯდომარე)
ნინო ქუთათელაძე
მარა მიძანა
მარი თაბაგარი

ელდარ ჭიჭიაშვილი

ანრანით თქმული

აღებრწყინა აღსავალი
ათინათთა აღაფითა,
ალიონმა გააბრწყინა
არე ამბრთა, ალმასითა,
აირია არვე არჩეთა,
ასხლეტილი არანითა,
ანეული, ამოდემნილი,
არჩივ-არჩივ ამაფლითა!
ბაღჩა-ბაღთა, ზეარ-ხილნართა,
ბულბულების ბუდედ ბმულთა,
ბაბილოთი ბურავს ბოყვთა
ბაყილოთა ბორჯლეულთა,
ბნელსა ბრყვილობს ბუკი ბუთა,
ბუჩაობა, ბუჩქით ბზისა,
ბაზმალამპრობს ბნელნაკრთობში
ბაათობა ბულბულისა!
ბაზაფეულის გაელვება
გულში გლოვად განმეწონა,
გრძნობას ასე გავეთელე,
გეფიცებით, არ მეგონა
ვერ ვიფინე გულზე შვებად
ია, ვერცა ვარდის კონა,
გავეტირე, გავედევნე,
გლიმიც კიარ გამაგონა!
დრომ დამლალა და დუმილმა
დამამსგავსა დარდის დორანს,
დამთრგუნა და დამამდაბლა,
მაგრამ ვერკი დამიმონა,
გავედევნე დამაშვრალთა
დაღმა დაქანებულ ბორანს,
დამისხლტა და ვეღარ მივჰყე,

უღონობამ დამაღონა!
ერი ერობს, კვლავაც გულში
ღვთაებრივი უდუღს ნება,
კვლავაც თეთრი ერკემალი
შავ ერკემალს ერკინება,
არა საქმე არ ეგების,
თუ არ არის უფლის ნება,
თუ ტკივილში, სიყვარულით,
გული გულს არ მიეგება!
ზზივარ ციხეს, ცად აზიდულს
გორის ფხაზე ანაგებსა,
გორდას ვგავარ, გაუდგრომელს,
მტერთა სისხლით ფხანაღებსა
სისხლი უნდა ვაზღვევინო
მახვილს, ხელში ანალებსა,
მტრის მახვილთან ვისაც ავი
მუსაიფა ალალებსა!
ზვარი ზეობს ზურმუხტებწკალა,
ზილფ-მტევნებით დაზვინული,
ვაზის სურნელს ეზრახება
ზეცით საღვთო ხმათა ზრუნი,
ზამბაზისფერ თვალთა მზერას
მაფენს მეზვრე ალვადრგული,
ზარდახშანი საგანძურთა
მდუმარებენ რაზახშულნი!
თავო ჩემო, თავგზას გირევს
თქმულებათა სათვალავი,
დრო მიდის და ვერ შლის გულში
შავს თეთრი და თეთრს კი – შავი.
დავბერდი და ისევ მტკივა
გულში გაჩენილი ბზარი,
ყმანებილს კვნესად რომ ჩამესმა,
დარეკილი გლოვის ზარი!
იმა მთაზე, ირემთაზე,
იმდუღრება იათამზე,
ია ვთესე, ვარდი ვიმკე
ირემლალთა იალაღზე,



იალონი დავაფინე
იაგუნდის ფიანდაზზე,
იაზმის წყლით ვარნულებდი,
ვირჯებოდი ნეტავ რაზე?
ირმის ჯოვი შეწვეულა,
ამოსული ივლიანზე,
ვარდს ჰკორტის და იას მისძოვს,
ნამი ცრემლობს ირმის რქაზე,
ია ტირის, ვარდს სისხლი სდის
ქორბუდების ნაძოვარზე
იამანი მოჩქებს მდუღრად
იასპისა იარაზე!
პვლავაც ქვრივის კემსოს კალთა,
კვლავაც კევრით ლენის კალო,
და პურ-ლვინის ოფლისა და
მინის გემო ჩაატანოს,
აკვანში რომ სახარე წევს,
მტრის კრძალვა არ გააკაროს,
იზარდოს და უფლის ბაღნარს
გული ზღუდედ შემოავლოს!
ლეგნდების ლაბირინთებს
ლაციცით და ლოცვით მივდევ,
ლანდების და ნანგრევების
ჩამოვიხსენ გლოვის რიდე,
გადავლახე სისხლის ზღვები,
ჩოხის კალთა სისხლით ვშიბე,
ცას მივყუდე უფლის ტახტან
ამაგალი ზეცის კიბე!
მარბიელი მამლუქების
მშიერ მგელთა მომყეფს მზერა,
მოვცხენლალობ, მაგრამ მხარ-ბეჭს
მიწვავს უცხო, ავი წყევლა!
ტყვედ გაყიდულს, თუკი გულში
ჩაგენავლა ყრმობის კერა,
რაღას აქნევ, სად მოკვდები,
სად დაგმარხავს ბედისწერა?!
ნასაყდრალს და ნავენახარს
ვერ წავშალე ნახანძრალი,
ცრემლით როდი იკურნება
გულს ნაბუდი ცოდვის კვალი!
გალენილი სისხლის კალო,
კალო ნათათრ-ნალეკარი...
ალავერდის ზარი ჰელდებს:
ირანს მიჰყავთ დედოფალი!
რლითისიდან ოპიზამდე
ღვთაებრივი შთაგონებით
ვქარებ იქროს ომფორებად
ოქრომკედის ორნატები,
ქართულ სულით ხელნაქარგი
ოქსინონი თუ ნატები,
ოპიზრების ხელთუქმნელი
ქართულ სულის მზეხატები!
ჰალატები და ციხენი
ალმართული მიწით ცისკენ,
მზის სხივები ეფნება
ანგელოზთა ნაბილიკებს,
ტაძრის ყვაველი, მერიანი
არა მარტივი მიწის მიწა!

შეხიზნული პატრონიკე
შუქსხივებად მაფრქვეცს ჰანგთა,
პატივდებად რაც მოვიმე!
შლერდეს ეჯვნად და საყვირად
სიყვარულით სავსე გული,
უამბა ლეკოს ბნელ-უშმურთა
უჯამობა უამური,
აყდურტულოს, აყუუნოს,
მზერა, ტრფობის ცრემლთა მუკრი,
ყველა ტკივილს წამლად ეცხოს
სინანულის ფერთა ურუნი!
რად მინდოდა, რომ მოვედი
ვის ველოდი ან რა მსურდა,
თუ სიბერის გარიურაზე
კიდევ ერთხელ გაზაფხულდა,
თუ ტრფიალის ცრემლმდუღარი
გულზე მაწვის იაგუნდად
და ბულბულმა ჩემი ყელის
ვარდ-ზამბაში დაიბუდა!
სად გავექცე ანგელოზთა
სავანეთა სამან-საგებს,
დედის წალკოტს, საარაკოს,
ქართულ სისხლით ნაფარდაგებს,
ჭრილობიდან სისხლმჩქეფარე
ჩამოვლეჯილ სალბუნ-სადებს,
ჩემი სულის სიმაღლეს რომ
ისევ სევდით ასევადებს!
ტირის ჩემი უწმინდესი,
ცრემლი ალტობს ოშკის ბზარებს,
ტირის, დედას მოსხლეტილი,
ტაო – ტურფა საბალნარე,
ტყვეობისთვის გაყიდული,
ტკივილს ვერსად დავემალე,
საქართველოვ, სად გაქვს მიწა
საფეშქაშ-საარმაღანე?

ჟბირთათვის უსაგნოა
საღამო და საღვთო დილა,
მათგან მწუხრი გაშვბოლდა,
დილის მადლი მეუნდილა,
უნდობელმა უნდომელი
მასურვა და გულს მცხო ტკილად,
უნასივით მომესია
და ულმობლად გამანბილა!

ვიქრით ვფურცლავ ფოლიანტებს,
ვეფერები ერთობ ნაზად,
გოლიათთა ნატერფალებს
ამ გულს ვუფენ ფიანდაზად,
მათი სულის საოხებლად
ცრემლის მარგალიტებს ვფანტავ,
ვისი მკერდიც უდრტვინველად
მტრის მახვილით გაიფატრა!

ქალდეითგან ქართველობის
ქედზე მადგა ქვაჯვარსვეტი,
ქრისტეს ჯვარცმით ნაგოლგოთარს,
რა მქონია გლოვის მეტი?
ქვა ვიყავი, ქვადვე დავრჩი,
კაფი-ქვისგან ანასხლეტი,





მტერი ვმუსრე, განვადიდე
დიდგორი და ერუშეთი!
ღვინობისთვეს, ბადაგობას,
ჰაერიც რომ მაჭარლვინობს,
ლვთაქბრივი სურნელება
ელვენთება გულის ღიობს,
პაპის გულის ფეთქვა მოგაქვს,
ფესვნაკურთხო, ვაზის ძირო,
მინდა ხელი მოგხვოვ და
პაპის გულზე დავიძინო!
შმაწვილობას, ყანაში მყოფს,
მომეჩვია ყვავი ყმასა,
ყველს მპარავდა ყარყუში და
ყრანტალებდა ყვა-ყვა-ყვასა
უყველუროდ, უმი ჭინჭრით,
ვიყორავდი პირს და ყბასა,
ქვას ვაყრიდი, ყვანჩალა კი
მიგინებდა ყველაყასა!

შავლეგ, შამქორს ხმალშემართულს
გული მოგიოხებია
შარავანდის შუქში ლეგა,
სისხლიანი ჩოხებია,
გულს რომ გიფქვას და ტკივილი
უშრეტ ცეცხლად მოგდებია,
ღალატია თუ დოლატის
მოსაკოდი ლოდებია?

ჩემი სულის ჩალანდარებს
ნლებმა ჩუმად ჩამოთოვა,
რაცარაუნდა სისხლში აწრთო,
ვერ იქცევა ჯვალო თორად.
ის დრო სჯობდა, ხმალჩაფრენით
ჩავაკაფავდი ძვალს და ფოლადს,
ვაგლახ! სისხლიც აღარ შემრჩა
იმ დღეების მოსაგონად!

ციხევ, ცეცხლით დამდუღლულო,
გალენილო სისხლის კალოვ,
ციხევ, ცრემლის ზლვით ნალეკო,
ციხევ ნათათრნალეკარო,
მოყმევ, მხარ-მელავ ჩასხეპილო,
რისხვით ცას შენაყეფარო
თუ იუდას ვერცხლის ფასად
შელენილო ტაძრის კარო!

ძელ ტკივილებს განმიახლებს
სიძულვილის თვალთა მზერა,
ძაძებს ძენძავს სიცოცხლისთვის
დამზერილი გულისძგერა,
ძმის ღალატი, ძოლანდელი,
ძვალთ მილენავს ახლაც ძნელად,
მტრისად რა ვთქვა, გაჩენილა
მოძულედ და სისხლის მსმელად!

ნეალთა ნესთა, ნასვლ-ნამოსვლის,
ნუთისოფლის ნუმპე-მწვირე
ნაიღეს და ნამოიღეს,
ნელულზე ნარღვნად ნამადინეს,
ნარბ-ნამნამთა ნალკოტობით
სისხლის ცრემლი მოვინვიმე
ნამლობათა ნადიერი

უწამლობით გავიწირე!
ჭილ-ეჭრატი ვისაჭურვლე
ჭირთა ჩემთა თქმად და მჭევრად
ლილოჭრელთა საჭვრეტელად
გავიჭრი მინდორ-ველად
ჭალა-ჭალა თვალსა მჭრიდა
ყოჩივარდა ჭიაფერად
მივიმღერდი, ჭირთ სიჭარბე
თამაშად და მიჩნდა ლხენად!
ხარკამეჩი, ხარირემი
ხარჯიხვი ხახმატის ჯვრისა,
ხოდაბუნი ხნას ხარლალმა,
ხარ-რქამ, ხერხეულიძისამ,
ხმალი ხედნოს ხევსურული
ხელმა, ხმალდაულლელისამ,
ხევისბერმა ხანჯლით ხატოს
ხილვა ხართა ხორუმისა!

ჯავარდნოსან ჯვაროსანთა
ჯარი, მიჯრით მოჯარული,
ჯვარ-ხატობა ჯარობათა,
ფერხისაი და ჯვარული,
ჯავრის ჯარა, ჯავრის ძახვა,
ჯვალო, ჯეჯიმ-ფარდაგები,
ჯვარცმა ჯავარშუქიანი,
ციხე – ბურჯად ანაგები!
ჰეროვნებს ჰარმონიკის
ამზ ჰანგთა ჰარმონია,
ართა ჰიმნობს, არად ჰეგიებს
განწირულთა აგონიას!
ჩემი, რაც სხვამ დაიბრალა,
ცრუთა გამონაგონია,
ჰუნე მყავდეს, ქართლის ველებს
ქარად გადამარონია!

ია მერაპიშვილი

საალფოგომი

გარდამოგხსნიან ჯვარიდან სანამ
და დაიმგზავრებ ავაზაკს ცისკენ,
გასცდები ყოფნა-არყოფნის სამანს,
შეუნდობ სოფელს, ძეკაცის მიმცემს.

დავმდგარვარ ძელიცხოველის ქვეშე,
შენ გარდა თუნდაც მხედავდეს ნუვინ.
შენკენ ამონვდილ ცარიელ პეშვებს
ამოჰყვა ჩემი დაღლილი სული.

გულში დამიგე, მზევრცელო, ტაბლა,
ცხოველმყოფელი სერობის ლუემა.
არ არის ჩემთვის ცხოვრება ალბათ
და მაინც მივსდევ მიწიერს, უკმარს.



ყრუდ მიჩურჩულო პასუხი ეგებ,
ცად თუ გწვდებიან ლექსები ჩემი...
აამეტყველე დუმილი ეგე
ან დამასიზმრე გოლგოთის თხემი,

რომ ცოდვიანი მოვიკლა ყოფნა
და გადავადნო წარსულის ტვიფრი,
მეც მივეგებო საზარელ მყოფადს,
გადავაძიჯო ლამეულ ქუფრში.

შენ გარდამოგხსნეს გუშინდელ მწუხრზე,
საყდარში შენი აღმართეს ჯვარცმა.
არ მესმის სიტყვა, გულიდან ვუმზერ
ძირს სასიკვდილოდ დავარდნილ მარცვალს.

ალსასრულამდე ჩვენთან ხარ სოფლის,
მე კი ლოდინის ვარ ანაბარა,
არ დაივიწყო თვალები ობლის,
წასვლამდე ვინძეს მეც მიმაბარე.

ბაგეგაუხსნელ სამოთხის კარებს
შეეხო მხსნელის ნამსჭვალი ხელი
და დარჩენილებს წარსულში გარეთ
კვლავაც განგველო კანკელი თხელი.

დამაბქურე ყვავილად თუ მოვალ,
მადლობა, რომ მაზიარე სიტყვას,
პოეზიის უკვდავების ზენას,
მე, რომ ქვეყნად მოვსულიყავ ჩიტად,
მე, რომ ქვეყნად მოვსულიყავ მტრედად...
უფრო მეტად ვიგალობდი, იქნებ,
უფრო ახლოს ვიქნებოდი შენთან,
მაგრამ შელტით ვერეკები ფიქრებს,
რომ მოგიძლვნა ლექსი, დელისერთა...
მაპატიე, ვერ ვლოცულობ ხშირად,
რომ დავკარგე ახლა ჩემი თავიც,
ზოგჯერ ლექსის მოვარდება ხილვა,
როგორც მთიდან მოწყვეტილი ზვავი,
მაპატიე, ო, უფალო ჩემო!..

რომ ვერ შევძელ ვყოფილიყავ სუფთა,
მაგრამ სული, ვით ყვავილის დერო,
მხოლოდ შენი სიყვარულით სუნთქავს,
გეტყვი, რაც რამ მაწუხებს და მტკივა,
რომ ცხოვრებამ დაუნდობლად მცემა,
დამაქვს სულში ვით გამდნარი ტყვია,
სიყვარულის ცეცხლისფერი ვნება.
რადგან კვერი არ გამოცხვა ობლის,
მარტოობას ტკივილამდე ვუძლებ,
და ჩემს ფანჯრებს, როგორც ცივი ოფლი,
წვიმის წვეთი შერჩენია შუბლზე.
გზაზე ვნახე გათოშილი ბავშვი,
მისი ცოდვით დამეფერფლა ძვლები,
და მიჰერნდა ცივი პური სახლში,
სახლში, სადაც მიელოდნენ ძმები,
მოდიოდა, მოჰყვებოდა გუნდად,
თოვლი, როგორც ანგელოზის ფრთები,
ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული ხურდა
და გზად ენთო მკრთალი ჩირალდნები.
ვაი, იმას, ვინც არასდროს იცის,
რომ ცხოვრება ზურგზე გვაწევს ვალად,
ო, უფალო, მომეც დიდი ნიჭი,
ო, უფალო მომეც იმის განცდა,
რომ ვიცოდე, მომავლინე რისთვის,
რომ ამქვეყნად ჩემი კვალიც დარჩა.

სალომე გოგოლაძე

წერილი ლიტერატურა

გამარჯობა!
მე, მხევალი შენი,
წერილს ვატან შემოდგომის ფოთოლს,
ახლა მართლა ლოცვასავით მშველის
ეს ლექსები... და ვსაუბრობ, როგორც
კაცი კაცს რომ საიდუმლოს უმხედვს,
უკანასკნელ ამოსუნთქვის ფასად,
დამე თეთრად გავათენე წუხელ,
რომ ეს ლექსი ამომეთქვა ახლა.
მოვალ შენთან და გამიგებ ვიცი,
მაპატიე ეს ცრემლები წრფელი,
ო, რამდენჯერ მიგემია სიმწრით,
ამ ცხოვრების შხამიანი წვენი,
გეტყვი, ვერსად გავექეცი ჩემ თავს,
ვარ ცოდვილი, ცოდვილებზე უფრო,
მეც არ ვიცი, როგორ შემოგბედავ,
რომ ზეცამდე მოვალნიო უფრთოდ.
ოღონდ ახლა... ამარიდე ტანჯვას,
ოღონდ ახლა... ამიხილე თვალი,
ღმერთო, იქნებ, ბევრიც აღარ დამრჩა,
ამ ცხოვრების გასავლელი გზანი...
მინა ვიყავ, მტვერი ვარ და ქარი,
ანდა, მხოლოდ, ძვალთა უტყვი გროვა,
ღმერთო ჩემო, ზოგჯერ წვიმის ნამი,

მაკა აპულაძე

ღმერთო შენ ვინ გყავს გაღმერთებული,
ვის შესთხოვ შველას, როცა მარტო ხარ?
როცა არავის ესმის შენი და
ადამიანებს აღარ ახსოვხარ?..
ნუთუ კვლავ შესვავ სასმელს უმნარესს
ნაღველგარეულს, სისხლის გემოთი?..
თუ ისევ არსად არ გლებულობენ,
მე სახლში გელი, ოღონდ შენ მოდი.
ფეხს დაგბან, მაგრამ ვერ შეგიმშრალებ,
(რადგან თმები მაქვს ახლა შეჭრილი...)
მეც დავარღვიე შენი მცნებები





ათიათასჯერ, გადალეჭილი.
ღმერთო, ისევე ჭრიან ხეებს და
კვლავ ჯვარს გიმზადებს, ხელები მრუდე.
გასხეპილ ტოტებს შერჩა ეულად,
მიტოვებული ჩიტების ბუდე.

ბაზრი სულაძე

ლოცისმშობლის მიძინება

ცას რომ ეგონა, ნამს აკრეფდა წითლად მოლიდან,
ყველა ის ნამი აორთქლდა და წვიმად მოვიდა, –
წვიმად, რომელიც მტრედისფერი
ბუმბულის მსგავსად,
უმწეო კრავსაც,
ანდა სულაც იების ფარდაგს, –
რაკი ღვთისმშობლის
მინდვრისფერი თითებით კრავდა
და რაკი წვემის,
მეც ღვთისმშობლის ცრემლივით მწამდა,
ალბათ ამიტომ დავიბადე
ძველ თავსაფარში გამოხვეული,
ძველისძველ სკივრში გადანახული
პურის ობიდან...
ალბათ ამიტომ მყოფნიდა მცირე
სინათლის შუქი,
სანთლის ჩაქრობის შემდეგაც რომ მინათებდა
მომცრო სურვილებს,
რაც კი ქაღალდის მტრედებს ჩაგუთქვი
ჩუმი ღოცვით, –
ასე მასწავლეს, რომ დიდი თხოვნით
ღვთისმშობელი არ შევაწუხო...
ჩემს ტკივილებს კი მუდამ ვეტყვი, –
სუ, ნუ ხმაურობთ, უხერხულია...
უხერხულია თქვენგან ასე, –
ცის მოთელვა...
სულ ეს წუთია, მიძინა
ღვთისმშობელმა!...

ალა დათუკიშვილი

წმინდა სოფია

შენს კედლებზე ქალწულეთი
თვალებს ახელს,
მაცხოვარო, რწმენა ნეტარმყოფია,
დაინგრევა ადრიანე შენი სახე,
აშენდება დიდი წმინდა სოფია.



დაიდება საძირკველი პისტი, – რწმენა,
და ელპიდი სასოება გუმბათის,
სიყვარული, – ალაპისი ჩაიწვება
მასში, ვინც კი ტაძარს უფალს უმადლის.

მოვლენ მერე ქალწულები საწამებლად
იმოდენა დამთმენელი სიმშვიდით,
ადულდება უღვთო სისხლი, აწამებ და
დემონებს სულს ფარსიანად მიჰყიდი.

დაემხობა ნეტარი და ლირსი დედა,
ნაკუნ-ნაკუნ ამოკრებავს ქალწულებს,
გიშრის თმები ბამბასავით გათეთრდება,
წამებული ცრემლებს სისხლად აპკურებს.

ბევრს მოერგო ადრიანე შენი სახე,
მაგრამ რწმენა ისე ნეტარმყოფია,
წაიშლება ყველაფერი რაც დასახე
წარუშლელი არის
წმინდა სოფია!

ლელა გაფრიდაშვილი

ოდა ქართული ენას

მორაკრაკე ენა ხარ,
ენა – იადონების,
კრძალვით ანაკონები,
მისხლით ანაწონები!
როგორ არ შეგიყვაროთ,
როგორ არ გაგიფრთხილდეთ,
ქართველ ერის დიდებას,
სიმამცეს, სიმტკიცეს!
საგანძურთა საგანძურს,
ღვთის ნაბოძებ სიმდიდრეს!
ქართულ ენას, მშობლიურს,
უტებილესს და უწმინდესს!
ჯაჭვგაუხდელს, ტვირთმძიმეს,
წმინდა ნინო უწვდის ხელს!
ანკარა ხარ, საჩინო,
უფლის ნაწყალობები,
ჩვენი აღმაფრენა ხარ,
ჩვენი საგალობელი!
გურამიშვილ – ყაზბეგის,
რუსთაველის მშობელი,
შვილებმკვდარი დედების
ცრემლი – შეუშრობელი!
როცა საფრთხე გელოდა,
მტერი გვეძალებოდა,
როცა ჩვენზე ძლიერი
შენს თავს გვედავებოდა,
იდექ – ყველას იმედად,
იდექ – უღლელ დარაჯად,

ბევრ ქართველს გაუხვრიტეს
 შენთვის გულიც, ფარაჯაც,
 ილია და აკაკი
 გედგნენ ერთგულ დარაჯად!
 ტატო, გოგლა, სულხანი,
 ამ ენაზე ფიქრობდნენ,
 შენი სიყვარულისას
 გულში ცეცხლს ვერ იქრობდნენ!
 ვინ ალარ გაღმერთებდა?
 – რობაქიძე, გრანელი,
 ასათიან – ტაბიძე
 და დევკაცი ფშაველი!
 ირაკლი და მუხრანი
 ნაზ ხვეულებს გიმკობდნენ,
 შეუდარებ გალობით
 სულსა და გულს გითბობდნენ!
 გყავდა ბევრი დამცველი,
 მტერს ვინ შემოუშვებდა?
 მოხუცი თუ ჯეელი
 მომხდურს ისრებს უშენდა.
 შენს დამცველებს, მეომრებს,
 ტყვიის არ ეშინოდა,
 ხმალს, თუ ხანჯალს უშიშრად,
 უმწიკვლო გულს უშვერდა!
 თვითვე გვანუგეშებდი,
 მკლავს იქნევდი, ბრძოლობდი,
 არ გინდოდა წახდენა,
 გააფთრებით ომობდი!
 დედაენის გულისთვის,
 სისხლიც ბევრი დალვრილა,
 მაინც გადარჩენილა
 მაღალ ღმერთის მადლითა!
 ტყვია, ცეცხლი, ისარი,
 არ გზოგავდა არც ერთი,
 მაგრამ სიტყვებს დაფერფლილს –
 ხელნაწერად ვაქცევდით!
 ყველა გასაჭირიდან
 გამოსავალს ვაგნებდით.
 ქარგულნაწერებიან
 სალოცავებს ვაგებდით!
 სურდათ ენის დაცემა,
 ვინ არ ყავდა მოდავე,
 თუ გაანადგურებდნენ,
 ქართულ სულსაც მოკლავდნენ!..
 მაინც ვერ დაგაჩოქეს,
 მოძლვნილი ხარ უფლისა,
 ასეთ ენას, მშვენიერს,
 აბა, ვინ არ უვლისა?!
 ერი იქ დაეცემა,
 სადაც ენა წახდება,
 გაუფრთხილებლობისთვის,
 ღვთის სამსჯავროს წარსდგება!
 მტყუან-მართალს, ქართველნო,
 თვით უფალი გაარჩევს,
 ჩვენი – ჩვენვე დაგვრჩება,
 დაველოდოთ განაჩენს!

მაპა გელაშვილი

წმინდა ნინო

ქართლის მიწაზე მოაბიჯებს,
 მოდის ასული,
 დავინწყებია სევდა გზისა,
 სევდა წარსულის,
 მთელი სამყარო გამოცოცხლდაო
 თითქოს ამ დილით,
 წმინდა ნინოა ქერუბიმის
 ფრთათა მანდილით.
 მისი მშვენება გააოცებს
 ყველა ვაზირსა,
 ხელში უპყრია საოცარი
 ჯვარი ვაზისა.
 კერპები ცვივა,
 ინათლება მირიან, წანა,
 თვისი სიმწინდე მადლის წყაროდ
 არ დაინანა.
 შემოხვევია სერაფიმის
 ფრთათა მანდილი,
 სასწაულია, ქართველებო,
 ესე წამდვილი.

დარევან ხვედელიძე

მეგორგარო მიაშენე

შორსა ხარ,
 თუმცა გულს უხარია
 ეს მონატრება
 საოცრად წმინდა.
 კლავიშს ათრთოლებს
 ავე მარია,
 თვალი ცრემლებით
 რომ დამიბინდა.
 რა სიმუდროვე
 დამკვიდრდა ირგვლივ,
 და რა სიმშვიდეს
 იტევს კელია.
 ცხოვრებისაგან
 არ ველი გვირგვინს,
 გზა გოლგოთასკენ
 გასავლელია.
 მიამბე,
 როგორ დაგწვავს მზის ალი,
 და ბრწყინავს ნამი
 მწვანე მოლისა,
 რომ დაუკოცნე
 მაცხოვრის კვალი
 მინას,





ლეილა ინაშვილი (ლილე)

გაფასარჩენად

ლმერთო, მიეცი გადასარჩენად
ვისაც რა უნდა, ვის რაც სწყურია!
ცოდვილ მიწაზე ღირდეს დარჩენა
მაშინაც, როცა მეწამულია!

განკიცხულს – თბილი სიტყვა და მხარი,
უჭეროს – ჭერი, მთესველი – ახოს,
მოგზაურს – ნავი, მუსიკოსს – ქნარი,
ახდენა ნატვრის, სულში რომ სახლობს!

სიტყვას – გამგები, ქედმალალს – რიდი,
პოეტს – მუზა და მზრალს – მკითხველი,
მხოლოდ უფალი – ვით ჭეშმარიტი
შემფასებელი და განმკითხველი!

ობოლს – მშობელი, უმადოს – მადა,
დამშეულს – ლუკმა, ცოდვილს – შენდობა
და ყველას ერთად – სამყარო, სადაც
კაცი კაცს, როგორც ღმერთის მიენდობა!

ყველაზე დიდი მაქეს სათხოვარი:
რაც უნდა რთული იყოს დროება,
შეგვინარჩუნე დანატოვარი
მამული, ენა, სარწმუნობა!

იონა კიკვაძე

ენა ქართული

აბრეშუმივით ნაზი და მშვიდი
ფშავური ჩოხის დარად ქარგული
ვით იმერული ხათრი და რიდი
თვალის გუგაში ამოსარკული

მონარცებული როგორც არაგვი
ამაყი ისე, როგორც სვანეთი
დინჯად ნაზომი, როგორც რაჭული,

ბარაქიანი როგორც კახეთი

ფართედ გაშლილი ვით ალაზანი
დუდუნა როგორც მტკვარი, რიონი
დამათობელი ვით მუკუზანი
დიდებული ვით კავკასიონი

როგორც ხევსურეთს ცხენის ჯირითი
მყინვარნვერიდან ნარევი სხვი
კლდეს მომტვრეული ლოდის ნატეხი
უუშუნა წვიმის ნაქარგი მძივი

მცხუნვარე როგორც მზე აფხაზეთის
კრიმანჭულივით ჯადო ხვეული
არავისათვის გამოსამეტი
ცისარტყელასთან გადახვეული

ხანაც ნიავი, სიოს ფარფატი
ხან გოროზი და გაბრაზებული
ჩაჩქერი კლდიდან ჩამონავარდნი
ჩაჩენილი და ჩანარცხებული

ხან ზღვის მოქცევა, ტალღის შეუილი
ხან ხარ – ირმების ლალი ყვირილი
ადიდებული თერგის ლმუილი
და განწირული სულის კივილი

პირდაპირი და ხანაც ხლართული
ზღაპრული, ხან საიგავარაკო
ქართული ენის მადლი და ხიბლი
ენა – ღმერთების სალაპარაკო.

მამა გიორგი გოგოლეაშვილი

ადრე რომ მოკლედ მიმაჩნდა,
გრძელი ყოფილა გზანი.
მზეს რომ უცრემლოდ ვუცქერდი,
ვარსკვლავს ვერ ვკიდე თვალი.
ფიფების ნატერაში, ხმელ ფოთლებს
ფიქრად წამოშლის ქარი.
განვლილს გასავლელს ვადარებ,
წამს ხომ ვერ მოვკარ თვალი.
მამლის ყივილით ნათენებს,
ბუხრის ყელს მოყვა კვამლი.
კვირაძალს მადლი მოსაცსო,
ჰექვეს სამრეკლოს ზარი.
დროის წისქვილის ხმაურში,
გალობს სიცოცხლის ქნარი.
წარსულს დიდებად დაყვება
ჯვარვადიანი ხმალი.
დროთ უმეფიათ თუ მეფეთ
პასუხი არსით არის.
მარადისობის გზამკვლევი?
ღმერთი, სამშობლო, კაცი!



მანანა ჩაჩანიძე

ივერიის ლუთისტშორქენის

შემოგყურებ, როგორც დედას შვილი,
შენი ხატი – დედის ხატი იგივე,
შენს კალთაში თავს ჩაერგავ და ვიცი
შენ უშველი ჩემს დარდებს და ტკივილებს...
მინდა გითხრა, შენი მადლით როგორ ვთბები,
ისე ვთბები, რომ ამ ლექსსაც ვტედავ,
დედაჩემის მანდილი გაქცის, ხმა და თმები,
ლუთისმშობელო დედავ, ჩემო დედავ...
შენი გულის და ხელების სითბო
გრძნობს როგორ ვარ სევდით გათოშილი,
დედაჩემო, პატიებას ვითხოვ
ერთი ურჩი და თავნება შვილი...
გული ჩემი შენ გენუკვის ოდენ,
თვალინი ჩემი ესვენ მხოლოდ შენდა,
შენს დაცრემლილ ლოცვის ბილიკს მოვდევ...
მინდა გული გაგიხარო, დედა!

მერაბ ფირცხალაიშვილი

ფლეს იეჲო ჭვარს აწვეს...

დაქცეული, გოდებით
დავსებული, უბნები.
ეკლესის კართან კი
მომლოდინე მადლი.
ცხრა მთას იქით გასული,
გაქცეული შვილები.
ათასგვარი სატკივრით
სავსე დედის დარდი...
დღეს იესო ჯვარს აცვეს,
ზეგ ალდგომაც მოვა.
გასრულდება მარხვა და
დასრულდება გლოვა.
ხვალ მაცხოვრის საფლავთან,
კვლავ გადმოვა ცეცხლი.
თუმცა არსად გამქრალა
ოცდაათი ვერცხლი...
გაგსებულა უბნები,
სხვას შემყურე ხელებით.
საკურთხევლის კართან კი
ჯვარცმას ელის მრევლი,
რომ შეუნდოს უფალმა
უძლურების ფიქრები
და მოჰმადლოს მით მზერას
სინარულის ცრემლი...
დღეს იესო ჯვარს აცვეს,
ზეგ ალდგომაც მოვა.
გასრულდება მარხვა და
დასრულდება გლოვა.

ხვალ მაცხოვრის საფლავთან,
კვლავ გადმოვა ცეცხლი.
თუმცა არსად გამქრალა
ოცდაათი ვერცხლი...

ივერია პავლიშვილი-დოხენია

სიზმრის კარავი

შენს მონატრების წყურვილებს მიკლავს
ლამენათევი სიზმრის კარავი,
მთვარე ბრდლვიალა, ცა უსასრულო
და ვარსკვლავები დაუთვალავი.

მშობლიურ მინას სხვა სურნელი აქვს,
სხვა ხიბლით დგანან ეს ჩემი მთები,
აქ ყველაფერი სხვანაირია,
მშობლიურია აქ ყველაფერი.

ვაიმე როგორ მომნატრებია,
შარა-შუკები მამულ-დედულის,
თურმე შრიალიც მომნატრებია,
ჩვენი ვენახის პაპისეულის.

აღმაფრთოვანა ფერთა სიჭრელემ,
თითქოს სურნელი იფრქვევა ვარდის.
მოვლა მამულის ჩეგნი ვალია –
ეს ღალადია ილია მართლის.

ვესალპუნები სიზმარში წარსულს,
ვესალპუნები ასგზის, ათასგზის.
ცივ გომბორიდან მზე ხელს მიწვდის და
კალთებს მიკოცნის ლერწმები ვაზის.

ბეჭებგაშლილი დგანან ქედები,
თოვლის და ყინვის ცრემლებნადენი,
მამულს, ენას და სარწმუნოებას
აქ შეეწირნენ ჩვენი მამები!

არ მასვენებენ სიყრმის სიზმრები,
ნაზი ჩურჩული უძილო ღამის,
მინდა შევძახო ხსოვნის ქარავანს,
მაგრამ ხმას მტაცებს ნარჩიტა ბალის.

მაინც არ ვიშლი, მივყვები სავალს,
ხმის ამოღებას თუმცა ვერ ვბედავ,
კავკასიონის თოვლა მთებიდან,
ალაცერდს უფრო ცად აწვდილს ვხედავ.

წინანდლის ბაღში რა ნადმია?
ნეტავ რას ბჭობენ ჭავჭავაძენი?
სუფრას უსხედან ბაგრატიონთა
და ორბელიანთ ასულნი-ძენი.

იყალთოს აღმართს შევყევ ამაყად,
აქ მშობელივით მიმზერდა გრემი,





შენი შვილი ვარ დედულ-მამულო,
გიპურებივართ მეცა და ერიც.

გზა გავაგრძელე... უკვე თენდება.
თანდათან გაქრა სიზმრის ღადარი,
მე დღეს მამულში ვხვდები ალიონს,
ასეთი დილა არსად არ არის.

მამულო, შენი ძალა მაცოცხლებს
და სიყვარული, შენ რომ მასწავლე,
აქ ვარ თუ იქ ვარ, მღვიძავს თუ მძინავს
შენზე ფიქრი და დარდი მაწვალებს.

ნათია გრძელიშვილი

ჩვენთა ალექსანდრე!

...ოცდაათ ვერცხლს განაცვალეს,
სიმდაბლეს ვერ სძლიერო,
გაგყიდეს და ღალატისგან
სული აგატკიესო.
ადამთ ცოდვის დამტეველი
ბრბოში გამოგრიერო,
უფლის ნებით განკაცება,
როდი გაპატიერო.
დაგცინოდნენ, თავს ეკალის
გვირგვინი გაბნიერო,
დაიჯერეს, თითქოს მამის
ნდობა შეგირყიერო,
მიწიერმა არსებებმა
გავნეს შენ, ზეციერსო.
ლვთის ძეს ჯვარცმა მოგისაჯეს
ველარ დაგიტიერო,
ყველა ტანჯვა დაითმინე
რაც კი შეგამთხვიერო...
მიტევებას გთხოვთ ცოდვილი
სინაულის მიერსო,
სამოთხის ბჭე გაგვიხსნი,
შიგ შეგვიძეს მნიერსო.
საუკუნეთ მივსდევთ რწმენით
ორთავე ქვეყნიერსო,
ქრისტე ალსდგა ჭეშმარიტად,
მკვთრეთით ალსდგა იქსო!

ია ეკელი

ხომ ხდება ჯვარი რომ ადგას გუმბათს
და ტაძრის კედლებს მირონი მოსდით...
ვეძებთ ყველანი ზეცმი უფალს,
ალსარებისთვის სივრცეს ვითხოვდით.
და ახლა როცა მყარად ვართ ფეხზე,
სხვებს უნდა ლუკმა გავუყოთ ძმურად...
ვნერ და არცა ვნერ ჩემს ფერმკრთალ ლექსებს,
ველი ალდგომის დღესასწაულსაც.

არაფერს გთხოვდი უფალო იცი,
წკვარამში მაინც იმედი მქონდა...
არ დამვიწყნია საშენო ფიცი,
დამიდასტურებს ჩიტი ჩიორაც.
პოეზიაში სიმშვიდე ვპოვე,
მე სულ პატარაც ლექსებს გიწერდი...
ვერ გამიგია რას ვერ იყოფენ,
დროსაც უცნაურს ვერ ვერითმები.
გადაიარეს უკვე ქარებმა,
გახსოვს? მინაზე რომ გამოგსახე...
რა ადვილია მიწად დაცემა
მაგრამ არასდროს ქედი მოვხარე!
მხოლოდ შენს ფერხთით მხსნელო, უფალო,
მხოლოდ შენს გამო ლირდა ეს ბრძოლაც...
დედა თუ შეგხვდეს იქნებ უამბო,
უიმისობა როგორ მეტყობა!

თუ ლექსებს ვქარგავ წლებია ქარში,

ლოცვების ძალა გაჰყვება ჩემს გზას...
ჯერ კიდევ ახსოვთ პატარა ბავშვი
რომ მიჰყვებოდა უფლის ნატერფალს!

და ახლა, როცა...

თემურ ტაბათაძე

სამოთხის ზღურბლოთან

ვუძლვი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ჰყვაოდა ბუნება და შიშველფეხება,
სალამოს სიგრილეს, მირეკდა გრიგალი,
მინავლდა, შეჩერდა და იგრძნო შეხება,
სამოთხის ზღურბლის წინ უეცრად მიმდგარი; –
შეშფოთდა!...

ვერხვების ფარვანა უტკბილო ფანტელი,
ბრუნავდა, ცვიოდა და უცებ დაბერდა,
დარდისგან მოლამბულ ბუმბულის სარტყელით,
ნარ-ნარა სასტუმალს მინაზე აგებდა,
ბალიშიც სანოლზე ლამაზად წაფერდა.
ჩათვლიმა!...

იმძლავრა ძილქუშმა და ჟამი მიმქრალი,
ნელ-ნელა მავალი რიტმული ნაბიჯით,
დღეს თავგზას ურევდა, მზეს რვალად ადნობდა,
სუნთქავდა სამარე სიბრძლით ნაჯიჯგნი;
დაისის სიწითლეც თანდათან აგორდა; –
ინათლა!....

იქ, სილაუვარდეში ცურავდნენ ღრუბლები,
მენამულ ფერებში ცის თაღი ჰყვაოდა,
სარკეში მზირალი ფუმფულა სინაზით,
ღვთიური სხივებით გამთბარი ხელები,
ეპოქებს ავსებდა სიკეთის მირაჟით, –
ნათლავდა!...

მიჰყავდა ისინი სამოთხის ზღურბლამდე!



ეხა მარგიანი

* * *

(მარიამობის შემოსულის ლოცვა)

...მზე ჩასვლისას იგრძენ, ნამო,
მე... სიჩუმე... და... საღამო...
მზერა მშვიდი და საამო,
აღსარება სამუდმო...
მოვედ შენდა, მარიამო,
ტკივილები დამიამო,
სული მარად ფრენას ლამობს –
ნუ შემრისხავ ამის გამო, –
მომეც შეება და მაღამო,
სინაწყლით არ მანამო,
სიტყვა წრფელი, მხნე და ამო,
შემინდევ და შესდექ, ნამო,
უკვდავება რომ ვინამო,
ლიმით მითხარ: „ადექ, ნამო!“...

რადგან დავმზიანდი.
რადგან დავმზიანდი,
ფესვიდან ღერამდე
გავხდი კადნიერი,
გავშრი, დავზიანდი.

როს დღე მეთერთმეტე
უკან მოვიტოვე,
ფუჭად დამაშვრალი,
უქმი და ამაო,
კვლავ კადნიერად
ვითხოვე: მომიტევე,
ამ მეთორმეტედაც
მომხედე, მამაო...

59



მზია ჰორუმლიანი

კვრის ძალა

მიწაში აფლობ ამოთხრილ ძირებს,
და რუდუნებით გვაფარებ კალთას,
უბით ინახავ გაბნეულ გმირებს,
რა ძალა შეძლებს ამას შენს გარდა?!

კემსავ და ქარგავ დაგლეჯილ ფესვებს
და ჩვენი სულის დაწყვეტილ სიმებს,
რგავ და ახარებ მომავლის ნერგებს,
უკან გვიბრუნებ ჩამავალ სხივებს...

ამხედრებული ქარტეხილები
უდაბნოს ქვიშით გვიმრუდებს მზერას,
რკინის ხიდები – ჩატეხილები
გასამრთელებლად ვაზს სთხოვენ შველას.

...არ გირჩევია ვის რა მოსავდა –
ოქრო-მკერდი თუ უბრალო ჯვალო,
მტერიც ხომ შენი ძალით მოისრა
ცრემლიან ლერნით შეკრულო, ჯვარო!

ჯაპა გორგილაძე

მოიან აფარაში

(ნამდვილი ამბავი)

მარი სადლოგელაშვილი

ფრაგმენტი ლორწიფან

ათვერ მოვისურვე
ამოსვლა შენამდე,
ათვერვე მოვბრუნდი,

რა მზიანი ამინდია, როგორ ხარობს ზეცა!
მჭადს აცხობდა ნენე, მთებს ნისლები ეცვა.
რაღაც განსაკუთრებული ემოცია იყო,
თითქოს იწვიმა და უცებ გადაიღო!
არ იცოდა, გავუფრთხილდი,
– მე ვფიქრობდი ასე –
საიდუმლოს ვინახავდი, სიყვარულით სავსეს!
„ქრისტე აღსდგა“ შემომესმა, დამივარდა ბოცა,
ნენემ მუსულმანმა, აღდგომა რომ მომილოცა!

ოლქა, №2, 2021



ქრისტე ფართდებულა

დილა გათენებულა, გული გამთელებულა,
ჭირი დამარცხებულა, მიწას დანარცხებულა,
გაუპია უფსკრული, შიგვე ჩანაცრებულა,
კვირტი აღერებულა, ჩიტი ამღერებულა,
ხნულში მწვანე ჯეკილი ამოხავერდებულა.
ჩიტი ამღერებულა, კვირტი აღერებულა,

ზეცა გათენებულა, ალარ დალამებულა,
ყვავილები კორდებზე ამოლალანებულა,
რწმენა და სიყვარული უფრო ამაღლებულა.
სევდა განელებულა, ვაზი განედლებულა,
შიში გადაკარგულა, მიწა გადაქარგულა,
თბილ ქვეყნიდან მერცხალი ჩამოცქრიალებულა,
ნაკადული მთებიდან ჩამონკრიალებულა,
ყინვა-ქარი გამქრალა, ყველგან დათბუნებულა,
ყველა დარღი წასულა, ალარ დაპრუნებულა,
ქრისტე დაბადებულა, ქრისტე დაბადებულა...
რწმენა და სათნოება ქვეყნად დავანებულა.



ზურაბ ჭირიძე

კაწის ჭადარი...

მარტის ჭირვეულ ამინდებით დადგა ავდარი,
ცას მტრედისფერი, გაზაფხულის კაბა აცვია.
დგას ცას და მიწას გახიდული ქველი ტაძარი
და მის თაღებქვეშ საძვალეთა ქვები აწყვია.

დროის მტარვალ ხელს შერკინებულ ოსტატის მარჯვენს.
თითქოს ზედ ცაზე უკიდია თლილი გუმბათი.
მის წმინდა ჯვარზე ცა-ფირუზი ღრუბლებად აწევს.
თრთის სამუდამო სამყოფელის ჩუმი სურათი.
სავედრებელი სიტყვებივით იწვის სანთლები
როგორც მლოცველი მთები დგანან ფოლიანტები.
ფრესკებზე დროს სვამს აქა-იქა მწიფე მტევნები.
სავსის ფერ ჯავშანს შეუმოსავთ გოლიათები.

ზღვა ვერ დაიტევს იმდენ ქვიშას, ვერც ცა ვარსკვლავებს.
ამ აზვირთებულ სალოცავში რაც რომ მაღლია.
ეს გაუმარჯოს მამა-პაპათ ძლიერ მხარ მარჯვენთ,
რომელთა ლოცვაც ქვებში ასე აუსახიათ.

ანგელოსებრი ხმები სტუმრობს ზარების ენებს.
კელაპტარივით ყველა დარდის მომაშორებო!
დიდება შენი ალმშენებლის გადალლილ ხელებს!
ასე უტყვათ რომ შეგახსენებს; მომიგონეო!

სალომე ლომინაძე

გამალმერთეო...

გამალმერთეო – რად მითხარი ჩემი შემშლელო?!
ნუთუ გინდოდა შენს ნინაშე მუხლი მეყარა?!
მე კი ჯვარს გაცვი და არ მინდა შემოგეშველო,
წადი... ამ ჯვარით მოიარე მთელი ქვეყანა...
როცა მიხვდები, რომ არ ვიცი როგორ ვილოცო.
როცა გაიგებ, მე თვითონ ვარ ლოცვის სიტყვები.
მერე გიპოვნი, ნატერფალი რომ დაგიკოცნო
იმ გზის, რომელსაც ჩემი მძიმე ჯვარით მიყვები...



გამაღმერთეო – რად მითხარი ჩემო არჩივო?!
 ნუთუ გინდოდა შენი ხატი რომ დამეწერა,
 არ შემიძლია, ჩვენი ყოფა გადაკარჩინო...
 ჩემთვის ლექსია ღმერთი, რწმენა, ხატი, ფერწერა.
 გამაღმერთეო – რად მითხარი, როცა ღმერთამდე,
 ჩემში ნაბიჯიც აღარ გაკლდა, თავსაც გწირავდი.
 შენს სამსხვერპლოზე ვიცლებოდე, უნდა ვწვეთავდე,
 რომ ჩემი სისხლი სხვა ღმერთების გესვა ინადით...
 რადგან შენ თვითონ მოინდომე ჩემში ღმერთობდე,
 მაშინ გიყვარდეს ჩემი ჯვარი, ჩემი გოლგოთა...
 გინდა ღმერთივით მაშინებდე, რწმენით ვერ გთმობდე,
 მაში, შენც არ დამთმო,
 გამწირაო ღმერთზე როგორ ვთქვა?
 იცოდე თუკი გაგაღმერთებ, შენი ხვედრია
 ჩემს ჯვარს ეცვა და გზად შეიცნო ყველა პილატე...
 აქ, ცოცხლებს შორის, ჯერ ღმერთუაცი არ შემსვედრია...
 შენ ქრისტე არ ხარ. რომ მოგკლა და აღსდგე დილამდე....

61



ანა გელაშვილი

ერთ მიღი და თუ კაზი ხარ...

ვსხედვართ გვერდიგვერდ, მე – დარდს გიმხელ...
 და ენძელები...
 პირით ხან ჩემსკენ, ხანაც შენსკენ ერწყმიან ტაროსს,
 ღმერთად ჩაგთვალე, ჩაგჭიდე მკლავზე ხელებით,
 თუმც ვერაფერი ვერ მითხარი ოდნავ რომ მარგოს....
 შენ მხოლოდ ჩემს მკერდს ჩამხობილი თვლემ მეფესავით,
 თან, ბედავ, – ღმერთის არსებობას აწერ არაკებს,
 აბა მიდი და თუ კაცი ხარ შენც ღმერთისავით,
 სასოდაკარგულს იმედებზე მელაპარაკე...

სოფია ქურასპელიანი

მაწხოვარო

ეკლით გმოსავდნენ, მაცხოვარო, გტკენდნენ ჭრილობებს,
 ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი დუმდა იუდა,
 ცა შეემუსრა ცოდვის ტბორებს და უცილობელ
 სიმწუხრის ზარებს დედამინის ცოდვა სტკიოდათ.
 სისხლით შელებილ განიჩენთან იდგა პილატე,
 უსამართლობით კვლავ არჩიეს შენს თავს ბარაბა
 და რამდენჯერაც ნაწამებმა წყალი ინატრე,
 ძმარი დასთხიეს, ჩირქი მოსცხეს სულის გალავანს.

(მეც თვალებაკრულ გამყიდველთა ბოლო რიგში ვარ)
 დამნამავე ვარ, მაცხოვარო, ბევრჯერ დაგკარგე,
 მაგრამ ვერ გტოვებ, შენგან შორსაც ველარ მივდივარ,
 კაცობრიობის მარწუხებში არ ჩანს ავ-კარგი.

ეკლით გმოსავდნენ, მაცხოვარო, გტკენდნენ ჭრილობებს,
 ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი დუმდა იუდა,
 ცა შეემუსრა ცოდვის ტბორებს და უცილობელ
 სიმწუხრის ზარებს დედამინის ცოდვა სტკიოდათ.

ოლქ, №2, 2021



ალექსანდრე ჯიშარაძე

და როგორც მოსე, შენს წინაშე ვდგავარ, უფალო,
აღარც ცაი ჩანს, არც ხილული მთელი სამყარო.
შევდივარ შენი ღვთაებრივი ბნელის ნათელში
ზეარსებობის სახილველად და სათაყვანოდ!

და როგორც მოსე, შენს წინაშე ვიხდი ფეხსაცმელს,
გხედავ და თითქოს შენი არის ჩემი თვალები.
არ იპოვება, ო, არრავინ, რომ შეგინაცვლდეს
სამი ჩირალდნის ცეცხლით იწვი, ერთ ბრწყინვალებით!

62



მე შექმნილი ვარ და ვერ ვუძლებ შენს უქმნელ ნათელს.
თუმც საკუთარი არსებობა მზარავს სრულიად...
და მეშინია და გეფარვი, სულს მიბერავდე
ყოფნა-არყოფნის სად ზღვარია, დასასრულია!

ო, საკვირველო, სახიერო, მარად უფალო,
ოდეს მეხები მარადისი დროი ჩერდება.
შეუცნობელი შეცნობისთვის გარდაუვალო,
თითქო გული ვარ ხორცადქნილი, შენ ჩემი მკერდი!

მაინც არ ვიცი, საყვარელო, ნეტა ვინა ხარ?!
და როგორც მოსე, ფეხშიშველი ვდგავარ მე შენს წინ.
ნეტა, თუ მართლა მაყვლოვანთან ღმერთი მინახავს,
მდაბალმა მაღალს ვუპასუხე და გულით შევწვდი!

ზოია გრაფიშვილი

ოფა ქართულ ენას

შენ მოდიოდი, მზედ, წვიმად, ქარად,
ცხენის ფაფარზე ეკიდე ბრჭყალით,
ხელისგულებზე უონავდი სისხლად
და სიმღერებად მიჰყვებოდი მდინარის ჩერებს.
აღზევანიდან ბრუნდებოდი მარილით ცრემლად,
კოცნით, ალერსით იხუტებდი გულში დამაშვრალს,
კვირტივით ლალად იღვიძებდი,
მწყემსის, წმინდანის, მეციხოვნის და სხვათა სულში
ამოდიოდი მაფშალის თეთრი ყელიდან ლოცვა-კურთხევად
სიხარულად-ოხვრა-გოდებად,
მუხის ფოთლებზე, ვარდის რტოზე ნამივით თრთოდი
ცისკრის ზარებად გუგუნებდი ენავ, მზიანო,
გზაპნეულთა შუქად ენთე ენავ წყლიანო!
თამარის ლაშქარს წინ უძლოდი ამღერებული,
გამარჯვებული ბრუნდებოდი დიდგორით – გელათს
და მოაღნიე დღემდე ზღაპრულ ფრინველის დარად
ცრემლად, ტკივილად, სიხარულად, ლოცვა ვედრებად.
ქართულო ენავ სულ იმზიანე,
ფრთებად გქონდეს უკვდავება მარადიული,
სულ ილაჟვარდე,
ლხინის, დღეობის იყავ მეუფე
და შენი ცეცხლით ვთბებოდეთ მარად დარიალიდან – პონტოს კარამდე!
ენავ, ქართულო, ჩემო ენავ, ენავ, ღვთიურო,
ლექსად სიმღერად ანთებულო, უკვდავებავ მარადიულო!



ციცი ფოჭაძე-ხითარიშვილი

გავკაზნიერდი...

და ვინ ვარ?! – ერთი მომაკვდავი, ცოდვილი სული! გავკადნიერდი, ყველაფრისტვის ვითხოვ შენდობას! ძნელი ყოფილა ეს ცხოვრება და რარიგ რთული, თურმე რამდენი სჭირვებია წლებით შემკობას?! გავკადნიერდი, და გავბედე მე შენთან მოსვლა, ჩემივე ხელით გაყიდულო, შენ – ძეო ღვთისა, ნუ მიგვატოვებ, წყალობა ჰყავ, შეგვინდე ცოდვილთ, გამსხივებელო არნასული სისპეტაკისა! და ღვთისმშობელო, მოგვიტევე უზომოდ ცოდვილთ, იმ ბრბოს, რომელმაც ჯვარს გაგირა ნანატრი შვილი... გავკადნიერდი, კი – ყველანი გავკადნიერდით და შენს მუხლებთან საბრალონი ცოდვებზე ვტირით. დიდება შენდა, გულმოწყალევ, სამართლიანო, დიად შენს სახელს შევლალადებ უფალო ისევ... ადრე თუ გვიან, ყველას გულში იფეთქებს რწმენა და მხრებგამლილი, სიყვარულით იშვება ქრისტე!

63



მაია მამუჩიშვილი

პირველი გრავირი

„მე შეგასწავლით ქართულს, როგორც მეორე ენას. დავიწყოთ კლასის საათი, თემა – რელიგია“.

„მას, არაბი ვარ.
დედა ღამით მაღვიძებდა: „შვილო, მინდა,
ჩაიმუხლო სალოცავად, ძილი ხვალე“. რძეში ჩამბალ ადათით ხომ ჩვილობიდან
მანაყრებდა, მაგრამ ერთხელ მივახალე:
ის მაღლიდან მაკვირდება, შეცდომების
გამო დასჯის შიში შენ გადმომილოცე,
ლამით თავს ძირს თუ არ ჩავხრი, შეცოდებად
ჩამეთვლება? ჩამეთვალოს, არ ვილოცებ!
ამის მერე ღმერთს დავეძებ“...

„ჩვენ ხვალ აბი თბილელი გვაქვს გაკვეთილად.
მე წაგიყვანთ მეტებთან რომ ნიშია და
იქ გიამბობთ, იმ ჭაბუკმა საკეთილოდ
ქრისტე როგორ იპოვა, თან შიში რაა
დაივიწყა“. („ტებილ ხარ შენ, უფალო“, გულში ვიმეორებ).

„მას, თურქი ვარ.
ჰიჯაბი ვერ შევიყვარე, ხვია-ხვია
თაფლისფერი თმების გამარაოება
მოვინდომე. დედამ თავზე მომახვია
აბრეშუმი. და მე ეს ამაოება
მოვიხადე. ნაკადული შევიჭერი.
ჩუმად ვეძებ ღმერთს“.

ოქტომბერი, №2, 2021





„მოდიოდა ნინო მთებით“ განვიხილოთ.
მე წაგიყვანთ სიონში რომ კანკელია,
მარცხნივ კუთხის კედელში კი თქვენ იხილავთ
ნინოს თმებით შემკულ ჯვარს რა ნათელი აქვს“
(„ტკბილ ხარ შენ, უფალო“, მომეცი ძალა, გულში ვიმეორებ).

„მას, ღმერთი არ არსებობს“. „მას, არსებობს. ცოტა ნაკლები ძალა მიზიდულობის,
მეტი დაშორება ოზონის შრესთან და სიცოცხლე
არ იქნებოდა დედამიწაზე“. „მას, ინგილო, მამით ობოლი ვარ, დედით – სპარსი.
მე წაგიყვანთ ფერეიდანში და იქ გიამბობენ მამაჩემის
სულ სხვანაირ საქართველოზე“. („ტკბილ ხარ შენ, უფალო“, მომეცი ძალა, გზა გავუნათო).

მაია დიაკონიძე

წმინდა ფემეჭრე თავდადებული!

„თავდადებული“ დაგანათლეს, სულმნათო მეფევ,
კვნესის ლერწამი, მტკვრის ნაპირას, სადაც შენ ევნე,
საქართველოს ცას ვერ დასთმობდი, რომ არა ხვედრი,
გამხდარიყავი, შენ წმინდანი, მოვაკანს ერთი.
შენ, ობლობაში გამოზრდილმა, განირე თავი,
სამშობლოს მინას ააცილე ილბალი ავი,
ასაოხრებლად ვერ მიეცი მონღოლებს მკვიდრი
და დაიმკვიდრე სააქაოს სახელი დიდი.
ზეცა განიპო, გამობრწყინდი ნათელი ბნელში,
ყაენისათვის გაჩხერილი ფხა იყავ ყელში,
მიტომ სიკვდილი მოგისაჯა, ვითარც იქსოს,
მაგრამ ავისთვის უფრო მეტი ავი მიეზღო. –
არ დაგიფასა სამსახური უზომნოდ დიდი,
შენი ლაშქრით რომ წყალს ასხამდი მონღოლთა წისქვილს,
მათი გულისთვის შენ ებრძოდი ეგვიპტის სულთანს,
მტრის გამარჯვებას შეენირა ქართველთა სულთქმა.
სპასალარი ხომ შენ იყავი ჩვენებურთ ჯარის,
გიჭრიდა თვალი, მამაცური დაგქონდა მკლავი,
გიმიძიმდა ძლიერ, მოგესმინა მოძმეთა კვნესა,
უცხო მინაზე დაიძინა მარადუამს ბევრმა.
დაატარებდი მძლავრი ქედით ცოდვილის ულელს,
თვალცრემლიანი საქართველო გესვენა გულზე,
ქვეყანა შენი, გაზნექილი ტვირთისგან მხრებში, –
უფრო და უფრო ეხვეოდა მძვინვარე ცეცხლში...
მეუფე ზეცის შენ, წამებულს, არ დაგრჩა ვალში,
მოსე მღვდელმა და პატრიარქმა იყიდეს გვამი,
წამოგიყვანეს თბილისელმა ვაჭრებმა მთელი,
სვეტიცხოველში დაგასვენეს, გტიროდა ერი.
ჩვენ შორის ჰელმინტები, შეგ ქართლის გულში,
ისევე ცოცხლობ! დე, შიშობდეს ამ ქვეყნის ურჩი!
თავდადებულებს გაეხსნებათ სამოთხის ბჭენი,
მათ სადიდებელს გაამრავლებს ცად ენა მჭევრი.





მხატვარი პერა ხუცურაული

